ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №164 (3205) სამშაბათი, 22 ივნისი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

კანონმდებლები

განიხილეს პარლამენტის სხდომების დღის წესრიგი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს და მიიღეს 22-25 ივნისის პლენარული სხდომების დღის წესრიგი.

დღის წესრიგის თანახმად, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტს განიხილავენ.

ამ კანონთან დაკავშირებით, უკანასკნელ დროს ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს არასაპარლამენტო პოლიტიკურ გაერთიანებათა ფართო სპექტრი და პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის მიერ წარმოდგენილ პროექტში, ავტორთა განცხადებით, ძირითადად აისახა კონსულტაციების პერიოდში გამოთქმული მოსაზრებები.

პლენარული სხდომის დღის წესრიგით დაგეგმილია 80-მდე კანონპროექტისა და ხელშეკრულების განხილვა.

პარლამენტი იმსჯელებს დადგენილების პროექტზე საქართველოში 1991-1992 წლებში მომხდარი მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ, აგრეთვე, ცვლილებებზე საგადასახადო კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში.

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა მუშაობას დღეს დილით დაიწყებს.

იმსჯელეს 2000 წლის ბიუჯეტზე

პარლამენტში გრძელდება საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებებისა და პარამეტრების განხილვა.

გუშინ ქვეყნის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ იმსჯელეს საპარლამენტო ფრაქციების: „მაჟორიტარი-სოციალისტისა“ და „სახალხოს“ სხდომებზე. გუშინვე ბიუჯეტის პროექტი განიხილეს საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე.

პარლამენტის პრესსამსახური.

სახელმწიფო მინისტრი

უშუალო კონტაქტები დააჩქარებს პოლიტიკური პრობლემის მოგვარებას

21 ივნისს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ მიიღო თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მერაბ ჩიგოევის ხელმძღვანელობით.

შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკისა და ფინანსთა სამინისტროების, საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელები, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი ბადრი ხატიძე, შიდა ქართლში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ირაკლი ბოჭორიძე, განიხილეს რეგიონის ეკონომიკური პრობლემები, მათ შორის, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხები.

იხ. მე-2 გვ.

რაც დავიწყებით არ იბინდება

ბოროტ გეგმას ახდენა არ ეწერა

დოკუმენტები გვიამბობენ

1941 წლის 22 ივნისს დაესხა თავს საბჭოთა კავშირს ფაშისტური გერმანია და მოკლე დროში საგრძნობლად შემოიჭრა ქვეყანაში.

მინდა გაგაცნოთ იმ დიდ ომში ქართველთა მონაწილეობის ზოგიერთი ეპიზოდი და გავაანალიზო რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი.

... საქართველომ 750 ათასამდე საუკეთესო შვილი გაგზავნა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. თითქმის ნახევარმა თავი დადო ბრძოლის ველზე. მრავალი მებრძოლი დაინვალიდდა. შეუძლებელია დავივიწყოთ მამაცთა შორის უმამაცესთა გმირული საქმენი. ამ გმირობას გვახსენებს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში შინმოუსვლელთა პატივსაცემად აგებული ობელისკები და მათ გვერდით მოგიზგიზე მარადიული ცეცხლი, რაც ამავე დროს მკაცრად გვაფრთხილებს, გვახსოვდეს გმირთა სახელები.

ჩემო მკითხველო, მე, როგორც ომის მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი, უმორჩილესად გთხოვ, ვისაც დაკარგვია და არ დაკარგვია ახლობელი, ივნისის თვეში მივიდნენ იმ ობელისკებთან, ყვავილებით შეამკონ და პატივი მიაგონ ომში დაკარგულთა ხსოვნას...

იხ. მე-4 გვ.

ვიზიტი

საქართველოს პრეზიდენტი ლუქსემბურგს გაემგზავრა

21 ივნისს დღის მეორე ნახევარში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლითურთ ლუქსემბურგს გაემგზავრა. როგორც საქინფორმს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახურში აცნობეს, იგი მონაწილეობას მიიღებს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელშეკრულების ამოქმედებისადმი მიძღვნილ ოფიციალურ ცერემონიაში.

საქართველოს მეთაური შეხვდება და ესაუბრება ევროკავშირის პრეზიდენტს ჟაკ სანტერს, ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს იოშკა ფიშერს, ევროკომისარს ჰანს ვან დენ ბრუკს. დაგეგმილია, აგრეთვე, ედუარდ შევარდნაძის ორმხრივი შეხვედრები სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან რობერტ ქოჩარიანთან და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრთან არტურ რასი-ზადესთან.

ვიზიტის დროს საქართველოს პრეზიდენტი შეხვდება ლუქსემბურგის დიდ ჰერცოგს ჟანს და საჰერცოგოს პრემიერ-მინისტრს ჟანკლოდ იუნკერს, ამ ქვეყნის სხვა ოფიციალურ პირებს.

22 ივნისს საღამოს ლუქსემბურგიდან საქართველოს ხელმძღვანელი მეუღლითურთ ოფიციალურ ვიზიტად ნიდერლანდის სამეფოში გაემგზავრება.

საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი

ზ. გოგოხიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

აგრარული სექტორის განვითარებაში, ჩაის გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში ახალი ტექნოლოგიებისა და დაფასოების თანამედროვე სიახლეების დანერგვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის სააქციო საზოგადოება „მარტინ-ბაუერ-ოდიშის“ დირექტორი ზურაბ გოგოხია დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი

გ. გიორგაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებაში, გადამმუშავებელ მრეწველობაში მწვანე ბაიხის ჩაის ტექნოლოგიის დანერგვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საგამომგონებლო საქმიანობისათვის სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული აგრონომი გერმანე გიორგაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

გამარჯობათ

ტერიტორიულადაც და სულიერადაც ერთიან საქართველოში...

ჩვენს გაზეთში ამ რუბრიკის დამკვიდრების იდეა გუშინ დილით, „საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელი ნომრის დაგეგმვისას დაიბადა. მისი მეშვეობით მორიგე რედაქტორებს საშუალება ეძლევათ მკითხველთა ყურადღება გაამახვილონ, მათი აზრით, მთავარზე, ჩვენი ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის სხვადასხვა სფეროში თუ უბანზე რომ მოხდა და ხდება, ერთგვარად გამოკვეთონ ყოველი ნომრის მასალათა ძირითადი აქცენტი. არადა, რამდენი რამ არის სათქმელი, რუბრიკისთვის გამოყოფილი საგაზეთო ფართობი კი – როგორი მცირე.

რუბრიკის პირველ მასალაში ერთს ვიტყოდი, თანაც – სურვილის დონეზე: რაც შეიძლება მალე მოგვასწროს გამჩენმა ერთიან საქართველოს, ტერიტორიულადაც და სულიერადაც ერთიანს!

ტრაბახად ნურვინ ჩამომართმევს, მაგრამ, არა მგონია, ჩვენი ისტორიისა და ტრადიციების პატრონთ ბევრი ვინმესი რაიმე გვქონდეს შესაშური. არადა, აშკარად მშურს, როდესაც ვხედავ, დიდ საკონფერენციო დარბაზებში, სტადიონებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ამერიკელები, როგორც ერთი, ისე რომ წამოდგებიან ეროვნული ჰიმნის გაგონებისას და სიამაყით ავსილი უსმენენ მას. ანდა, მისაბაძი არ არის, რომ ამ ქვეყანაში უმაღლეს ხელისუფალთან მიმართებაში სიტყვა „ექსი“ არ არსებობს და ნებისმიერი პრეზიდენტი, ყოფილი თუ მოქმედი, მუდამ პრეზიდენტად მოიხსენიება? იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში უფრთხილდებიან და პატივს სცემენ ჰიმნს, დროშას, პრეზიდენტს, რომელთაც ერის სახედ მიიჩნევენ.

ჩვენთან?

მჯერა, ჩვენთანაც მალე ასე იქნება, ერთიან საქართველოში, სულიერადაც და ტერიტორიულადაც ერთიანში.

მაგრამ ამისთვის, უკვე მიღწეულ-მოგვარებულის მიუხედავად, კვლავ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი როგორც შინ, ისე გარეთაც. უფრო მჭიდრო, საქმიანი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობებია დასამყარებელი მეზობელ სახელმწიფოებთანაც, შორეულ ქვეყნებთანაც, ბევრი მუშაობა გვმართებს ქვეყნის შიგნითაც.

სწორედ ამის შესახებ არის საუბარი დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულ მასალებში – „მშვიდობიანი კავკასიისთვის“, „პირამიდის პრიზმაში არეკლილი საქართველო“, „რწმენით და იმედით“–

მორიგე რედაქტორი.

ექსკლუზივი

პირამიდის პრიზმაში არეკლილი საქართველო

ყველა ჟურნალისტი დამეთანხმება – ამ საყოველთაო ლაქლაქის დროში ძალიან ძნელია ნახო ადამიანი, ვინც გამართული ქართულით ლაპარაკობს, სერიოზულად აანალიზებს მოვლენებს, და ინტერვიუზე დაგთანხმდება.

შემიძლია ვთქვა, რომ გამიმართლა, – ბატონი აპოლონ სილაგაძე საუბარზე დავითანხმე. მიზეზად მოვიდე, – მინდა მკითხველს თქვენი საელჩოს საქმიანობა გავაცნო-მეთქი. ვაღიარებ, მასთან საქართველოს დღევანდელობაზე საუბარს ვაპირებდი, რადგან ჩემი რესპონდენტი ის კაცია, ვისაც უნდა მოუსმინო. ჩვენი „ხუთწუთიანი“ საუბარი საათნახევარს გაგრძელდა.

ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. წარსულში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სემიტოლოგიის კათედრის გამგე, პრორექტორი, გაზეთ „სახალხო განათლების“ (შემდგომში „ერის“) მთავარი რედაქტორი, 1990 წელს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი, 1998 წლიდან საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში. საქართველოს წარმოადგენს სირიაში, ლიბანში და იორდანიაშიც.

არის 4 შვილის მამა.

ახლა, როცა ბატონი აპოლონის დოსიეს გაეცანით, როგორ ფიქრობთ, თქვენ არ იხელთებდით დროს, არ ისარგებლებდით მისი საქართველოში ყოფნით, ყველანაირად არ ეცდებოდით დაგეთანხმებინათ ინტერვიუზე და ბატონ აპოლონთან ექსკლუზიური საუბრით გაგემდიდრებინათ საკუთარი ბიოგრაფია?

თქვენ ისარგებლებდით.

არც მე გავუშვი ხელიდან შანსი.

და გთავაზობთ ამ საუბრის პირველ ნაწილს.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

ღრმავდება სამხედრო თანამშრომლობა

თურქეთსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები განიხილება თურქეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის სახმელეთო ჯარების ოპერაციათა დაგეგმარების განყოფილების უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ბეჰზად ბალთას თბილისში ვიზიტისას, რომელიც დღეს იწყება.

ბალთას ვიზიტის დროს დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს თავდაცვის მინისტრთან, გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძესთან და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძესთან.

შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროცესში თურქეთი დიდ დახმარებას უწევს საქართველოს. მან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გამოყო 5,5 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც გორის სასწავლო ცენტრში დახურული სასროლეთის მოწყობას, თბილისში სამხედრო სასტუმროს და სამხედრო აკადემიაში სპორტკომპლექსის მშენებლობას მოხმარდება.

მხარეები მოლაპარაკებას განაგრძობენ

რუსეთის მიერ საქართველოსთვის გადმოსაცემ სამხედრო ობიექტებთან დაკავშირებით მხარეები მოლაპარაკებებს გააგრძელებენ, ქართული მხარისათვის გადმოსაცემი 10 ობიექტის გარდა დაგეგმილი შეხვედრებისას მოლაპარაკებები დანარჩენი 36 ობიექტის თაობაზეც იწარმოებს.

მხარეებს შორის გასულ კვირას წარმოებული მოლაპარაკებები ფაქტობრივად ჩიხში იყო შესული, რადგან გადმოსაცემი ობიექტების ნაწილი იჯარით არის გაცემული, ან საერთოდ გაუქმებულია, მაგრამ რუსეთის მხარე მათ გადმოცემაზე უარს აცხადებდა.

რუსი სამხედროების მიერ საკითხისადმი ამგვარი მიდგომის გამო ქართული მხარე რუსეთის სამხედრო ობიექტების დაკავებას ცალმხრივი წესით აპირებდა.

დაიწყება მშვიდობისმყოფელთა როტაცია

ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალების საგეგმო როტაცია 28 ივნისს დაიწყება და 30 ივნისს დასრულდება, – აცნობა პრაიმ-ნიუსს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურმა, პოლკოვნიკმა ანატოლი ლიუბოჩკინმა.

როტაციის შემდეგ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში პოზიციებს ვლადიკავკაზში დისლოცირებული რუსეთის 58-ე არმიის სამხედრო მოსამსახურეები დაიკავებენ.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეულ საკონტროლო კომისიის მორიგ სხდომაზე, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში გაიმართება, შეაფასებენ სამშვიდობო ოპერაციის ეფექტიანობას.

განიხილეს აქტუალური პრობლემები

21 ივნისს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია. განიხილეს სანაპირო დაცვის სამსახურის მუშაობისთვის საჭირო ნორმატიული ბაზის განვითარების ღონისძიებები. დაგეგმილია შეხვედრა ფოთის სანაპირო სამსახურის ხელმძღვანელებთან.

ევგენი ევტუშენკო საქართველოს ეწვევა

ევგენი ევტუშენკო ივნისის ბოლოს თბილისს ესტუმრება, შემოქმედებით საღამოებს გამართავს და დამსწრე საზოგადოების წინაშე უკანასკნელ პერიოდში საქართველოსა და ქართველ მეგობრებზე დაწერილი ლექსებით წარსდგება.

როგორც ევტუშენკომ უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოში ორი მიზეზით ჩამოდის:

კერძოდ, 29 ივნისს პოეტის უახლოესი მეგობრის, აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპული ჯუმბერ ბეთაშვილის დაბადების დღეა. ამ ფაქტს პოეტმა ლექსი მიუძღვნა. ამასთანავე, მან აფხაზეთიდან ლტოლვილი გრიგოლიების ოჯახის უმცროსი წევრი, 2 წლის ავთანდილ გრიგოლია უნდა მონათლოს. ეს ოჯახი, აფხაზეთში საომარი მოქმედებების შედეგად სახლის დაწვის შემდეგ, გულრიფშში, ევტუშენკოს სახლში ცხოვრობდა.

ვიზიტისას პოეტი რაჭას ეწვევა, სადაც აქამდე არ ყოფილა.

ევტუშენკო უკანასკნელად საქართველოში თბილისში მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირების დროს იმყოფებოდა.

ურეკი მომავლის ქალაქია

საპრეზიდენტო პროგრამის – „ურეკი მომავლის ქალაქიას“ ოფიციალური გახსნის ცერემონიალი შედგა 20 ივნისს ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკში. პროგრამა – „ურეკი მომავლის ქალაქია“ – მეოთხე წელია მიმდინარეობს.

წლეულს კურორტ ურეკის პანსიონატებსა და სანატორიუმებში საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის რესპუბლიკური ფონდის ხარჯებით საქართველოს სხვადასხვა კუთხის 2500 ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახების წევრი ბავშვი დაისვენებს.

„სოცინტერნის“ სხდომას მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები დაესწრებიან

„სოციალისტური ინტერნაციონალის“ აღმასრულებელი საბჭოს სხდომა, რომლის მუშაობაში საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას ბუენოს-აირესში 24-26 ივნისს გაიმართება. მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლებს პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ნიკო ლეკიშვილი უხელმძღვანელებს.

სხდომის ძირითადი განხილვის საგანია „სოცინტერნთან“ თანამშრომლობის გაღრმავება. ამასთანავე, იმსჯელებენ მსოფლიოში სოციალისტური დემოკრატიის განვითარების საკითხებზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს მოქალაქეთა კავშირის საერთაშორისო მდივანმა ზვიად მუკბანიანმა განუცხადა, სხდომაზე „სოცინტერნის“ მიერ საქართველოში შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში „მოქკავშირის“ მხარდაჭერის ფაქტი დაფიქსირდება.

სხდომას დაესწრებიან როგორც შვედეთის, საფრანგეთის, დანიის და სხვა ქვეყნების პრემიერ-მინისტრები, ასევე „სოცინტერნში“ გაერთიანებულ პარტიათა წევრები. საქართველოდან მიწვეული სტუმრები, სხდომის მონაწილეებთან, მათ შორის სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალურ მდივანთან ლუის აიალასთან ინდივიდუალურ შეხვედრების გამართვას გეგმავენ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.

ინტერვიუ

მშვიდობიანი კავკასიისათვის

ბოლო პერიოდში მცხეთა-მთიანეთის მხარეში არაერთ მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი, რომელთა განხორციელებაც დიდ სიკეთეს მოუტანს არა მარტო ამ რეგიონს, არამედ მთელ საქართველოს.

ერთ-ერთ ასეთ ინიციატივაზე საქართველოს მწერალთა კავშირის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბადათერ არაბულს ესაუბრება პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში კობა ბუჩუკური.

იხ. მე-4 გვ.

დღის თემა

კოსოვოში ნაბიჯ-ნაბიჯ სრულდება ყველა ის მუხლი, რომლებზეც საერთაშორისო თანამეგობრობა ლაპარაკობდა

იუგოსლავიაში ომი დამთავრდა. განსხვავებული პროგნოზების მიუხედავად დამთავრდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. ერთ-ერთი პირველი, ვინც სწორედ ასეთ დასასრულს ვარაუდობდა, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იყო.

მართალია, რუსეთმა, კოსოვოში ბრძოლების შეწყვეტის შემდეგ, თავისი მარშით, ბოსნიიდან პრიშტინამდე 200-300-კაციანი ბატალიონით აეროპორტი რომ დაიკავა, მსოფლიოში პატარა შეშფოთება გამოიწვია და თითქოს კვლავ დაძაბულობა შექმნა, მაგრამ თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, ყველაფერი მაინც ნატოს პროგრამით განხორციელდა.

იხ. მე-3 გვ.

პარტიებსა და მოძრაობებში

რწმენით და იმედით...

სტუმრად – „თოფაძეთა მოძრაობის“ ოფისში

თბილისში, ვაკეში, ბარნოვის 69-ში მდებარე სახლს ყოველდღიურად იმდენი სტუმარი ჰყავს, რომ სახალხო მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მესვეურნი ზოგჯერ ვეღარც აუდიან მათ მიღება-გასტუმრებას.

ვის არ ნახავთ აქ: – სახელოვან მეცნიერებს, მწერლებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, მედიკოსებს, მასწავლებლებს, ჩვენი დედაქალაქის უბნების წარმომადგენლებს: – ხელოსნებს, მოვაჭრეებს, მეეზოვეებს, ახალგაზრდებს, სტუდენტებს. მოძრაობის ოფისში შემოსვლისთანავე ყველა ერთ კაცს – გოგი თოფაძეს კითხულობს.

აქ ასეთი წესია – ჯერ რაიონებიდან ჩამოსულებს ხვდებიან. ასე იყო იმ დღესაც... გორიდან, ქუთაისიდან, ლანჩხუთიდან, წალენჯიხიდან, გურჯაანიდან ჩამოსული სტუმრები რომ გაისტუმრეს, მისალებში ჩვენი ქურთი თანაქალაქელები გამოჩნდნენ. ვატყობ, მასპინძლის ძველი ნაცნობ-მეგობრები არიან, თან ახალგაზრდებიც ახლავთ.

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს

აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გუშინ ბონში გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრედერთან შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სერბეთი საერთაშორისო დახმარებას ვერ მიიღებს მანამ, სანამ ქვეყნის ხელისუფლების სათავეში სლობოდან მილოშევიჩი იქნება. მანვე განაცხადა, რომ ივლისში ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელიც ბალკანეთის ეკონომიკის აღორძინებას მიეძღვნება. გუშინვე კლინტონი სლოვენიაში ჩავიდა და მილოშევიჩის ოპოზიციონერს, ჩერნოგორიის პრეზიდენტს მილო ჯუკანოვიჩს შეხვდა.

გუშინ გვიან ღამით თავს დაესხნენ ჩეჩნეთის უშიშროების მეთაურს იბრაგიმ ხულტიგოვს. იგი გადარჩა. პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა განსაკუთრებული ზომების შესახებ განაცხადა შეიარაღებულ ბანდებთან საბრძოლველად.

ამინდი დღეს



დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა. ხანმოკლე წვიმა, ელჭექით აღმოსავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

დაბლობში: ღამით +15+20; დღისით +24+29.
მთაში: ღამით +10+15; დღისით +22+27.
მაღალ მთაში: ღამით +7+12; დღისით +19+24.

აღმოსავლეთ საქართველოში

ღრუბლიანი ამინდი, უმეტეს რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი.

ბარში: ღამით +12+17; დღისით +23+28.
მთაში: ღამით +9+14; დღისით +20+25.
მაღალ მთაში: ღამით +5+10; დღისით +18+23.

თბილისში

ღრუბლიანი ამინდი, ხანმოკლე წვიმა ელჭექით.

ღამით +15+17; დღისით +25+27.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 22 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.1422 ლარი
გერმანული მარკა	1	1.0483 ლარი
აშშ დოლარი	1	1.9710 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3126 ლარი
ევრო	1	2.0502 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0809 ლარი.

კანონმდებლები

საპარლამენტო უმრავლესობა პლენარულ სხდომაზე გასატან საკითხებს იხილავს

საპარლამენტო უმრავლესობა ეთანხმება „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას. ეს ითქვა საპარლამენტო უმრავლესობის 21 ივნისის სხდომაზე, რომელზეც შეეხნენ მიმდინარე კვირის პარლამენტის პლენარულ სხდომებზე განსახილველ კანონპროექტებს. „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება ევროსაბჭოს რეკომენდაციებიდან გამომდინარეობს და იგი ეხება პარლამენტში სახალხო დამცველის მიერ ანგარიშის წარმოდგენას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ. შესწორებების მიხედვით სახალხო დამცველი ვალდებული იქნება ეს ანგარიში პარლამენტის პლენარულ სხდომებზე წარმოადგინოს წელიწადში ორჯერ — მარტსა და ოქტომბერში.

კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონპროექტი გააცნო, რომელიც პარლამენტმა ამ კვირის პლენარულ სხდომებზე პირველი მოსმენით უნდა განიხილოს. საზღვარგარეთ საქართველოს საგანძურის გამოფენასთან დაკავშირებით კი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, კულტურის მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ საკითხს მოაწესრიგებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ხელშეკრულება, რომელიც საკონსტიტუციო შეთანხმების პროექტის მიხედვით დაიდება.

უმრავლესობის სხდომაზე იმსჯელეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონპროექტზე, მისგან გამომდინარე კი საერთო და უზენაესი სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. შეეხნენ სხვა კანონპროექტებსაც, რომლებიც პარლამენტმა ამ კვირის პლენარულ სხდომებზე უნდა განიხილოს.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

საქართველოს საზღვაო სანაოსნოში შექმნილი უმძიმესი ვითარება ხელისუფლების ყურადღების ცენტრშია. 20 ივნისს სწორედ ეს პრობლემა განიხილა სპეციალურმა კომისიამ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით.

სხდომაზე მოისმინეს იმ ჯგუფის ანგარიში, რომელიც სანაოსნოში შექმნილ კრიზისულ სიტუაციასთან დაკავშირებით საგანგებოდ შეხვდა სანაოსნოს ლონდონის ოფისისა და სანაოსნოს მთავარი კრედიტორის — ჰამბურგის ბანკის ხელმძღვანელებს.

სანაოსნოში შექმნილი ვითარება უსწრაფესი რადიკალური ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს

სხდომაზე იმსჯელეს არა მარტო ვითარების გამომწვევ მიზეზებზე, არამედ და უმთავრესად მისი დაძლევისათვის აუცილებელ ღონისძიებებზე. ამ თვალსაზრისით კომისიის წევრებმა განიხილეს სანაოსნოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ასლან სმირბას მიერ შემუშავებული წინადადებები, რომლებიც მან კომისიას წერილობით გამოუგზავნა, აგრეთვე, ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელება აუცილებლად მიაჩნია ჰამბურგის ბანკს.

კომისიის წევრები ერთსულოვნად შეთანხმდნენ, რომ, უწინარეს ყოვლისა, სასწრაფოდ და გადაუდებლად უნდა შეიცვალოს სანაოსნოს მართვისა და მენეჯმენტის მექანიზმი. ამ თვალსაზრისით სხდომაზე რამდენიმე შესაძლო ვარიანტი შემუშავდა.

როგორც კომისიის წევრები შეთანხმდნენ, უახლოესი დღეების განმავლობაში გაგრძელდება ინტენსიური კონსულტაციები ექსპერტების მონაწილეობით, მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. მოსალოდნელია, რომ ლონდონში კვლავ გაემგზავრებიან კომისიის წევრთა და ექსპერტთა ჯგუფი.

უშუალო კონტაქტები დააჩქარებს პოლიტიკური პრობლემის მოგვარებას

(პირველი გვერდიდან)

შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ორიოდ დღეში საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, ცხინვალის შესაბამის სტრუქტურათა წარმომადგენლების მონაწილეობით, სპეციალურად იმსჯელებენ ზამთრის პერიოდში რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხზე, აგრეთვე, მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პერსპექტივაზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ღონისძიებების ერთობლივად განხორციელების აუცილებლობას, რომლებიც საჭიროა ცხინვალის რეგიონიდან კონტრაბანდული ტვირთის დინების აღსაკვეთად. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დაადასტურეს თავიანთი დაინტერესება ამ პრობლემის უსწრაფესი მოგვარებით.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი უშუალო შეხვედრების უფრო ინტენსიურად გამართვას და აღნიშნეს, რომ ამგვარი კონტაქტები ხელს შეუწყობს არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საკითხების დროულად და წარმატებით გადაწყვეტას.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

მშვიდობის-მყოფელთა ხუთი წელიწადი

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებულ ქართველ და რუს მშვიდობისმყოფელთ 23 ივნისს დისლოცირებიდან 5 წელი უსრულდებათ.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 1994 წლიდან დღემდე 70-მდე რუსი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა, ხოლო 100-მდე დაიჭრა. რაც შეეხება ქართველ მშვიდობისმყოფელებს, კონფლიქტის ზონაში ისინი სამშვიდობო მისიას უდანაკარგოდ ასრულებენ.

1994 წლიდან დღემდე სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 1000-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა (უმრავლესობა ქართველი).

საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, რუსეთის თავდაცვის მინისტრი იგორ სერგეევი რუს სამშვიდობო ძალებს მილოცვის წერილს გაუგზავნის, აღნიშნეს თავდაცვის სამინისტროში. კონფლიქტის ზონაში განლაგებული საქართველოს სამშვიდობო ძალების პირადი შემადგენლობა კი 23 ივნისს ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობს თავისი მისიის შესრულებას.

ურჩ წვევამდელთა მფარველობაში ადანაშაულებს

წალკის რაიონში მცხოვრებ წვევამდელთა მხრიდან ჯარში გაწვევისაგან თავის არიდების მიზეზად ხშირ შემთხვევაში რაიონის თვითმმართველობის ორგანოები გამოდიან, — განაცხადა ორშაბათს პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ლევან მამალაძემ სამხარეო ადმინისტრაციის თათბირზე.

მისი თქმით, რაიონის ზოგიერთი საკრებულოს თავმჯდომარე წვევამდელებს ჯარში გაწვევისაგან თავის არიდებაში ეხმარება და მფარველობს კიდეც, რითაც საგაზაფხულო გაწვევის გეგმის შესრულებას რაიონში საფრთხე ექმნება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, პირველი მაისიდან დაწყებული საგაზაფხულო გაწვევა ივნისის ბოლოს მთავრდება. წალკის რაიონიდან ჯარში 20 წვევამდელის გაწვევაა დაგეგმილი, დღეისათვის კი მხოლოდ 9 ახალგაზრდის გაწვევა მოხერხდა. სულ რაიონში 1700 წვევამდელია რეგისტრირებული.

მამალაძემ ძალოვან სტრუქტურებს დაავალა ამ საკითხის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება.

აღმოჩენილია რადიაციის კიდევ ერთი წყარო

ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ორშაბათს აღმოჩნდა რადიაქტიური ნივთიერება — კობალტი-40. იგი თბილისის ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში მოთავსდება, — აცნობა პრაიმ-ნიუსს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რადიაციული ცენტრის უფროსის მოადგილემ სოსო კაკუშაძემ.

მისი თქმით, რადიაქტიურ წყაროს ერთ რენტგენამდე გამოსხივება აქვს, რაც ნორმას 30-40-ჯერ აღემატება.

ბოტანიკურ ბაღში რადიაქტიური ნივთიერება საგანგებო სიტუაციების თბილისის სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს.

კაკუშაძის თქმით, სათანადო აღჭურვილობის არარსებობის გამო, სპეციალისტებს უძნელდებათ საქართველოში არსებული რადიაქტიური ნივთიერებების აღმოჩენა.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

ოფიციალური ინფორმაცია

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დასაცავად

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, ხელს მოაწერენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის შემდეგ დამატებით ოქმებს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის ოქმი №1, პარიზი, 20 მარტი, 1952 წელი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის ოქმი №4, სტრასბურგი, 16 სექტემბერი, 1963 წელი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის ოქმი №6, სტრასბურგი, 28 აპრილი, 1983 წელი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის ოქმი №7, სტრასბურგი, 22 ნოემბერი, 1984 წელი. **(საქინფორმი).**

ექსკლუზივი

პირამიდის პრიზმაში არეკლილი საქართველო

(პირველი გვერდიდან)

„გარღვევა“ აღმოსავლეთისაკენ

— ბატონო აპოლონ, ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში. თუ შეიძლება ჩვენი საუბარი ამ ვიზიტით დავიწყოთ.

— ფაქტობრივად, ეს ვიზიტი იყო საქართველოს საელჩოს ერთი წლის მუშაობის შეჯამება. არაბული აღმოსავლეთი ის რეგიონია, რომელიც პირველად „ავითვისეთ“. ეგვიპტე პირველი ქვეყანაა, სადაც საელჩო გაიხსნა. რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან ძნელია საელჩოს მუშაობის შეფასება, მაგრამ ამ ვიზიტის შედეგებით შეიძლება ვიმსჯელოთ. მოხდა ძალიან სერიოზული „გარღვევა“ აღმოსავლეთისკენ. გაფორმდა ხელშეკრულებების პაკეტი. ფაქტობრივად, უნიკალური მოვლენის მომსწრენი ვართ — ხელი მოეწერა ათ ხელშეკრულებას, რაც, როგორც დიპლომატები ამბობენ, პრაქტიკულად სარეკორდო ციფრია.

ეგვიპტესა და საქართველოს შორის აქამდე ხელშეკრულებები არ გაფორმებულა და საქართველოს დელეგაციის ვიზიტი კაიროში, თანამშრომლობის ოფიციალური დოკუმენტებით განმტკიცება, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანია თავისი შინაარსითაც. ხელშეკრულებები ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ, ეკონომიკის, კულტურის და მეცნიერების, ტურიზმის, ვაჭრობის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ, გარკვეული პასპორტის მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლის შესახებ, — დაახლოებით ასეთია პაკეტი. დღის წესრიგშია კიდევ რამდენიმე ხელშეკრულების გაფორმება.

ამ ვიზიტის მნიშვნელობა ისიც არის, რომ ეს ხელშეკრულებები თაროზე არ დარჩება. ამის გარანტია თუნდაც ის, რომ კაიროში ვიზიტისას გადაწყდა ერთობლივი ეკონომიკური სამთავრობო კომისიის შექმნა. ერთიც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, — შეიქმნება ქართველ და ეგვიპტელ ბიზნესმენთა ასოციაცია.

ყოველივე აქედან გამომდინარე, იშლება ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის საკმაოდ საიმედო პერსპექტივა. ჩვენც ვართ დაინტერესებული ამ ქვეყნით, როგორც რეგიონული ლიდერით, აფრიკული ლიდერით, როგორც არაბულ სამყაროში ერთ-ერთი ლიდერით, ეკონომიკურად ძლიერი და სტაბილური სახელმწიფოთი. ისინიც არიან დაინტერესებული ჩვენი რეგიონით და კონკრეტულად საქართველოთი, როგორც სატრანსპორტო დერეფნით, თავისი პორტებით, გზებით, რკინიგზებით, რომელსაც შეუძლია ეგვიპტე ახალი რეგიონის ბაზრებთან დააკავშიროს.

— ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა საელჩოს როლი ამ ვიზიტის მომზადებაში. კონკრეტულად, რა გააკეთა საელჩომ ამ ერთი წლის განმავლობაში?

— საელჩოსთვის ეს ერთი წელი, გარდა იმისა, რაც მოგახსენეთ, იყო საელჩოს დაარსების და ჩამოყალიბების წელი. ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ, — ცარიელ ადგილზე, — შენობით დაწყებული და საელჩოს თანამშრომლების დამკვიდრებით დამთავრებული. შემდეგ იყო კავშირურთიერთობების დამყარება. მე ნაკლებად ძნელი და რთული მეგონა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკმაოდ დიდი დრო მიაქვს.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საელჩომ თავისი ადგილი დაიმკვიდრა, როგორც დიპლომატიურმა მისიამ. კაიროში 124 საელჩოა. ამას ემატება სხვა დიპლომატიური მისიები და სულ დაახლოებით 140 გამოდის. ასე რომ, იქ ადგილის დამკვიდრება, კავშირის დამყარება ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებთან საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესი იყო.

შემდეგი ეტაპი — ჩვენი ქვეყნის სახის ჩვენებაც საკმაოდ რთული იყო. ვერ ვიტყვი, რომ ამისათვის ნოყიერი ნიადაგი დაგვხვდა. რა თქმა უნდა, იქ სადაც საჭიროა, — ვგულისხმობ პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ინტელექტუალურ ელიტას, — ჩვენ ძალიან კარგად გვიცნობენ, მაგრამ ქვეყანა, ხალხი საქართველოს ჯეროვნად არ იცნობს. ამასთან, გარკვეული მუშაობა ჩვენს ჩასვლამდე უკვე ჰქონდათ გაწეული სხვადასხვა დიასპორას, ნაკლებად ეგვიპტეში, მაგრამ, საერთოდ, — არაბულ სამყაროში, რამაც ზოგჯერ არცთუ პოზიტიური დამოკიდებულებები შეგვიქმნა.

საჭირო იყო იმ აზრის საბოლოოდ დამკვიდრება, რომ საქართველო სტაბილიზაციის გზაზე მდგარი ქვეყანაა, რომ მას ტრადიციულად აქვს ლიდერის პოზიცია რეგიონში, რომ მას ენდობიან რეგიონშიც და გარეთაც, — ევროპაშიც და სხვა. ამ მხრივ მუშაობა რთული იყო და ამავდროულად ინტენსივობას მოითხოვდა.

რა თქმა უნდა, დიდ ქვეყნებს ძალიან ძნელია შეედარო სამხედრო-სამრეწველო თუ ეკონომიკური პოტენციალით. ამიტომ ჩვენი იარაღი კულტურაა. ჩვენც ამაზე გავაკეთეთ აქცენტი. კულტურის, ლიტერატურის, სამეცნიერო პოტენციალის ჩვენებით რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა. წლეულს, 26 მაისს მივუძღვენით ქართველი არაბისტების ნაშრომების გამოფენა. მე თვითონ არაბისტი ვარ, იქ წარმოდგენილ ყველა წიგნს კარგად ვიცნობდი, მაგრამ ჩემზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ერთად თავმოყრილმა გამოკვლევებმა. წარმოიდგინეთ, როგორ გააოცებდა ეს ყველაფერი არაბ დამთვალიერებლებს.

— ალბათ, ვერც კი წარმოედგინათ, თუ საქართველოში ასე იყვნენ დაინტერესებულნი აღმოსავლური კულტურითა და მეცნიერებით.

— ზუსტად ასეთი რეაქცია ჰქონდათ. პირდაპირ ამბობდნენ, რომ აღმოაჩინეს სრულიად ახალი სამყარო, ქვეყანა, რომელსაც მაღალგანვითარებული მეცნიერება აქვს. უფრო მეტსაც გეტყვით, — იქ ისეთი ქვეყნების წარმომადგენლებიც იყვნენ, სადაც არაბისტიკა და ორიენტალისტიკა ძალიან არის განვითარებული. მათაც კი აღიარეს, რომ ჩვენთან ძალიან მაღალ დონეზე დგას არაბისტიკა და ორიენტალისტიკა. ასე რომ, ამ გამოფენაზეც აღმოაჩინეს საქართველო. სხვათა შორის, იმ გამოფენაზე მომიწია ლექციის წაკითხვამ არაბისტიკაში და ქართულ-ეგვიპტურ ურთიერთობებზე და იქაც ბევრი რამ მათთვის აღმოჩენა იყო. ის, რომ საქართველოს ეგვიპტესთან დიპლომატიური ურთიერთობები აქვს მე-11 საუკუნიდან, მათთვის დიდი მოულოდნელობა იყო. მიუხედავად აუდიტორიის რესპექტაბელურობისა და განსწავლულობისა, მათთვის სიახლე იყო ქართველი მამლუქების მოღვაწეობა. მოულოდნელი იყო ისიც, რომ მე-18 საუკუნეში 50 წლის განმავლობაში ეგვიპტეს ქართველი მამლუქები მართავდნენ. ეს ის პერიოდია, როცა ეგვიპტეში [illegible] ლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას მეთაურობდნენ ქართველი მამლუქები. ალიბეი ალ ქაბირი იყო მათი ლიდერი. სწორედ მან გამოაცხადა ეგვიპტე დამოუკიდებელ ქვეყნად. გამოფენაზე კი ძალიან გაუკვირდათ, რომ იგი ქართველი იყო, ისევე, როგორც იბრაჰიმ ბეი და მურად ბეი.

ჩვენ დავამეგობრეთ უნივერსიტეტები. თბილისში იყო ჩამოსული კაიროს უნივერსიტეტის დელეგაცია, შემდეგ ბატონი როინ მეტრეველის მეთაურობით თბილისის უნივერსიტეტის დელეგაცია იმყოფებოდა კაიროში და ხელი მოეწერა ბევრ საინტერესო ხელშეკრულებას. კაიროს უნივერსანტებმა იცოდნენ ქართული სამეცნიერო სკოლის სიძლიერის შესახებ და ამ კონტაქტებმა კიდევ უფრო მეტად გაათვითცნობიერა ისინი ქართულ მეცნიერებაში.

ასე რომ, ის ეტაპი, რაც პირველად დამყარებულ დიპლომატიურ ურთიერთობას ახლავს, გადაველახეთ. გარკვეული ნდობა გაჩნდა და ურთიერთობები ჩამოყალიბდა, თუ ხელი არ შეგვიშალა ვიღაც პოლკოვნიკების თუ ვიცე-პოლკოვნიკების გამოსვლებმა. ეს ინფორმაცია იქ ქვეყნდება და თუ ასეთი ფაქტებით ხელი არ შეგვეშალა, სხვა მხრივ პროცესი ნორმალურად ვითარდება.

უკან — ფეოდალიზმისაკენ?

— ბატონო აპოლონ, თქვენ საკმაოდ წონად სიტყვას ამბობდით ქართულ პოლიტიკაში. არ შემიძლია შემთხვევით არ ვისარგებლო და საქართველოში მიმდინარე პროცესებზეც არ გკითხოთ. ეგვიპტიდან როგორ ჩანს საქართველო? ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც თბილისში არ იმყოფებოდით, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი რა მოხდა, საით მიდის ჩვენი ქვეყანა, რომელ ტენდენციებს გამოყოფდით?

— იქიდან კიდევ უფრო მეტად ჩანს, რომ საქართველოს აქვს ძალიან დიდი შესაძლებლობები თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ევროპაში იმიჯით. სამწუხაროდ, ისიც ჩანს, რომ ამ შესაძლებლობების რეალიზებას ჩვენ შიგნიდან — საზოგადოება და ხალხი, და გარედანაც, მთლად ვერ ვახერხებთ. რა თქმა უნდა, გარე და ობიექტური ფაქტორები ხელს გვიშლის, მაგრამ ვერ ვიტყვით იმას, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ხალხი კოლექტიურად ვაზროვნებთ სახელმწიფოებრივად და სხვა ყველაფერი, — კერძო, პირადული, პარტიული გვერდზე გვაქვს გადადებული. მართალია, აღვადგინეთ სახელმწიფო, მაგრამ შენებას ვიწყებთ ნულიდან. სამწუხაროდ, საქართველოზე საუბრისას გამოგვრჩა ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია. ვამბობთ, რომ კაპიტალიზმის გზით მივდივართ. მაგრამ, მე მგონი განზე გვრჩება ერთი მომენტი. ეს არის ფეოდალიზმის [illegible] სამწუხაროდ, შევამჩნიე.

— სამწუხაროდ, ეს მოვლენა მხოლოდ თქვენ არ შეამჩნიეთ. ეს არის, იქნებ, საბედისწერო რეალობა. არ მინდა ვთქვა, რომ ქვეყნის რეგიონულმა მოწყობამ ვერ გაამართლა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია — რეგიონებში ჩამოყალიბდნენ ფეოდალებად. გაჩნდა კასტები, გვაროვნული თუ ნათესაური კლანები, ვინც ხელში აიღო არა მარტო სახელისუფლებო სადავეები, არამედ მძლავრი ეკონომიკური ლობიც შეიქმნა, და არა მხოლოდ რეგიონში, დედაქალაქშიც.

— მე გაცილებით გლობალურად ვხედავ ამ პრობლემას, როდესაც ვამბობ ფეოდალიზაციას. მეშინია, რომ ის, რაც გაკეთდა, რა წარმატებებსაც მიაღწია საქართველომ მე-19 საუკუნიდან, არ დაიკარგოს. რუსეთის საქართველო არ შეუერთებია. ამის არც დოკუმენტი არსებობს. მიერთებული არის ქართლი და კახეთი, იმერეთი, აფხაზეთი, სვანეთი, სამეგრელო — სულ ცალ-ცალკე და სხვადასხვა წელს. საქართველო, ერთიანი სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა ათი საუკუნის, ცოტა მეტი ხნის წინათ, მე-19 საუკუნის სინამდვილეში არ გვქონია. ჩვენ ის ეტაპი, როცა არავითარი სახელმწიფოებრიობა არ გვქონია, გადაველახეთ ილია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრეების მეოხებით. ისე გადაველახეთ, რომ 1918 წელს, როცა დამოუკიდებლობა გამოცხადდა, არავის უკითხავს, რის საფუძველზე უნდა შექმნილიყო სახელმწიფო; არავის უკითხავს, ვინ ჩაუყარა საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ გალმერთებული გვყავს, ბოლომდე არ არის გაცნობიერებული, შეფასებული ილიას ღვაწლი სამშობლოს წინაშე. სწორედ მან შექმნა მე-19 საუკუნეში საქართველო. მეფის რუსეთის მიერ ნაწილ-ნაწილ მიტაცებულ კუთხეებს გვირგვინი დაადგა. სწორედ ილიას საქართველო გამოაცხადეს 1918 წელს სახელმწიფოდ. პლუს ამას, საქართველო რომ დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოა თავისი ტერიტორიებით, განამტკიცა საბჭოთა პერიოდმა, — მიუხედავად იმისა, რომ მთელი საქართველო მიიტაცა, შემოუსაზღვრა ტერიტორიული საზღვრები. თქვენ გახსოვთ გიორგი მაზნიაშვილის ბრძოლა ბათუმის განსათავისუფლებლად. მაშინ სულ რამდენიმე დღის შემოსული იყო საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში.

მე ძალიან მეშინია, რომ ამ ერთიანი საქართველოს ცნება იდეაშიც კი დარღვეულია. ძალიან მეშინია! ყოველ შემთხვევაში, მე მაქვს პლუსები, — შორიდან რაღაც კარგად ჩანს. მაგრამ შეიძლება მინუსებიც მაქვს, — შორიდან ბევრი რამ არ ჩანს და შეიძლება ვცდები. მაგრამ ეს ნიშნები არის. ილიასთვის და იგივე საბჭოთა პერიოდისთვის სამეგრელო, ქართლი, კახეთი, იმერეთი და სხვა — ეს იყო ეთნოგრაფიული კუთხეები და მეტი არაფერი. დღეს მეშინია, რომ უკვე ცოტა მეტზეა ლაპარაკი. ეს ერთი. [illegible] მხებიც ჩანს. ტყვედ წაყვანა და გაყიდვა, მე მგონი, არ არის კაპიტალიზმის შემადგენელი ნაწილი ან გარეგნული ატრიბუტი. ფეოდალური ყოფის ელემენტი კი ნამდვილად არის, ისევე, როგორც ფეოდალთა მიკედლება. გაბრაზდებოდა და წავიდოდა თურქეთში; გაბრაზდებოდა თურქეთზე, წავიდოდა ირანში და ა. შ. რაღაც ეს ელემენტები ჩნდება ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ, მე მეშინია, რომ ის ამოცანა, რაც დასვა ილიამ და გადაჭრა მე-19 საუკუნემ, არ დავკარგოთ...

ვიტყვი ძალიან ხაზგასმით, — ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად არის დამნაშავე ხელისუფლება. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ეს არის ჩვენი ელიტის, ინტელიგენციის და მერე მთელი ჩვენი საზოგადოების „დამსახურება“. მე ფრაზებიც კი შევამჩნიე — „კახეთი და მისი ლიდერი“, „ქართლი და მისი ლიდერი“, „სამეგრელო და მისი ლიდერი“. ლიდერი ჰყავს სახელმწიფოს და ამ ლიდერს ირჩევს ელექტორატი, ჰყავს მოძრაობას, ვთქვათ, განმათავისუფლებელს, ლიდერი ჰყავს პარტიას. ძალიან მწირი იქნება ჩვენი საუბარი, თუ ჩვენ არ ვიფიქრებთ სახელმწიფოზე და სახელმწიფოებრიობაზე. მე ვლაპარაკობ მიდა მოვლენებზე, რომლებსაც ვხედავ საქართველოში, ქართულ საზოგადოებაში.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ ხელისუფლებაში მოსვლის, ან, დავარქვათ თავისი სახელი, — ხელისუფლების ხელში ჩაგდების გამო, ხდება რაღაც გარკვეული ძალების მხრიდან სწორედ სახელმწიფოებრიობის იდეის ჩაკვლა. სწორედ ერთიანი სახელმწიფოს დაშლას ემსახურება კუთხეების ერთმანეთზე მტრად მოკიდების პროვოცირება, რაც ხშირად შიგნიდან ხდება ან გარე ძალების მიერ იმართება და ამ შემთხვევაშიც ქართველებს იყენებენ ქვეყნის დასაქუცმაცებლად?

— ფეოდალური დაქუცმაცებულობის უპირველესი ნიშანი სწორედ ეს არის. ორიენტირის საკუთარ თავზე აღება, საკუთარი გაძლიერება. მაგრამ ყველა შემთხვევაში უნდა გაჩნდეს და გამოქვეყნდეს გამაერთიანებელი იდეა. ეს იდეა არსებობდა, როცა ჩვენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვიყავით — ეს იყო დამოუკიდებლობა. გახსოვთ, ალბათ, ამ იდეის გარშემო დაირაზმა მთელი საქართველო.

სახელმწიფოს უმთავრესი იდეა — დემოგრაფია

— დღეს რა მიგაჩნიათ უმთავრეს იდეად?

— 1988 წელს, როცა ვწერდი, რომ მთავარია ერსა და სახელმწიფოს ჰქონდეს იდეა, არ ვაკონკრეტებდი. მაგრამ დღეს ერთ-ერთ უმთავრესად მიმაჩნია დემოგრაფიული ვითარების გამოსწორება. კოსოვოს ტერიტორია ალბანელებს ძალით არ დაუპყრიათ. ალბანელები გამრავლდნენ ექვსჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე სერბები. და ამიტომ გახდა კოსოვო ალბანური. იყვნენ ემიგრანტებიც — ენვერ ხოჯასგან გამოქცეულები იოსებ ბროზ ტიტომ შეიფარა. დემოგრაფიულმა სიტუაციამ გამოიწვია ალბანური პროვინციის შექმნა. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ საქართველოს დემოგრაფიულად უნდა მოვუაროთ. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დროსაც კი ეს იდეა გაცნობიერებული იყო. დაახლოებით 40 წლის წინათ აკადემიკოსი ჟორდანია მოსკოვიდან ჩამოვიდა ამ იდეის სარეალიზაციოდ. დააარსა სპეციალური ინსტიტუტი, რომლის ამოცანა გაცილებით ფართო და ეროვნული იყო — გამრავლება. შესაძლებელია ასეთი იდეა. მთავარია იდეა იყოს გამაერთიანებელი და მუშაობდეს ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის.

— ბატონო აპოლონ, თქვენ ალბანური კოსოვო ახსენეთ. მე გეტყვით საპირისპირო მაგალითს. აფხაზეთში აფხაზთა გამრავლებას ხელი შეუწყო არა დემოგრაფიულმა ვითარებამ, არა ეთნიკური აფხაზების შობადობის გაზრდამ, არამედ იმან, რომ ბევრი ქართველი გააფხაზდა და ეროვნებაც გამოიცვალა გარკვეული პრივილეგიების მოპოვების მიზნით. ასე რომ, აფხაზეთში კოსოვოსგან რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით. კოსოვო მთლიანად ალბანური პროვინციაა. მიუხედავად იმისა, რაც მოგახსენეთ, აფხაზეთი მაინც რჩებოდა ქართული სახელმწიფოს ნაწილად და ამას ეჭვქვეშ არავინ აყენებდა. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ დომინანტი ერი თავისი მიწაწყლიდან გამოდევნა ხელოვნურად შექმნილმა ეთნიკურმა ჯგუფმა.

— ტიპოლოგიურად იგივე სიტუაციაა. სწორედ იმის გამო, რომ დემოგრაფიული სიტუაცია იყო ჩვენს სასარგებლოდ, გადაატრიალეს ჩვენს საწინააღმდეგოდ. ამიტომ გამოდევნეს ქართველები იქიდან. ამიტომ ვამბობ, რომ დემოგრაფიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ არის დომინანტი ერი, სატიტულო ერი. აფხაზეთში რომ აფხაზები არ იყვნენ ასეთები, სწორედ ამიტომ გამოდევნეს ქართველები. იმიტომ, რომ ეს უდიდესი ფაქტორია.

— აფხაზებისთვისაც გასაგები გახდა, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა დემოგრაფიას.

— უნდა გითხრათ, რომ ეს არ არის ჩვენი ინტერვიუს პრობლემა. ამას სპეციალური მსჯელობა სჭირდება.

— ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ. თქვენ არა მხოლოდ უკანასკნელ წლებში, ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზეც ნათლად ასახავდით ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას და კომპეტენტურ ანალიზსაც გვთავაზობდით. თქვენი პუბლიცისტური წერილები შემდეგ ყოველწლიურად კრებულებად გამოიცემოდა და დღესაც თუნდაც მხოლოდ ამ კრებულების წაკითხვით შეექმნება ადამიანს ნათელი წარმოდგენა იმდროინდელ მოვლენებზე. ასე რომ, ამ თემებზე საუბრისას თქვენ საკმაოდ ბევრი გაქვთ სათქმელი.

— ახლა გამოვიდა ჩემი და პროფესორ ვახტანგ გურულის ახალი წიგნი „ თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში“. გამოქვეყნებულია უცნობი დოკუმენტები, თუ როგორ უნდოდათ რუსიფიცირება ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდამდე, მე-20 საუკუნის დასაწყისში. ამ დოკუმენტებში ძალიან კარგად ჩანს, რა თავგანწირვით იბრძოდა იქაური ქართველობა, უპირატესად, მეგრელები, თავიანთი ქართველობის შესანარჩუნებლად. დღესაც ისევეა დასაცავი ჩვენი ქართველობა, როგორც მაშინ იყო. ამიტომ, უფრო მეტი გულისტკივილით უნდა შევხედოთ ჩვენს გამაერთიანებელ იდეას. თედო სახოკია, ივანე გეგია, ივანე ჩხენკელი, ჯუღელი, ნორაკიძე და სხვები აფხაზეთში ძალიან კარგად ხედავდნენ იმდროინდელ სურათს, რომ ერთი წამითაც არ შეიძლება მოდუნება. ამიტომ დიდი შემართებით იბრძოდნენ, რომ ქართული ენა არ დაკარგულიყო, წირვა-ლოცვა ქართულად შესრულებულიყო, რასაც თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა პეტერბურგი, ქართულ სამრევლო და არასამრევლო სკოლებში ქართულად ყოფილიყო სწავლა-განათლება და ა. შ. ეს ყველაფერი პრობლემები იყო თავის დროზე და გადალახეს ისეთ რთულ რეგიონშიც კი, როგორიც აფხაზეთია. ანდა გავიხსენოთ მემედ-ბეგ აბაშიძის თავგანწირული ბრძოლა აჭარაში.

ასე რომ, მე, ალბათ, ვაჭარბებ, მაგრამ ძალიან მეშინია, შიგნიდან არ გამოვიხრათ. იმიტომ, რომ ჩვენ დიფერენცირების პროცესი, ვიმეორებ, გადალახული გვქონდა კუთხურ-ეთნოგრაფიულ და სოციალურ ნიადაგზეც ჯერ კიდევ ილიადან მოყოლებული და მერე საბჭოთა პერიოდშიც. გათიშულობა გადაილახა ჯერ კიდევ მაშინ. მე ახალ ტენდენციებზე ვლაპარაკობ. სოციალურადაც შეიმჩნევა ძალიან დიდი დიფერენციაცია, რაც თავის დროზე გადალახული იყო, და მეშინია, რომ კუთხურადაც. მე ეს მიმაჩნია ყველაზე მთავარ პრობლემად, თორემ ჩვენ ეკონომიკურ სიდუხჭირეს, მატერიალურ გაჭირვებას დავძლევთ.

მე-17 საუკუნე რომ ჰქონდა საქართველოს, — ყველაზე უბედური პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, — აღარ იქნება. ამიტომ ეკონომიკურ გაჭირვებას გავუძლებთ. მთავარია ერთიანი საქართველოს იდეა. სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

ესაუბრა
ბონდო მძინარაშვილი.

(დასასრული იქნება)

პარტიებსა და მოძრაობებში

რწმენით და იმედით...

(პირველი გვერდიდან)

გოგი თოფაძე ფეხზე დგება, სათითაოდ ყველას ხელს ართმევს. მოიკითხავს... არა, აქ განსაკუთრებული არაფერია — ჩვეულებრივი თბილისური სცენაა, თუმცა... ამჯერად მას რაღაც ახალი ნიუანსი — იმედისა და თანადგომის ელფერიც ახლავს. მართლაც, აქ ყველა იმედისა და თანადგომისათვის მოდის. იმედი კი როგორ არ უნდა ჰქონდეთ — მარტო გოგი თოფაძის საწარმოებსა და მომსახურების ობიექტებში დღეს უკვე ათასობით ადამიანი მუშაობს... მათ შორის არიან ჩვენი ქურთებიც, ასევეა მისი თანაგუნდელების საწარმოებშიც... გამოჩნდა კიდეც — დამფუძნებელ ყრილობაზე, ამ ერთი თვის წინათ რომ შედგა, — ათასამდე დელეგატი ჩამოვიდა თბილისში საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. მას შემდეგ, ყოველდღიურად ფართოვდება ამ პოლიტიკური მოძრაობის არეალი, ფუძნდება მისი პირველადი ორგანიზაციები, ბოლო არ უჩანს საწარმოების, ორგანიზაციების კოლექტიურ განცხადებებს ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში გაერთიანების თხოვნით.

მართლაც, რას მოჰყავს ეს ხალხი თოფაძესთან, რატომ ხდება, რომ ყველა ასე მოილტვის „მრეწველთა მოძრაობაში"? — მოჰყავს რეალობას, ქვეყნის კეთილდღეობის ასამაღლებლად დაწყებულ კონკრეტულ საქმეს, პრინციპულობას, რომელსაც ისინი ცხადად ხედავენ და გრძნობენ.

კარგად მახსოვს, ჩვენი ცნობილი კინორეჟისორის გიზო გაბესკირიას გულწრფელი ფრაზა, რომელიც შემდგომ ამ პატრიოტული მოძრაობის რეფრენადაც კი იქცა: — „მე აქ იმედმა და რწმენამ მომიყვანა". ან კიდევ, სახელგანთქმული ქართველი მედიკოსის, პროფესორ ლაური მანაგაძის ნათქვამი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ჩვენი საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას ამ მოძრაობისადმი: — „მოვედი მათთან, ვინც პირნათელია ხალხის წინაშე და იბრძოლებს და ილვაწებს მისი კეთილდღეობისათვის".

ვფიქრობ, აქ ყველაფერია ნათქვამი.

მოდი და, ნუ გაგეცინება, ამ ფონზე, მართლაც, სასაცილოდ ჟღერს ჩემი ზოგიერთი კოლეგის ცინიკური დამოკიდებულება მოვლენისადმი, რომელიც ჩვენს თვალწინ დაიბადა და ყველას სიტყვისა და კონკრეტული საქმის ერთიანობისაკენ მოგვიწოდებს. ჯერ მარტო საგაზეთო ინტერპრეტაციებს დააკვირდით: — „წითელი დირექტორების გაერთიანება", „მელუდეთა მოძრაობა", „ერთი ფირმის პარტია", „ყაზბეგის მეპატრონე" და კიდევ სხვა ამგვარი. მიკვირს, ღმერთმანი, როდემდე უნდა გვიღრღნას შიგანი საბჭოურმა მენტალიტეტმა ისე, რომ არ დაგვანახოს ის სიკეთე, რაც ჩვენსავე თვალწინ ხალხის წიაღში იშვა და ძალას იკრებს. მისაღებში მომსვლელთა ნაკადმა იკლო. საათს დავხედე — ღამის პირველი სრულდებოდა და, დაიწყო კიდეც ადრე დათქმული საუბარი ბატონ გოგი თოფაძესთან.

მრეწველობა
გადაარჩენს
საქართველოს

— ბატონო გოგი, თქვენი და თქვენი კოლეგების მიერ წამოწყებული მოძრაობა დღითიდღე სულ უფრო პოპულარული ხდება. იმას, რაც დღეს თქვენი პარტიის ოფისში ვნახე, სიმართლე გითხრათ, ვერც წარმოვიდგენდი. ეს რა, „ტოტალური" მობილიზებაა, თუ რაღაც ერთჯერადი აფეთქება?

— გეტყვით: არ მეგონა, თუ ასეთ ვითარებაში აღმოვჩნდებოდი. აი, ახლაც ღამის პირველი საათია და ხალხი ისევ გვეწოლება. ვინ არ მოდის, საიდან არ მოდიან. მარტო დღეს, როგორც ნახეთ, საქართველოს ექვსი რაიონის წარმომადგენლები მივიღე. ყველა თანადგომას გვიცხადებს, საქმიან წინადადებებს გვთავაზობს, ჩვენი მოძრაობის პირველადი ორგანიზაციის დასაფუძნებლად გვეპატიჟება რაიონში. ცხადია, ისეთებიც მოდიან, საკუთარი ინტერესების მიღმა რომ ვერ იხედებიან, მაგრამ რა ვქნა, ვალდებული ვარ, ყველას მოვუსმინო. რა ყოფილა ეს პოლიტიკა... მაგრამ, რაკი დავიწყეთ და მიზანიც დავისახეთ, იძულებული ვართ, ყველაფერი გავიაზროთ, რათა მთელი ძალისხმევა ქვეყნის სასიკეთოდ მივმართოთ.

აბა, სად წავიდეს ეს ხალხი. — იმათთან, ვინც წლების მანძილზე მხოლოდ ბაქიაობას, უსაგნო ლაქლაქსა და ურთიერთდაპირისპირებას უნდება და ქვეყანა ამ დღეში ჩააგდო? ეტყობა, დაგვიჯერეს, რომ ჩვენი ტკივილი გაითავისეს, თუმცა, სხვებსავით პენსიებსა და ხელფასებს არ ვპირდებით, პირიქით, შესაძლოა მათ მინორულ განწყობილებას ჩვენსასაც ვუმატებთ, როცა ვეუბნებით, რომ კარგა ხანს ვერ დავაღწევთ თავს ამ ვითარებას... მაგრამ ამას მეორე, პოზიტიური მხარეც აქვს: — თუ პრინციპულები ვიქნებით, ძალიან მალე დავდგებით ფეხზე. ამის საფუძველს იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და ჩვენს მიერ უკვე შემუშავებული საქართველოს რეგიონული თუ დარგობრივი განვითარების პროექტები, საგადასახადო კოდექსის პროექტის სრულიად ახალი ვარიანტი, რომლის დახვეწა-გაშალაშინებაზე ახლაც ვმუშაობთ.

— როგორც ვხედავ, თქვენი მოძრაობა მართლაც არ აპირებს ცარიელი ხელით მოსვლას პოლიტიკაში. როდესაც ამ საკითხზე ჩვენს ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტებს ვესაუბრები, ისინი მარწმუნებენ, რომ მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ეკონომიკური პროგრამა საქართველოს აღორძინების „დიდი ბიზნეს-გეგმაც" არის. ეს ცოტა პრეტენზიულ განაცხადად ხომ არ გეჩვენებათ?

— მოდით, ასე ვიტყვი: — ჯერ მხოლოდ სიტყვით გამოვაცხადეთ ის, რაც გვინდა განვახორციელოთ და ხალხის მოძალებას ვერ ავუდივართ. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როცა ეს ყველაფერი რეალურად ამოქმედდება. პირდაპირ გეტყვით, დღეს საქართველოში არავინ ფიქრობს არც დიდ და არც პატარა „ბიზნეს-გეგმაზე". ჩვენი ჩინოვნიკობა დღეს რომ საოცრად კორუმპირებულია, კარგად ვიცით და არც ვმალავთ. აი, სწორედ ეს ჩინოვნიკები უნდა მოვაცილოთ საქმესაც და პრეზიდენტსაც. მათ ადგილზე უნდა მოვიდნენ ნამდვილი პატრიოტი, პროფესიონალი ქართველები, რომლებსაც შევუქმნით სათანადო პირობებს. ყოველი დიდი გეგმა პატარა ბიზნეს-გეგმებისაგან შედგება. აი, სწორედ ამ პროცესის დაწყებას აპირებს ჩვენი მოძრაობა. არის კიდეც საოცარი შესაძლებლობები — უბრალო ჩირიდან თუ ჩურჩხელიდან დაწყებული, თიხის ნაწარმით დამთავრებული. ახლა ჩვენთან თვითმფრინავების გამოშვებასაც კი აპირებენ, თქვენ თვითონ წერდით ამის შესახებ. — **მეუბნება ბატონი გოგი და განაგრძობს:** — თუ გვინდა ეს ყველაფერი საბაზრო პრინციპებით გაკეთდეს, მაშინ უნდა შევქმნათ სათანადო პირობები. ხოლო თუ სახელმწიფო მოისურვებს, ეს ყოველივე გაითვალისწინოს, დაიდოს, ბატონო, წინ ასეთი „ბიზნეს-გეგმა" და მის განხორციელებაში ყველანი მხარში ამოვუდგებით, არ ვიცი, ღმერთმანი, ისეთს რას ვამბობთ, რომ ჩინოვნიკობამ, ლამის არის, შეგვჭამოს, თუმცა... ვიცი, ზოგს რა მუცლის გვრემაც სჭირს: — თუ ჩვენი მოვიწიეთ და ჩვენივე ვაწარმოეთ, მაშინ ამ გაწუწკებულ ხალხს ხომ პირიდან იმ ლუკმას გამოვაცლით, წლების მანძილზე სხვადასხვა გზებით რომ შემოაქვთ უცხოეთიდან. აბა, მითხარით, უბრძოლველად ამას ვინ დაგვანებებს? — ეს ხომ მარტო ჩვენ არ ვიცით, — ყველამ იცის. ამიტომაც სადაც ჩავედით და დავფუძნდით, ისეთი ხალხმრავლობა იყო, რომ, ცოტა ხუმრობით თუ ვიტყვი, ადამიანები ლამის ჭაღებზე ეკიდნენ. არა, ეს ძალითა თუ დაპირებებით მოყვანილი ხალხი არ გეგონოთ, ისინი იმიტომ მოდიან, რომ სჯერათ ჩვენი მოძრაობის, მისი მიზნებისა და ამოცანების. ღმერთმა ქნას, შევძლოთ ამ ნდობისა თუ რეიტინგის შენარჩუნება და ჩვენს რიგებში სუფთა, პატიოსანი, პატრიოტი პროფესიონალების მოზიდვა, მაშინ, ვფიქრობ, პრობლემები არ შეგვექმნება.

— თავად თქვენ როგორ ხსნით ამ პროცესს, საქართველოში იმდენი პარტიაა, რომ, ლამის, გინესის წიგნში შევიტანოთ. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დროა დამთავრდეს ე.წ. „სიტყვის პერიოდი" და უშუალოდ საქმეზე გადავიდეთ?

— ცხადია, ნიშნავს. ჩვენი ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი სწორედ ის არის, რომ მიზნად გვიხასავთ საქართველოს, მისი მომავლის გადარჩენა, არა სიტყვით, არამედ — საქმით. ჩვენ ყველანი საქმის ხალხი ვართ და კონკრეტული საქმიდან მოვედით. დღეს ყველა ნორმალურ ქვეყანაში სახელმწიფო თუ საკანონმდებლო სამსახურში მყოფ მოხელეებს ერთადერთი ნიშნით — მათი საქმის შედეგიანობით ირჩევენ და ახასიათებენ. ნახეთ, ჩვენთან რა ხდება? — საქმიან ხალხს იმდენი არაფრის გამკეთებელი გვხელმძღვანელობს, რომ გაგიკვირდება... ეტყობა, კიდეც საქმეს მათი „მოღვაწეობის" შედეგი — თავიანთი გაუთვითცნობიერებლობითა და უვიცობით თუ რა დღეშიც გვაგდებენ, ამაზე არა ერთხელ მითქვამს და დღეს აღარ გავიმეორებ. ჯერჯერობით რაღაც საშუალებებით კიდევ ვუძლებთ, მაგრამ როდემდე? როდემდე გაუძლებს მათ ალვირახსნილობას ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტი?

— ბოდიშს ვიხდი, პრეზიდენტთან დაკავშირებით გამახსენდა, ვიდრე პარიზში ბრძანდებოდით და თქვენს პარტნიორ პიერ კასტელთან ერთობლივი საწარმოს ბედზე მსჯელობდით, ჩვენმა პრეზიდენტმა ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა — „დღეს საქართველოს კეთილდღეობა ბიზნესის კეთილდღეობაზე გადის". ვფიქრობ, ეს მრავლისმეტყველი ფაქტი ცხადად მიგვანიშნებს მის დამოკიდებულებაზე იმ პრობლემებთან, რაც დღეს ასე აწუხებს ჩვენს ბიზნესს, ბიზნესმენებსა და მეწარმეებს.

— ღმერთმა ქნას, ეს ჭეშმარიტება მან ცხოვრებაშიც გაატაროს. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტმა უნდა აიძულოს ეკონომიკის მესვეურნი რეალურად მიხედონ იმ პრობლემებს, რაც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას საქართველოში. როდემდე უნდა ვიყოთ ასეთ ჩხუბსა და დავიდარაბაში, ისეთ ატმოსფეროში, როცა ყველა ჩვენ გვლანძღავს, „წითელ დირექტორებს", „ურჩ გადამხდელებსა" და, ვინ მოთვლის, კიდევ რას არ გვიწოდებს. აი, როცა პრეზიდენტი ამ შესანიშნავი ფრაზის არსისა და შინაარსის პრაქტიკულად გატარებისათვის პასუხს მოთხოვს ზოგიერთ ვაირეფორმატორს, სწორედ მაშინ დაიძრება საქმე, სწორედ მაშინ დაფასდება ბიზნესმენი, რომელსაც დღეს ყველა მხოლოდ გამოძალვის ობიექტად აღიქვამს. მეწარმე მგლეჯავი და მტაცებელი რომ არ არის და იგი ქვეყნის ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელია, ამას თავად პრეზიდენტი აცხადებს, და ეს იმიჯიც უპირველესად მანვე, [illegible], ხელისუფლებამ უნდა დაამკვიდრონ საზოგადოებაში. მეწარმეს, რომელიც საწარმოს ამუშავებს, ხალხს ასაქმებს და ამ ჯოჯოხეთურ პირობებში რაღაც სიკეთეს აღწევს, დამუქრება კი არა, მოფერება და გაფრთხილება სჭირდება. პირდაპირ აღარ ვიცი, კიდევ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ პრეზიდენტმა პრაქტიკოსებს დაგვიჯეროს და არ დაუჯეროს იმათ, ვისაც ჰგონია, რომ მხოლოდ უცხოელთა რჩევა-წინადადებებით აღორძინებთ ქართულ ბიზნესსაც და ეკონომიკასაც. იმ საზარელმა წლებმა ისეთი გაპარტახებული საფუძველი დაგვიტოვა, რომ წმინდა დასავლური საბაზრო ეკონომიკის კანონებით ვერც ბიზნესს და ვერც მრეწველობას ფეხზე ვერ წამოვაყენებთ. დახმარება და ხელის წაკვრა სჭირდება ამ დარგს. გიგანტებზე არაფერს ვამბობ, — მათ, თუნდაც ნაწილობრივ ასამოქმედებლად, ბევრნაირი ფორმა შეიძლება გამოინახოს, დღეს მთავარია მეწარმე-ბიზნესმენთა საშუალო რგოლის, საშუალო ფენის შექმნა, რომელიც სულ რაღაც მოკლე პერიოდში, რადიკალურად შეცვლის სოციალურ ვითარებას ქვეყანაში. არა, ეს ჩვენი ორიგინალური აზრი არ არის, ამას ამბობს პრეზიდენტიც... მისი ეკონომიკური გუნდი კი, სამწუხაროდ, ამას ვერ ანხორციელებს.

— კონკრეტულად როგორ ვუშველოთ გაჩერებულ საშუალო და მცირე საწარმოებს, სად რამდენი კაცი დავასაქმოთ, ალბათ ეს არის დღეს თქვენი მოძრაობის მთავარი თავსატეხი...

— ნახეთ, რა ხდება ჩვენს რაიონებში? — გამგეობებმა და ახლადარჩეულმა საკრებულოებმა, იმის ნაცვლად, რომ როგორღაც აამუშაონ ჯერ კიდევ შემორჩენილი პატარ-პატარა ობიექტები — რძისა თუ ხორცის, საკონსერვო თუ სხვა საწარმოები, ლამის დაჭამონ ერთმანეთი... პრეზიდენტს ამას არავინ ეუბნება... აი, ჩვენს ნათქვამს კი ისე მიუტანენ, ისე გადააბრუნებენ, რომ ზოგჯერ თმები ყალყზე დაგიდგება. ამას წინათ ვთქვი: — თუ პრეზიდენტი ამას ხედავს, რომ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა დღეს ბიზნესზე გადის, ხოლო ვერ ხედავს იმას, რაც დღეს ხდება ამ დარგში, მაშინ დავქცეულვართ და მემუარების საწრად დაგვედგომია საქმე-მეთქი... ნახეთ, მერე რა კუდები გამოაბეს ჟურნალისტებმა? განა თავად პრეზიდენტი არ ჩივის, რომ ჩვენი პრესა მხოლოდ უარყოფითს ხედავს, მაგრამ ვერ ხედავს იმ სიკეთეს, თუნდაც ჩვენს დარგში რომ ხდება? ზოგჯერ თავადაც მიკვირს, როგორ მოვახერხეთ ის, რაც დღეს გვაქვს, — ცხადია, ბიუროკრატიასთან ხელჩართული ბრძოლით. რა ვქნა, ისეთი გეზი აქვთ აღებული, რომ ჩვენი არაფერი ვაწარმოოთ და მხოლოდ უცხოური უვარგისი პროდუქტის გასაღების ბაზრად ვიქცეთ. თქვენ ადრე ჩვენი ადგილობრივი მრეწველების გაჩერებული საწარმოები ახსენეთ... დღეს საქართველოში იმდენი ხორცი და რძეა, რომ დასატვირთად თავისუფლად ეყოფა ამ პატარა ობიექტებს, მაგრამ ვინმე ფიქრობს ამაზე? ავიღოთ თუნდაც ერთი მაგალითი: — მთელი კახეთი მზესუმზირას მიაქვს... ეს ხომ ზეთია? ამ დროს კი თბილისის უნიკალური ცხიმკომბინატი გაჩერებულია. რა უნდა, კაცო, ამას, — მივცეთ გლეხს საფასური, შემოვიტანოთ ეს ნედლეული ამ კომბინატში და გადავამუშაოთ. ზეთს — ზეთად მივიღებთ, ნარჩენებისგან კი — კომბინირებული საკვების დანამატსა და საპნის ქარხნის ასამუშავებლად საჭირო კომპონენტებს. ხედავთ? — მარტო ამ ერთი პროცესით მთელი ციკლი იკვრება, ამასთან, საქმდება ხალხი. ერთსაც გეტყვით. დააკვირდით, ყველა ჩვენი დიდჩინოსანი ჩინოვნიკი სულ გლობალურ მაკროეკონომიკურ თემებზე ლაპარაკობს. მოდი, ეს საქმე დავუტოვოთ პრეზიდენტს, იმას უკეთესად გამოსდის... ჩვენ კი ჯერ მიკრო, პატარა მარტივი საწარმოებით დავიწყოთ და ვუშველოთ იმ ხალხს, ვინც უსაქმურობამ, „ბირჟებზე" დგომამ უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა. მესმის, რასაც ახლა ვამბობ, არ ესიამოვნებათ ჩვენი ზოგიერთი რეგიონის ან რაიონის ხელმძღვანელებს, მაგრამ როდემდე ვმალოთ ეს საშინელი შუბი ხალთაში? მთელი სოფელი დღეს ქალაქშია ჩამოსული და წვრილმანი ვაჭრობით არის დაკავებული.

— ბატონო გოგი, ეს, რაც უნდა იყოს, ჩვენი შინაური საქმეა და ჩვენსავე ბედოვლათობას უნდა დავაბრალოთ, მაგრამ რა ვუყოთ იმას, ზოგიერთი უცხოელი ინვესტორი რომ უკვე წყვეტს ან აპირებს თავისი საქმიანობის შეწყვეტას საქართველოში. მხედველობაში მაქვს ისეთი ცნობილი ფირმები, როგორებიც არიან „როიალ კოფე ჯორჯია", „ეკო ჯორჯია", იტალიური „გრანდე მოლინო", ასეთივე ფიქრი გაუჩნდა ბაზალეთის ტურისტული კომპლექსის მშენებელ „ნოვამენეჯმენტჯორჯიას", რომელსაც უკვე 11 მილიონი დოლარი აქვს განთავსებული საქართველოში. ვიცი იმის შესახებაც, რომ თქვენი პარტნიორი „ბი-ჯი-ას" პრეზიდენტი პიერ კასტელიც ასევე შეშფოთებულია ამ ტენდენციით. რა ხდება და რატომ ხდება ეს?

— რატომ ხდება, ჩემო ბატონო და... კონტრაბანდული იმპორტისაგან ქართული ბაზრის დაუცველობა იწვევს იმას, რომ თუნდაც ჩვენი ერთობლივი წარმოების სიმძლავრეები მხოლოდ 25-30 პროცენტით არის დატვირთული, მაშინ, როცა განზრახული გვაქვს ინვესტიციის კიდევ უფრო გაფართოება. ამას დაუმატეთ ჩვენი საგადასახადო კოდექსის ხარვეზიანობა, კორუფცია და კიდევ ბევრი სხვა რამ და მიხვდებით, რა დღეშიც ვართ. რა ვქნათ? — სწორედ ამას წერს ჩვენს სახელმწიფო მინისტრს ჩემი პარტნიორი პიერ კასტელი, რომელსაც დიდი საინვესტიციო გეგმები აქვს შემუშავებული საქართველოს ეკონომიკის ასაღორძინებლად. იმისათვის, რომ უზბეკეთში მას უკეთესი საინვესტიციო პირობები შეუქმნეს, კასტელმა იქ უკვე 106 მილიონი დოლარი დააბანდა. განა სავალალო არ არის, რომ ჩვენს ერთობლივ ბიზნესს დღეს საქართველოში კი არა, მეზობელ აზერბაიჯანსა და ირანში ვაფართოებთ? კონკრეტულ ციფრებს დაგისახელებთ: არსებობს ასეთი გაანგარიშება: — 12-მილიონიანი მოგებიდან 9 მილიონი ბიუჯეტს მიაქვს, 1,8 მილიონი საბანკო პროცენტს, რა რჩება, მაშინ, როდესაც კრედიტის ძირითადი თანხაც დასაფარი გვაქვს? — არაფერი... ე. ი. რა გამოდის? — საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები პირდაპირ კრძალავს ბიზნესს საქართველოში. მოდი და, ნუ ეტყვი ამას პრეზიდენტს, რომელსაც, ღრმად მწამს, ნამდვილად აქვს დიდი მონდომებაც და სურვილიც, რომ ქვეყნის კეთილდღეობა, მართლაც, ბიზნესის კეთილდღეობაზე გადიოდეს. მაგრამ გაეა კი ასეთ ვითარებაში? ყველანაირად ვცდილობ შევაკავო ჩემი ფრანგი პარტნიორი ასეთი გადაწყვეტილების მიღებისაგან, მაგრამ... არ ვიცი, როდემდე მოვახერხებ ამას.

იცით, რა დღეში ჩავვარდი, პარიზში ყოფნისას რომ დამირეკეს და მორიგი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის თაობაზე მითხრეს? საფრანგეთშიც და სხვაგანაც ყველას კარგად ესმის, დღეს რა „დამოკლეს მახვილიც" ჰკიდია საქართველოს თავზე, მაგრამ... იცით, რა არის უბედურება? — ალბათ, ერთადერთი ხალხი ჩვენ ვართ მსოფლიოში, ვინც ვერ ხედება ამას. ასე იყო ოდითგან და ასეა ახლაც — როცა დაჭრილსა და დასუსტებულს დაგინახავენ, როცა სხვისკენ ხარ ხელგაწვდილი და საკუთარ ქვეყანას თავადვე შიგნიდან ხრავ, ცხადია, გასაქანს არ მოგცემენ და, თუ მოგიხელთეს, შეიძლება ის სიმწრითა და სისხლით მოპოვებული თავისუფლებაც ოხრად დაგრჩეს.

ასე რომ, ჩვენი ხელმეუხებლობისა და დამოუკიდებლობის რეცეპტი დღეს ჩვენი ეკონომიკის, უპირველესად კი, მისი მრეწველობისა და სოფლის აღორძინებაში დევს. მხოლოდ ამის შემდეგ მოგვცემს სასურველ ეფექტს ის ნავთობისა თუ გაზის სადენები, „დიდი აბრეშუმის გზაც" და ტრანსკონტინენტური რკინიგზისა თუ ავტომაგისტრალები, რომელთა აშენებასაც ვაპირებთ მსოფლიო თანამეგობრობის ხელშეწყობით.

— ახლა მომავალსაც გავხედოთ... ვთქვათ, მოხდა ისე, რომ თქვენი ოპტიმიზმი გამართლდა — პარლამენტში მოხვდით. როგორ აპირებს თქვენი მოძრაობა თავისი პოლიტიკური პროგრამის რეალიზაციას?

— ვხედავ, რასაც გულისხმობთ, როცა ამას მეკითხებით... უმეტესობა ჩვენ — მეწარმეებს პოლიტიკისაგან შორს მდგომ ადამიანებად აღგვიქვამს. შორიდან ეს მართლაც ასე ჩანს, მაგრამ თუ რეალურად გააანალიზებთ ვითარებას, მაშინვე დარწმუნდებით, რომ ჩვენი წარმატება დიდად არის დამოკიდებული ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. თუ ამ პროცესის დღევანდელი შედეგი გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ყველაზე მეტად სწორედ ჩვენ, მეწარმეები ვართ ამ პოლიტიკის მსხვერპლი. სწორედ ამიტომაც იძულებულნი გავხდით თავადვე ვუშველოთ საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც ისე, ღმერთმა რომ ასწავლა წყალწაღებულს. თუ იმას ვახერხებთ, რომ ამ გაუსაძლის ვითარებაში თავს ვაბამთ საქმეს, რატომ ჰგონია ვინმეს, რომ იმათზე ნაკლებად გამოვიჩენთ თავს პოლიტიკურ ასპარეზზე? ასე რომ, ჩვენ ვემზადებით ამ პროცესისათვის. თუ როგორ ვაპირებთ ჩვენი პროგრამის რეალიზაციას, ამაზეც გეტყვით: — უპირველეს ყოვლისა, ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვინც გაიზიარებს ჩვენს მიზნებსა და შეხედულებებს. რაც შეეხება მიზანს — იგი ნათლად გვაქვს გამოკვეთილი... ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ისეთი ეკონომიკური მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებას.

და კიდევ, როგორი იქნება ჩვენი პოზიცია საპარლამენტო საქმიანობაში? — ცხადია, უპირველესად სიმართლე, აღმშენებლობის ნება-სურვილი, პრაქტიკული გამოცდილება და, რაც მთავარია, თეთრისა და შავის ერთმანეთისაგან გარჩევის უნარი...

* * *

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, ოფისიდან გარეთ რომ გამოვედით და ერთად გავუყევით ქუჩას. იმ ღამით რაღაც საოცარი ფერებით ჩახჩახებდა მთელი თბილისი... ივნისის ახალი დილა თენდებოდა საქართველოში.

გია ჭელიძე.

უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე პოლიტიკურ მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ე. წ. „გამსვლელი" შეხვედრები ჰქონდა ჩვენი რეგიონების მოსახლეობასთან. მათ განსაკუთრებული ინტერესითა და გულითადობით შეხვდა მთელი სამეგრელო, სადაც ზუგდიდან მოყოლებული — წალენჯიხამდე და მარტვილამდე ყველგან დაფუძნდა ამ მოძრაობის პირველადი ორგანიზაციები. ამ დღეებში კი გორელები მასპინძლობდნენ „თოფაძელებს". წინ ახალი შეხვედრებია...

დღის თემა

კოსოვოში ნაბიჯ-ნაბიჯ სრულდება ყველა ის მუხლი, რომლებზეც საერთაშორისო თანამეგობრობა ლაპარაკობდა

(პირველი გვერდიდან)

გუშინ დილით გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ უკვე კოსოვოს განთავისუფლების არმიისა და სამშვიდობო ჯარების სარდლებმა ხელი მოაწერეს კოსოვოს განთავისუფლების არმიის განიარაღებას.

ეს რომ ასე იქნებოდა, ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე ივარაუდა საქართველოს პრეზიდენტმა, როდესაც ორშაბათის ბრიფინგზე რუსი სამხედროების მოქმედების შეფასება სთხოვეს ჟურნალისტებმა. იგი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასებით შემოიფარგლა, რომ „ეს იყო დასანანი შეცდომა" და იქვე დასძინა, ოცი ტანკით მეტი იქნება თუ ნაკლები, ან სად განლაგდებიან იმ დიდ სამშვიდობო ოპერაციაში, რომელშიც 50 ათასმა კაცმა და ტექნიკის უზარმაზარმა რაოდენობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, არ შეიძლება ახალი დაძაბულობა გამოიწვიოს. ვფიქრობ, ეს რაღაც სიმბოლური ჟესტი იყოო.

სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსის მოადგილის შალვა ფიჩხაძის აზრით კი, ეს, ალბათ, რუსეთის საშინაო პოლიტიკური ნაბიჯი უფრო იყო, ვიდრე საგარეო.

— მართალია, თავიდან ამ ფაქტს ნატოს ხელმძღვანელობა ერთგვარი დაბნეულობით შეხვდა, — თქვა მან, — მაგრამ იმიტომ კი არა, რომ რუსეთმა ბატალიონი გადაისროლა, არამედ დააბნია იმან, რომ რუსეთმა ეს ნატოს გაუფრთხილებლად გააკეთა.

მათ სჯერათ: თუ შეთანხმება და მოლაპარაკებაა, ყველა ნაბიჯი უნდა შეთანხმდეს, სხვაგვარი მოქმედება გაუგებრობას იწვევს, მაგრამ ჩანს, ძალზე დიდი წინააღმდეგობა არსებობს შიგნით რუსეთში წითელ-ყავისფრების მხრივ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა ნატოსეული გეგმით დასახული ფორმით მიიღოს მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში, მათ მსოფლიო ჯერ კიდევ ორ პოლუსად დაყოფილი წარმოუდგენიათ და ვერ შეჰგუებიან იმას, რომ დღევანდელ მსოფლიოში ლიბერალურმა ფასეულობებმა გაიმარჯვეს.

ერთი სიტყვით, კოსოვოში, პრაქტიკულად, ნაბიჯ-ნაბიჯ სრულდება ყველა ის მუხლი, რომლებზეც საერთაშორისო თანამეგობრობა ლაპარაკობდა და, მათ შორის ერთ-ერთი პირველი საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც კონფლიქტის მოწესრიგების რამდენიმე მუხლი თავიდანვე გაიაზრა და რა როგორ უნდა განხორციელებულიყო, საჯაროდაც განაცხადა.

დღეს უკვე სერბიის ჯარი გავიდა და იქ ქმედითუნარიანი საერთაშორისო კონტინგენტი განლაგდა, რუსეთს ცალკე ზონა არ მისცეს, იგი სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების ტერიტორიაზე იქნება სექტორებად გაფანტული. განიარაღდა ის ერთადერთი შეიარაღებული ძალა — კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია, რომელიც იქ იყო დარჩენილი. ახლა ნელ-ნელა დაიწყება კოსოვოს ეკონომიკური, და, საერთოდ, იუგოსლავიის რეაბილიტაცია.

გუშინ ევროკავშირის სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან შეიმუშაონ ეკონომიკური აღორძინების პროგრამა და განახორციელონ კიდეც. თუმცა, ძალზე დიდი ეჭვი არსებობს იმისა, რომ ასეთი პროგრამა განხორციელდება მანამ, სანამ იუგოსლავიის სათავეში მილოშევიჩი იქნება.

— მას, უბრალოდ, არ ენდობიან, თუმცა, არც აქამდე ენდობოდნენ და, ალბათ, არც იმ უზარმაზარ თანხებს ანდობენ, რომელთა გამოყოფასაც ევროკავშირი გეგმავს, — ვარაუდობს შალვა ფიჩხაძე.

რაც შეეხება კოსოვოს კონფლიქტის მოწესრიგებაში რუსეთის მონაწილეობას, მისი აზრით, ეს ძალზე სასურველია. და, საერთოდ, სასურველია, რომ რუსეთი რაც შეიძლება მეტად იყოს ჩართული საერთაშორისო პროცესებში, მაგრამ იმ საერთაშორისო პროცესებში, რომლებიც ცივილიზებული წესებით იმართება დასავლეთის მიერ. ამ დროს მეტი შანსია იმისა, რომ სახელმწიფო, რომელიც 70 წელიწადი მსოფლიო პროცესების დინების წინააღმდეგ მიცურავდა, ახლა საერთო დინებაში მოექცეს.

კლინტონს ჰკითხეს პრესკონფერენციაზე: რატომ არ აძლევთ რუსეთს ცალკე სექტორს? უპასუხა: რუსეთი რომელიმე ცალკე სექტორისთვის არ გვემეტება, იგი ყველგან გვჭირდება და ამიტომაც მისი ჯარი ყველგან იქნება განლაგებულიო.

როგორც ხედავთ, საბოლოო ანგარიშით მაინც ნატოს გეგმის მიხედვით მიმდინარეობს ყველაფერი. არც არის გასაკვირი, რადგან რუსეთი არ წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც შეუძლია თავს მოახვიოს ნატოს თავისი ნება.

დარწმუნებული ვარ, ბალკანეთში, სადაც საუკუნეების მანძილზე ძალიან ბევრი სისხლი დაღვრილა, სწორედ ნატოს მეთვალყურეობით დაისადგურებს ცივილიზებული, ხანგრძლივი მშვიდობა.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

კონკურსი

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. გზების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 82 ლარი);
2. გზების ექსპლუატაციის წამყვანი სპეციალისტი (გზების მონაცემთა ბანკის სპეციალისტი) — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 39 ლარი);
3. ოპერატორი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 35 ლარი);

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ — კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

● *გზების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:*

— უმაღლესი განათლება სპეციალობით მიმოსვლის გზათა ინჟინერი (საავტომობილო გზების);
— შესაბამისი პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
— ინგლისური ენის ცოდნა.

● *გზების ექსპლუატაციის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:*

— უმაღლესი განათლება;
— კომპიუტერული პროგრამისტი;
— ინგლისური ენის ცოდნა.

● *ოპერატორის თანამდებობაზე:*

— უმაღლესი ტექნიკური განათლება;
— კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
— ინგლისური ენის ცოდნა.

კონკურსს ატარებს საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსის მონაწილენი გაივლიან ატესტაციას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის კადრების განყოფილებაში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია წერილობით განცხადებასთან ერთად;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტში.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულებმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:

380060, თბილისი, ი. გაგარინის ქ. № 29 ა, ტელ: 37-65-02, 38-78-61.
საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი.

საქართველოს სახელმწიფო
კანცელარიის სახელმწიფო
სამსახურის ბიურო.

ინტერვიუ

მშვიდობიანი კავკასიისათვის

(პირველი გვერდიდან)

— ბატონო კობა, თქვენი წარმომადგენელი, რწმუნებულის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ანზორ სულიაური ახლახან ჩამოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა „ალანიადან“, სადაც თქვენი დავალებით იყო მივლინებული. თუ შეიძლება აგვიხსენით, რა მიზანს ემსახურებოდა თქვენი დაინტერესება ჩრდილოეთ ოსეთით და რაში გამოიხატება თქვენი ინიციატივა?

— ამ საკითხთან დაკავშირებით რესპუბლიკა „ალანიაში“ ჩვენი წარმომადგენელი რამდენჯერმე იმყოფებოდა, ხოლო, რაც შეეხება ინიციატივას, ის ცოტა უფრო ადრე გაჩნდა, შემდეგ დაიხვეწა და გათავისდა ჩვენს თანამოაზრეთა გუნდში და სამოქმედო პროგრამად დაისახა.

ჩვენი მხარე უშუალოდ ესაზღვრება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს. აქ მოსახლე ხალხებს მსგავსი ისტორია და მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აკავშირებს, ამიტომაც ჩამოყალიბდა ისეთი აზრი, რომ სწორედ მცხეთა-მთიანეთის მხარეს შეეტანა თავისი მოკრძალებული წვლილი საქართველოს პრეზიდენტის იმ დიდ წამოწყებაში, რომელსაც ჰქვია მოძრაობა „მშვიდობიანი კავკასიისათვის“. რამდენიმე თვის წინათ კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის გაღრმავების აუცილებლობასა და პერსპექტივებს მიეძღვნა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში“ გამოქვეყნებული ჩვენი ინტერვიუ, სადაც მკვეთრად არის წარმოჩენილი მცხეთა-მთიანეთის მხარის პოტენციალი კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის ჭრილში. სხვათა შორის აღნიშნული ინტერვიუ ჩრდილოეთ ოსეთის ცენტრალურმა პრესამაც გამოაქვეყნა და მას უზარმაზარი დაინტერესება და გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო რესპუბლიკა „ალანიას“ ხელმძღვანელობის, არამედ ოსი მოსახლეობის მხრიდანაც. ეს თავისთავად გასაგებია იმ მხრივაც, რომ მხარეში მოსახლე ოსმა და ქართველმა ხალხმა იმ გაუგებრობისა თუ ეთნოკონფლიქტის დროს გამოიჩინა სიბრძნე და არ უღალატა კეთილმეზობლობის, თანაცხოვრების, ტრადიციული ერთიანობის პრინციპს, რომელიც მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. მცხეთა-მთიანეთის მხარეში მცხოვრებ არც ერთ ოსს ხელი არ აღუმართავს საქართველოსა და ქართველის წინააღმდეგ. ამიტომაც, სწორედ ხალხური სიბრძნე გახლავთ საწინდარი ერთიანი კავკასიის იდეის გამარჯვებისა. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის ხალხებთან პრაქტიკული სავაჭრო თუ ეკონომიკური ურთიერთობა მხოლოდ ინდივიდების დონეზე იყო დასული და ამ საკითხებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის მნიშვნელობა ნელი ტემპით ვითარდებოდა. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, უმთავრესად ამ ქვეყნებში არსებული საომარი მოქმედებებით, გამწვავებული ეთნოკონფლიქტებითა და კრიმინოგენური ვითარებით იყო გამოწვეული, ამჟამად ვნებები ასე თუ ისე დამცხრალია, ხალხმა შეიგრძნო ომის, ქიშპობის, მტრობის უაზრობა და სიმწვავე. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა „მშვიდობიანი კავკასიისათვის“, რომელიც ყველა კავკასიურმა ქვეყანამ მიიღო და გაითავისა, სწორედ იმ რანგშია წარმოდგენილი, რომ ამ ხალხს მხოლოდ ერთიანობა, ძმობა, თანამშრომლობა გადაარჩენს და მისი უძლეველობის საწინდარი გახდება. ჩვენი ინიციატივა ეფუძნებოდა იმ აზრს, რომ გვესარგებლა ტრადიციათა ხელშეუხებლობით და გამოგვეფხიზლებინა ერთ დროს ტაბუდადებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. გადაწყდა, რომ გუდაურში ოსურ მხარესთან ერთად გაგვემართა თათბირ-სემინარი, სადაც ჩრდილოეთ ოსეთისა და მცხეთა-მთიანეთის მხარის სამრეწველო და კულტურული პოტენციალი იქნებოდა წარმოდგენილი და ორი რეგიონის შესაბამისი სტრუქტურები ხელს მოაწერდნენ ხელშეკრულებათა პაკეტს, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა მათ შემდგომ პრაქტიკულ ურთიერთობას სავაჭრო, სამრეწველო, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროში. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერითა და წახალისებით ამ ღონისძიებამ რესპუბლიკური მნიშვნელობა შეიძინა და შეხვედრაში, რომელიც მალე გუდაურში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ, როგორც საქართველოს სამინისტროთა, უწყებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ბიზნესმენები, ასევე, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა „ალანიას“ შესაბამისი სტრუქტურები, შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ყველა მხარის წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელთაც საშუალება ექნებათ ჩრდილოეთკავკასიელ პარტნიორებთან გამოძებნონ საკუთარი დაინტერესების სფერო. შემდგომში ანალოგიური შეხვედრები გაიმართება ჩრდილოეთკავკასიის ყველა რესპუბლიკასთან.

პრაქტიკულად ამ ინიციატივით მცხეთა-მთიანეთის მხარე რუსეთში და, უპირველესად, ჩრდილოეთკავკასიაში გამავალ ახალ ფანჯარას ჭრის მთელი ქვეყნისთვის, რაც არა მარტო ეკონომიკურ, არამედ დიდ პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენს. წლეულსვე ზაფხულში, გუდაურის სპორტულ კომპლექსში გაიმართება ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში კავკასიის თასზე, რომელშიც ამ ქვეყნების პირველი ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას, გაიმართება მწერლების შეხვედრებიც. ამის პარალელურად დაბა ჟინვალში ფუნქციონირებას დაიწყებს კავკასიის ხალხთა ცხოვრების ამსახველი ეთნოგრაფიული მუზეუმი. გამოკვეთილად მინდა გამოვყო ყაზბეგის რაიონი, რომელსაც ჩრდილოეთ ოსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების უზარმაზარი რეზერვები და პოტენციალი გააჩნია. ყოველივე ეს ერთად აღებული კი კავკასიაში სერიოზული პოლიტიკის რეალიზების საშუალებას იძლევა.

— პრეზიდენტის მიერ წამოწყებულ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის პოლიტიკურ ჭრილში მცხეთა-მთიანეთის მხარის როლი და დანიშნულება მკვეთრი და გამჭირვალე ხდება. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად ამაში გარკვეულ სიტყვას, ალბათ, პრესის საერთაშორისო ორგანოც იტყვის, რომლის დაფუძნებასაც თქვენს მიერ, რამდენადაც ვიცი, არც თუ შორეულ მომავალში უნდა ველოდოთ.

— თუ ჩემგან უხერხული არ იქნება, გეტყვით, რომ იდეა საქართველოს პარლამენტის წევრს, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ მდივანს ქალბატონ მარინა მოლოდინს და სახელმწიფო რწმუნებულის მთავარ მრჩეველს ბატონ ანზორ სულიაურს ეკუთვნით, რომლის დაარსების იდეა სწორედ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის მუშაობის პროცესში წარმოიშვა. გაზეთი, რომელსაც სახელად დაერქმევა „მშვიდობიანი კავკასიისათვის,“ რუსულ ენაზე გამოვა და პრესის საერთაშორისო ორგანოდ ჩამოყალიბდება. მას თავისი წარმომადგენლობები ჰქონდება ოსეთის, კრასნოდარის, სტავროპოლის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, დაღესტნის, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში. ამის თაობაზე უკვე ვესაუბრეთ ამ რესპუბლიკათა წარმომადგენლებს და უნდა გამოგიტყდეთ, რომ კავკასიური გაზეთის იდეამ საერთო ინტერესი გამოიწვია. რაც შეეხება დაფუძნებას, ჩვენ მხოლოდ იდეა გვეკუთვნის, მის პრაქტიკულ განხორციელებას კი ქართველი ჟურნალისტები უკეთ მოახერხებენ. ვფიქრობთ, რომ იგი საქართველოს დედაქალაქში უნდა დაფუძნდეს და თავისუფალი პრესის პრინციპით იმუშაოს.

მშვიდობიანი და ერთიანი კავკასიის თანაარსებობა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ინტერესებში შედის, რომლის მიღწევა კავკასიელ ხალხთა დაახლოების გზაზე გადის, ამ მნიშვნელოვანი ამოცანის იდეოლოგიური დატვირთვა, უწინარესად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა იკისრონ. საქართველო თავისი უაღრესად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ყოველთვის აღიქმებოდა კავკასიის ცენტრად. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დასახული აბრეშუმის გზა უკვე მოქმედებს. დღეს სხვადასხვა ქვეყნებიდან აქ გამავალი ტვირთები უახლოეს მომავალში გაათმაგდება და გაასმაგდება. ვინ შეიძლება დღეს ღრმად იყოს დარწმუნებული, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პარალელურად საქართველოზე არ გაივლის აზერბაიჯანისა და თენგიზის საბადოების დიდი ნავთობიც, რომელმაც საქართველო საბოლოოდ უნდა გაიყვანოს მსოფლიო პოლიტიკის ინტერესების მაღალ საფეხურზე, რაც საბოლოოდ ამოშანთავს ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციისა თუ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ყოველგვარ გამოვლინებას. აი, ის მცირე მონახაზი, რომელსაც, ჩვენი აზრით, უნდა დაეყრდნოს ამ გაზეთის იდეოლოგიური სიმძიმე.

— ბატონო კობა, თქვენ ზემოთ ყაზბეგის რაიონი ახსენეთ, რასაც ბუნებრივად ყიზლარის ზამთრის საძოვრების თემა მოჰყვა. ხომ ვერ გვეტყოდით, რა სიახლეებზე და პერსპექტივაზეა აქ ლაპარაკი?

— მთაში მეცხვარეობა უნდა აღორძინდეს და განვითარდეს, ჩვენი მთიანეთისათვის ამ საქმეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და მას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ მხოლოდ საძოვრების მოპოვებით, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის უშუალო თანადგომითა და მთის კანონის მიღების პარალელურად, შეიძლება ითქვას, რომ უკვე მოგვარებულია, პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა შეუძლებელია. იგივე ყაზბეგში ათი წლისწინანდელი მატყლი გლეხს ამჟამადაც სახლში უდევს და მყიდველს ელოდება, ე. ი. უპირველესად უნდა გადაიჭრას ბაზრის, ცხვრის პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა, რაც სახელმწიფომ უნდა იკისროს. დღეისათვის ეს და სხვა მრავალი თემა მოსახლეობასთან ერთად, მათი წინადადებების გათვალისწინებით, მუშავდება და მას მზა სახით მომავალ პარლამენტს წარვუდგენთ. მანამდე კი ამ თემაზე საუბრისაგან თავს შევიკავებდი.

დოკუმენტი

საქართველოს კანონი

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ

ეს კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულებში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ფორმებსა და წესს.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის ცნება

1. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა არის დროებითი, საგანგებო ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს დათხოვნის, საქმიანობის შეჩერების, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან საქართველოს კანონით დადგენილი წესით საკრებულოს აურჩევლობის შემთხვევაში, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას.

2. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება ხდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 2. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელება

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) საკრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნისას;

ბ) საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას;

გ) კანონით დადგენილი წესით საკრებულოს აურჩევლობისას.

მუხლი 3. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ვადა

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა საკრებულოს დათხოვნის, საქმიანობის შეჩერების ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლისა.

თავი II
ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს დათხოვნის, საქმიანობის შეჩერების, ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები

მუხლი 4. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა საკრებულოს დათხოვნის ან მისი საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში

1. საკრებულოს დათხოვნა ან მისი საქმიანობის შეჩერება ხდება საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

2. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობით გამოსცემს ბრძანებულებას საკრებულოს დათხოვნის ან საქმიანობის შეჩერების და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ.

მუხლი 5. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში

1. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია საკრებულოს ქმედუუნარობა — განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები.

2. საკრებულოს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეწყდეს, თუ:

ა) საკრებულოს წევრთა რაოდენობა შემცირდა ნახევარზე მეტით;

ბ) საკრებულომ (სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის) ორ თვეში ვერ აირჩია აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი;

გ) საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ორ თვეში საკრებულომ არ დაამტკიცა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შედგენილი ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. საქართველოს პარლამენტის თანხმობით და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში — შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წარდგინებით, პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ.

მუხლი 6. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა საკრებულოს აურჩევლობის შემთხვევაში

„ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ ხელახალი არჩევნების შედეგად საკრებულოში არჩეულ იქნა მის წევრთა საერთო რაოდენობის ორ მესამედზე ნაკლები, აგრეთვე, თუ „საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის“ შესაბამისად თემის გაყოფისას ან თემიდან გამოყოფისას საკრებულოს წევრთა რაოდენობა კანონით დადგენილი წევრთა საერთო რაოდენობის ორ მესამედზე ნაკლებია, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას შესატყვის ადმინისტრაციულ ერთეულში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების შესახებ.

თავი III
პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ფორმები და წესი

მუხლი 7. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელება

1. პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას რაიონში შემავალ სოფელში, თემში, დაბასა და ქალაქში ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული გამგებელი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში — შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით დანიშნული გამგებელი.

2. რაიონსა და იმ ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული რაიონის (ქალაქის) გამგებელი (მერი), ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში — შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით დანიშნული რაიონის (ქალაქის) გამგებელი (მერი).

3. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირი ასრულებს „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს. ამ პირის დამატებით უფლებამოსილებებს განსაზღვრავს სათანადო დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში — შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.

4. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში — აგრეთვე, შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

თავი IV
დასკვნითი დებულება

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1999 წლის 9 ივნისი.

რაც დავიწყებით არ იბინდება

ბოროტ გეგმას ახდენა არ ეწერა

დოკუმენტები გვიამბობენ

(პირველი გვერდიდან)

მეორე მსოფლიო ომში ქართველთა დიდი რაოდენობა დაიღუპა ყირიმისა და კავკასიის კარიბჭეებთან. მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ერთ-ერთი სისხლიანი ფურცელია ბრძოლა კავკასიისათვის, რომელიც 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მიმდინარეობდა საქართველოს მისადგომებთან.

რისთვის მოიწევდნენ გერმანელი დამპყრობლები ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ, რას უქადდნენ, კერძოდ, საქართველოსა და ქართველებს?

ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავასახელოთ მეორე მსოფლიო ომისა და ნიურნბერგის პროცესის მონაწილის, ცნობილი მწერლისა და მეცნიერის მიხეილ კვესელავას ცნობილი თხზულება „ას ერგასის დღე“. იგი აანალიზებს და ამხელს გერმანული ფაშიზმის კაცთმოძულე თეორიისა და პრაქტიკის არსს.

ჰიტლერის, ჰებელსის და მისი თანამოაზრეების ამ ბარბაროსულ გეგმებში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა კავკასიას, მეტადრე საქართველოს.

... რა მოჰქონდა ფაშიზმს საქართველოში? ამ კითხვის უბრალო მიჩუმათება და უგულვებელყოფა არ შეიძლება. ამაზე თვალს აგვიხელს გერმანელ ფაშისტთა სარდლობის დოკუმენტთა კრებული — „სრულიად საიდუმლოდ, მხოლოდ სარდლობისათვის“, რუკები, სქემები, ფოტოდოკუმენტები დოკუმენტური კინოფილმები, ნიურნბერგის ისტორიული სასამართლო პროცესის მასალები, ფაშიზმის მესვეურთა გამოსვლები, მათი ნაწარმოებები.

შორს, ჩვენგან ფაშიზმი! იგი საზოგადოებაში წარმოქმნის ქიშპს, სეპარატიზმს, ტერორიზმს და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს.

აქვე მივყვეთ ფაშიზმის მამხილებელ მასალებს, რათა ზოგიერთმა მერყევმა მოფაშისტო ელემენტმაც გაიგოს რას უქადდა გერმანული ფაშიზმი თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს და საქართველოს?

„ას ერგასის დღის“ ავტორი მიხეილ კვესელავა გვამცნობს: „ჰიტლერი საჯაროდ აცხადებდა: აღმოსავლეთით ჩვენ უნდა ვიბატონოთ კავკასიამდე და ირანამდე... ჩვენ უნდა ვმართოთ ევროპა და დავიბრუნოთ კოლონიები. ამ უზარმაზარი იმპერიის ცენტრში მე მოვათავსებ დიდ გერმანიას. ავსტრიას, ბოჰემიას, მორავიას, დასავლეთ პოლონეთს, მერე აღმოსავლეთსაც, ბალტიისპირა ქვეყნებს, უკრაინას, ვოლგის სანაპიროებს, საქართველოს“.

ასეთი იყო „მესამე რაიხის“ გეგმები, რისთვისაც უნდა შექმნილიყო „უზარმაზარი იმპერია!“ ფიურერს კიდევ ასე განუცხადებია: „ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, დავჭრათ ეს უზარმაზარი ნაზუქი ისე, როგორც ჩვენ გვინდა, რათა შეგვეძლოს, პირველი — ვიბატონოთ, მეორე — ვმართოთ, მესამე — ექსპლუატაცია გავუწიოთ“.

ამ ნაზუქის უგემრიელეს ნაწილად ფაშისტები თვლიდნენ კავკასიას, რომელიც მათ მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, ექვს გენერალურ კომისარიატად უნდა დაყოფილიყო, ერთ-ერთ ასეთ კომისარიატად გადაიქცეოდა საქართველო, რომელსაც ბათუმში ექნებოდა ფილიალი. ცალკე კომისარიატებად იქცეოდა: აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასია, ყუბანი“.

იმ დღეებში, როცა კავკასიას ფაშისტთა ჯარები მოადგნენ, როზენბერგი წერდა: „კავკასიელი ხალხები ისტორიულად სხვადასხვა პირობებში ვითარდებოდნენ. ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რასის, ტრადიციებისა და სარწმუნოების მიხედვით.

მთიანმა რელიეფმა კიდევ უფრო გააძლიერა ეს განსხვავება და ხელი შეუშალა მათ გაერთიანებას, არც ერთ კავკასიელ ხალხს არ შეუძლია უზრუნველყოს ხანგრძლივ პერიოდში თავისი დამოუკიდებელი არსებობა, მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს მფარველობა მოუპოვებს მათ ერთიანობასა და პოლიტიკურ სიმშვიდეს“.

ჰიტლერის, ჰებელსის პროპაგანდის მეთოდი ფარისევლური იყო, თითქოსდა ისინი იმ ქვეყნის, მისი ხალხის გათავისუფლებისა და მათი კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენს ზოგიერთ თანამედროვესაც სჯეროდა ჰიტლერელთა ამ ფარისევლობისა...

გერმანელები სოხუმს რომ მიუახლოვდნენ, თეთრი ცხენითა და პურ-მარილით მთელ ბატალიონს უნდოდა შეხვედრა (მეთაური ბასარია), მაგრამ ისინი ორგანოების მიერ იქნენ მხილებული და იზოლირებული.

ანალოგიური ფაქტი მოხდა ჩეჩნეთში. ისინი დაირაზმნენ, რათა ერთგულება გამოეხატათ და ზოგიერთი, მართლაც, თეთრი ცხენით და საჩუქრებით შეხვდა ჰიტლერელებს.

ამის გამო მოექცნენ ჩეჩნებს სტალინი და ბერია ძალიან მკაცრად, — ყველა, განურჩევლად, ერთ დღე-ღამეში გაასახლეს.

1942 წლის ზაფხულში გერმანელთა ჯარები კავკასიის მისადგომებთან მოვიდნენ.

ა. როზენბერგის წარდგინებით კავკასიის კომისრად დაინიშნა მისი სტატ-მდივანი, პირწავარდნილი ფაშისტი ა. შიკენეცი, რომელსაც უნდა განეხორციელებინა საზარელი გეგმა.

ნიურნბერგში წინასწარ დაკითხვაზე ფაშიზმის მთავარმა იდეოლოგმა, აღმოსავლეთში, კავკასიაში ფაშისტური პოლიტიკის ავტორმა ა. როზენბერგმა მ. კვესელავას მიერ მიცემულ შეკითხვაზე: „ხომ არ შეგიძლიათ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ საქართველოს შესახებო, — უპასუხა: არა, მე ხელთ არა მაქვს საჭირო მასალები, რაც შეეხება ძირითადს, თქვენ უჩემოდაც იცით, რომ ჰიტლერსა და ჰებელსს საქართველო შეტანილი ჰქონდათ გერმანიის იმპერიის ფარგლებში“.

მომდევნო კითხვაზე: — „რა უფლებით, განა არსებობს გადაწყვეტილების რაიმე ისტორიული წინამძღვრები?“ როზენბერგმა გულახდილად უპასუხა: „ჰიტლერი ამას ანგარიშს არ უწევს“...

ამრიგად, გერმანელ დამპყრობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ქართველთაგან „მონათა კლასის შექმნა“, რომელზედაც „გერმანელ ბატონთა კლასი“ იბატონებდა.

როგორც „ას ერგასის“ დღიურში ვკითხულობთ, მისი ავტორის მორიგ კითხვაზე: იყო თუ არა შექმნილი სპეციალური დამსჯელი ორგანიზაციები კავკასიისათვის, კერძოდ, საქართველოსთვის, — როზენბერგმა უპასუხა:

— დიახ, იყო.

— ვინ ხელმძღვანელობდა სიკვდილით დამსჯელ ასეთ უწყებებს?

— საერთოდ, გენერალი ბალცხოვი, უშუალოდ კი, გენერალი ოლენდორფი, რომელმაც კავკასიის მისადგომებზე მოასწრო სულ ცოტა ორმოცდაათი ათასი უდანაშაულო კაცის დახვრეტა. მათ შორის მრავალი ქართველი იყო და გულდასაწყვეტია, რომ ამ შემზარავ ფაქტებს ვივიწყებთ, ახლა მათ არავინ კითხულობს...

ჯერ კიდევ 1942 წლის 22 ივლისს, როცა კავკასიის მთების მისადგომებთან მოსულ დამპყრობლებს გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდათ, ჰიტლერისათვის წარსადგენად შედგა საგანგებო მემორანდუმი ე. წ. „კავკასიის გარდაქმნის შესახებ“, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გერმანელთა მიერ კავკასიის (საქართველოს) დაპყრობის, დამონების, დანაწილების თაობაზე. არქივში ნაპოვნი რუკაც თვალსაჩინოდ ასახავს ჰიტლერელთა „ახალ წესებს“ კავკასიაში, პრაქტიკულად გაჩანაგებული „სახელმწიფოების“ სახით.

ჰიტლერის მითითებათა საფუძველზე როზენბერგი და კავკასიაში მისი კომისარი შიკენეცი, კერძოდ, საქართველოში, გასატარებელ კოლონიურ, დამპყრობლურ ღონისძიებებს შენიღბულად, თვალის ასახვევად სამ ეტაპად ჰყოფდნენ:

1. „კავკასიასთან მიახლოებისას ნამდვილი მიზნების შესანიღბავად გამოყენებული ღონისძიებანი და პროპაგანდისტული მანერი „განთავისუფლების“ შესახებ.

2. ე. წ. დროებითი, ანუ „გარდამავალი პერიოდის ღონისძიებანი“ კავკასიის დაპყრობის დროს, რასაც უნდა უზრუნველეყო ჰიტლერის მითითება „ნაადრევად მტრის გაჩენის“ მიზანშეუწონლობის შესახებ.

3. „ღონისძიებანი „საბრძოლო მიზნების“ განსახორციელებლად, რაც კავკასიაში გერმანელების სამუდამოდ გაბატონებასა და მისი ზოგიერთი ტერიტორიის, კერძოდ, საქართველოს „განახლებას“ გულისხმობდა.

როზენბერგის მუხანათური „მემორანდუმის“ მიხედვით საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი არ იარსებებდნენ, როგორც ცალკე დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს ერთეულები. მათ ნაცვლად უნდა შექმნილიყო „საიმპერიო კომისარიატები“, გერმანული იმპერიის შემადგენელი ნაწილი, მათში გათქვეფილი „კოლონია“.

„მემორანდუმში ასახული ამ ბოროტი გეგმების თანახმად, საქართველოში, ისე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, სახელმწიფო ენად უნდა გამოცხადებულიყო გერმანული ენა, რაც ქართული ენის აკრძალვას ნიშნავდა. ეს ისეთი დაუვიწყარი გაკვეთილია, რომელიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ფაშისტთა უბოროტესი განზრახვებისა და გეგმების მამხილებელი მრავალი დოკუმენტი ინახება არქივებში.

ჰიტლერელთა უმაღლესი სარდლობის აგრესიული ტაქტიკისა და სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტების ერთი ნაწილი შესულია სქელტანიან კრებულში: „სრულიად საიდუმლოდ, მხოლოდ სარდლობისათვის“ (1967 წლის გამოცემა); აქვეა, რუკა-სქემაც კავკასიის ფრონტზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა არმიის მოქმედებისა, რომელიც მიმართული იყო ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს დასაპყრობად. ეს რუკა-სქემა გვამცნობს ხუთი თვის განმავლობაში მთავარი მიმართულებით მტრის ჯარების მოძრაობის გეზს. მასზევე მომაკვდინებელი ისრებით ნაჩვენებია დაგეგმილი შეტევის მიმართულებები, რომლის ხორცშესხმა არ დასცალდათ ჰიტლერელებს.

ამიერკავკასიის ხალხები ერთსულოვნად აღდგნენ თავიანთი მიწა-წყლის დასაცავად.

უკიდურეს კრიზისულ დღეებში სტალინმა სამხრეთში მიავლინა ლ. ბერია და სხვა გამოცდილი სამხედრო პირები. შტაბი იმყოფებოდა გუდაუთის რაიონის პორტ მიუსერაში. არმიის რიგებში საკუთარი სურვილით ჩადგნენ რესპუბლიკის იმ რეგიონების მცხოვრებლებიც, რომლებსაც ჯარში გაწვევა არ ეხებოდათ. მეომრის ფარაჯას იცვამდნენ მთელი ოჯახები, მტერს ერთგულად ებრძოდნენ თოთხმეტი და-ძმა ბახტაძეები, ხუთი ძმა — ფილიმონ, ბორის, მელიტონ, ალიოშა და ვიტალი ყურაშვილები, საქართველოს დამცველთა რიგებში ჩადგა ორმოცდაათი ათასზე მეტი ღირსეული თბილისელი. ეს თბილისის მაშინდელი მოსახლეობის 7 პროცენტი იყო. კავკასიის ფრონტზე იბრძოდნენ მფრინავები: ნადია ჯახუა, მერი ავიძბა, ლეტჩიკები: გიორგი ციციშვილი, კარლო ცქიტიშვილი, სამა უბილავა, მირზა გელოვანი და მრავალი სხვა, რომელთა ლოზუნგი იყო: დასახევი არა გვაქვს, ჩვენს ზურგს უკან საქართველოა!

1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე კავკასიისათვის იმ მძიმე კრიზისულ ჟამს ჰიტლერული სარდლობის მიერ შემუშავებული საქართველოს დაპყრობის გეგმის „ედელვაისის“ („მთის ყვავილი“) განსახორციელებლად მოქმედებდა გერმანელთა ორი მთავარი არმიის ჯგუფი „ა“. ამ გაერთიანებაში შედიოდა კარგად აღჭურვილი და დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე სამი რჩეული არმია — მე-17 საერთო საჯარისო და პირველი და მე-4 სატანკო არმიები. ფაშისტებს კავკასიის მთავარი იალბუზის ქედის უღელტეხილის გადმოლახვით უნდოდათ: სოხუმის, ფოთის, ბათუმის, ქუთაისის, თბილისის აღება, რასაც უნდა მოჰყოლოდა შეტევა სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით გერმანელებისათვის ეგზომ საჭირო ნავთობის ბაზების გროზნოს და ბაქოს ხელში ჩასაგდებად, ამიერკავკასიის დასაპყრობად და ინდოეთისაკენ ნანატრი ლაშქრობის დასაწყებად.

ამ შორს გამიზნული, აგრესიული მიზნების მისაღწევად ჰიტლერელთა სამივე არმიის შემადგენლობაში მოქმედებდნენ საგანგებოდ ფორმირებული მობილური სამთო-ალპინისტური შენაერთებიც. მათ შეძლეს მარუხის, ქლუხორის და იალბუზის აღება; შემოაღწიეს აფხაზეთში, დაიკავეს ფსოუ და 20-25 კმ-ით მიუახლოვდნენ გუდაუთის რაიონს.

ჰიტლერისა და ჰებელსის საგანგებო ბრძანებით „იალბუზის აღების“ აღსანიშნავად ბერლინსა და გერმანიის სხვა დიდ ქალაქებში ერთი კვირა სადღესასწაულო ზეიმი იყო გამოცხადებული. მაგრამ ხალხი და საქართველოს დამცველები მედგრად დახვდნენ მტერს. მათ მამაცობასა და მხედრულ ნიჭზე დამაჯერებლად მოგვითხრობენ უტყუარი საბრძოლო ეპიზოდები, ისტორიული საბუთები, ქართველ ავტორთა მონოგრაფიები, პუბლიცისტური სტატიები თუ დოკუმენტური კინომატიანე. ქართველთა მხედრულ ნიჭზე და ცალკეულ საბრძოლო ეპიზოდებზე მოგვითხრობს მიხა ბარამიას ხელნაწერიც. კარგი იქნება, თუ ახალგაზრდა ისტორიკოსები დაინტერესდებიან ამ მონოგრაფიით და ფართო მკითხველს გააცნობენ ქართული ჯარის ნაწილთა მიერ წარმოებულ ბრძოლებზე. ახალ თაობას — სტუდენტობას, მოსწავლეებს, ქართველ ჯარისკაცებს კარგად უნდა გავაცნოთ ჩვენი ახალი ისტორიის გმირული საბრძოლო გამოცდილება.

კონდრატე უბილავა,
მეორე მსოფლიო ომის მონაწილე,
II ჯგუფის ინვალიდი.

საქართველოს რესპუბლიკა
№164. სამშაბათი, 22 ივნისი, 1999 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სიურპრიზები

მოლოტოვისა და გრომიკოს ტრადიციების შესაბამისად

Приштина
Pristina
К. Митровица
K. Mitrovica

როდესაც ამ ათიოდ დღის წინათ გამოქონა ცნობებმა, იუგოსლავიის ტერიტორიაზე რუსეთის რაღაც საჯარისო ნაწილი შევიდაო, ეს არავინ დაიჯერა. ყოველ შემთხვევაში, სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლუკინმა კოსოვოს პრობლემებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე იმავე დღეს განაცხადა, ეს წარმოუდგენელიაო.

მაგრამ საღამოჟამს სიტუაცია გაირკვა. რუსეთის სამფეროვანი დროშებით მორთული ჯავშანტრანსპორტიორები ამაყად წარსდგნენ მსოფლიო ტელეკომპანიების წინაშე.

... აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტროუბ ტელბოტი ბრიუსელს მიფრინავდა, როდესაც შეიტყო, რომ ბოსნიიდან იუგოსლავიაში გადაუსროლიათ ორასი რუსი მედესანტე — „მშვიდობისმყოფელი“. ამ ამბის გაგებისთანავე, ტელბოტმა გაიმეორა „პრიმაკოვის მანევრი“ — უკან მოატრიალებინა თვითმფრინავი, და მოსკოვს დაბრუნდა. მაგრამ პრიმაკოვთან მსგავსება ამით ამოიწურა, დანარჩენში ყველაფერი ზუსტად პირიქით მოხდა. პრიმაკოვი უკან დაბრუნდა იმიტომ, რომ აღარ ელაპარაკა ამერიკელებთან, ხოლო ტელბოტი მოსკოვს დაბრუნდა, რათა მოლაპარაკება გაეგრძელებინა.

დასავლეთი დაიბნა. რას აპირებს რუსეთის რაზმი? საით მიდის, ვინ გასცა ბრძანება? იოლი წარმოსადგენია, რომ კოსოვოში რუსების ასეთ სპონტანურ შესვლას თავისუფლად შეეძლო, დიდი უსიამოვნება გამოეწვია...

საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა აშშ სახელმწიფო მდივანთან მადლენ ოლბრაიტთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რუსეთის რაზმი კოსოვოში არ შევაო. და აშშ ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა საჯაროდ დაადასტურა, რომ ენდობა რუსების დაპირებას.

თურმე, სულ ტყუილად ენდო. რამდენიმე საათის შემდეგ რუსების ბატალიონი უკვე პრიშტინაში იყო, და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა როგორც მატყუარა. ბუნებრივია, თავისი ნების საწინააღმდეგოდ. როგორც გამოირკვა, მას არაფერი სცოდნია მიმდინარე ამბების რეალიებზე, ისევე, როგორც არაფერი იცოდა არც რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჩერნომირდინმა და არც თვით პრემიერ-მინისტრმა სერგეი სტეპაშინმა.

თუ ვირწმუნებთ, რომ გენერლები ნამდვილად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, მაშინ სავსებით გასაგებია სამხედროების სიჯიუტე, რომლებიც არ აღიარებდნენ ბრძანების „ავტორობას“. ნებისმიერი მხედართმთავარი, რომელიც თავისი მთავრობის ნებადაურთველად გაგზავნის ჯარს სხვის ქვეყანაში, არა მარტო გადაყენებულ იქნება თანამდებობიდან, არამედ განსასჯელის სკამზეც აღმოჩნდება.

რუსეთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი არასაიმედო და, ასე განსაჯეთ, შეურაცხადი პარტნიორია.

მან გამოავლინა ერთობ ორიგინალური გაგება თავისი, როგორც მსოფლიო გაერთიანების წევრის მოვალეობებისა. შეგახსენებთ, რომ ჯარის ქვეგანაყოფი კოსოვოში გადაისროლეს ბოსნიიდან, სადაც სამშვიდობო სამსახურს ეწეოდა. ამრიგად, რუსმა სამხედროებმა თავს ნება მისცეს, მიეტოვებინათ საგუშაგო და სხვის ქვეყანაში შეჭრილიყვნენ. ეს გახლავთ ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი იმის წინააღმდეგ, რასაც დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის გენერალიტეტი — „მშვიდობისმყოფელთა“ დაცალკევებული სარდლობა კოსოვოში. ერთი სიტყვით, რუსეთის პოლიტიკურმა „ელიტამ“ საუცხოო იმიჯი შეუქმნა თავის სახელმწიფოს მის ეროვნულ დღესასწაულზე. ამასობაში კი მოვლენები ვითარდებოდა. მოვიდა ცნობები, რომ ახალი სადესანტო ნაწილები ემზადებიან უკვე უშუალოდ რუსეთიდან გადასაფრენად. და აქ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. იუგოსლავიის მეზობელმა ქვეყნებმა — უნგრეთმა, რუმინეთმა და ბულგარეთმა — რუსებს უარი უთხრეს სამხედრო-საჰაერო დერეფნის გახსნაზე.

ცოტა ხნის შემდეგ კი კოსოვოში ნატოს ჯარისკაცები შევიდნენ, ჯერ ინგლისელები და ფრანგები, შემდეგ ამერიკელები, გერმანელები და იტალიელები. მშვიდობისმყოფელი ჯარების შტაბი გეგმის მიხედვით უნდა დაბანაკებულიყო სწორედ პრიშტინის აეროპორტში, რომელიც რუსეთის ჯარის ნაწილს დაეკავებინა. ახალმოსული ინგლისელები რუსმა მედესანტეებმა აეროპორტში არ შეუშვეს, თუმცა, არავითარი კონფლიქტი არ მომხდარა. ბრიტანელმა გენერალმა მაიკლ ჯექსონმა განაცხადა: „რუსები ჩვენი მტრები კი არა, მოკავშირეები არიან, ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთო“. მაგრამ გენერალ ზავარზინთან მოლაპარაკებას აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შესახებ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ამის შემდეგ დაიწყო კიდევ უფრო საინტერესო ამბები. სერბთა უკანასკნელი სამხედრო ნაწილები წავიდნენ აეროპორტიდან და რუსი მედესანტეები აღმოჩნდნენ უშუალო სიახლოვეს ირგვლივ მდებარე ტყეებში შეფარებული კოსოვოს განთავისუფლების არმიის მებრძოლებთან, რომლებიც არასოდეს იტყვიან უარს, აუტეხონ სროლა დაუპატიჟებელ სტუმრებს. ზოგიერთი ცნობების თანახმად, რუსებმა ნატოს სამხედროებს მხარდაჭერა თხოვეს.

სერბი მოსახლეობა თავიდან აღტაცებული შეხვდა რუსებს. მაგრამ კოსოვოში, ბოსნიისაგან განსხვავებით, სხვაგვარი სიტუაცია შეიქმნა. როდესაც ცხადი გახდა, რომ რუს „მშვიდობისმყოფლებს“ არათუ სხვისი დაცვის თავი არა აქვთ, არამედ იქით არიან დასაცავნი, დაიწყო სერბების მასობრივი აყრა.

პირველ სამ დღეში კოსოვოდან გაიქცა დაახლოებით 30 ათასი კაცი, არა მარტო სერბები, არამედ აგრეთვე, ალბანელებიც, რომლებიც იუგოსლავიის ხელისუფლებთან თანამშრომლობდნენ. ბუნებრივია, რომ დამცველთა ფუნქციებს კისრულობენ დასავლელი მშვიდობისმყოფლები. ეს მათი უშუალო მოვალეობაა. ახლა კი, მოდით, დავუბრუნდეთ რუსეთის როლს ამ რთულ სამშვიდობო პროცესში. თუმცა, დაწყება კოსოვოზე უფრო ადრინდელი ამბებით მოგვიწევს. საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი კატეგორიულად აცხადებდა, რომ სამხედროები არამც და არამც, არავითარ ვითარებაში არ უნდა გააჭაჭანო ახლოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასთან. პოლიტიკაზე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გავლენის საშიშროების შესახებ ლაპარაკობდა ამერიკის პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერიც. ორივენი ყოფილი სამხედროები იყვნენ და „შიგნიდან“ იცოდნენ ეს გარემო.

პოლიტიკაში სამხედროების ჩაურევლობის პრინციპს დემოკრატიულ მსოფლიოში საკმაოდ მკაცრად იცავდნენ და იცავენ. რაოდენ დიდი ღვაწლიც უნდა ჰქონოდათ, ვთქვათ გენერალ დუგლას მაკარტურს (მეორე მსოფლიო ომის გმირს), თუ ნორმან შვარცკოფს (სპარსეთის ყურის ომის გმირს), ორივენი მწარედ შეცდნენ, როდესაც კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს პრეზიდენტის მიმართ, — ისინი მაშინვე გადააყენეს.

თუ ამ პრინციპს ესოდენ სკრუპულოზურად იცავენ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, იგი მით უფრო საჭიროა სახელმწიფოებში, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ იყვნენ ტოტალიტარულნი. როდესაც რუსეთის გენერალიტეტზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არსებითს უზუსტობას ვუშვებთ. ასეთი რამ ჯერჯერობით არ არსებობს. არიან საბჭოთა გენერლები (შესაბამისი გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური მენტალიტეტით), რომლებმაც ხუთი წლის წინათ ელცინს ბრიყვულ ანტინატოურ ხაფანგში ამოაყოფინეს თავი. იოლი წარმოსადგენია, როგორ უფენდნენ ეს გენერლები პრეზიდენტს მაგიდაზე რუკას, როგორ უხატავდნენ წითელ და ლურჯ ისრებს, როგორ უნიშნავდნენ ალიანსის საზღვარს, ასე ახლოს რომ გადიოდა სმოლენსკისაგან...

რაოდენ უცნაურიც უნდა გვეჩვენოს, გენერლების ხრიკს მაშინ რუსეთის მთელი „პოლიტიკური ბომონდი“ წამოეგო. არა მარტო იაველინსკი, არამედ გაიდარი და ჩუბაისიც ალაპარაკდნენ, რომ ყოვლად არასასურველია „ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება“. ამის შედეგად მათ მხოლოდ აიძულეს ელდანაცემი აღმოსავლეთი ევროპა, რუსეთს განზე გასდგომოდა. მაშინ რუს პოლიტიკოსებს შორის გამოიძებნა მხოლოდ ერთი ჭკვიანი დიპლომატი — ანდრია კოზირევი, — მაგრამ მას მსწრაფლ დაატოვებინეს მინისტრის პოსტი. ყველა მომდევნო რუსი საგარეო საქმეთა მინისტრი თავისი შეხედულებებითა და პოლიტიკური ორიენტაციით ძალზე წააგავდა საბჭოთა მინისტრებს — ჩიჩერინს, მოლოტოვს, გრომიკოს.

იცნობიერებს კი დღეს ვინმე საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე მხედრიონის გავლენის საშიშროებას?

რა ხდება ახლა? საბჭოთა გენერალიტეტი ჩინელ სამხედროებთან აწარმოებს მოლაპარაკებას „სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ. აი, ისიც, გამყოფი ხაზი, რომელმაც უკვე იჩინა თავი.

გენერლები დაჟინებით მოითხოვდნენ რაღაც ცალკე სექტორის გადაცემას, რადგან კარგად ესმოდათ, რომ რუს ჯარისკაცებს თავს დაესხმიან კოსოვოს განთავისუფლების არმიის ექსტრემისტები (როდესაც რუსების ქვედანაყოფები დასავლელთა გვერდით იქნებიან, ამას ვერ გაბედავენ). აი, კიდევ ერთი გამყოფი ხაზი: თებერვალ-მარტში სწორედ გენერლების შეგულიანებით ემუქრებოდა ელცინი ნატოს: „კოსოვოელ სერბებს არავის დავაჩაგვრინებთო“. და ამით გარკვეული იმედები ჩაუსახა მილოშევიჩს, მაშასადამე, მასთან ერთად გაიზიარა ომისათვის პასუხისმგებლობა (ეს — რაც შეეხება ელცინის მორალურ უფლებას, აკრიტიკოს ნატო).

პრეზიდენტი ელცინი, როგორც ჩანს, საბჭოთა გენერლებს თავის ერთგულ დასაყრდენად თვლის, მაგრამ მწარედ ცდება. ისინი გაცილებით უფრო ახლოს არიან „მოწითალო-მოყავისფრო“ ოპოზიციასთან, ვიდრე მასთან. განსვენებული გენერალი როხლინი ამ მხრივ ავბედითი ფიგურაა. და არ არის გამორიცხული, მისი ადგილი დაიკავოს რომელიღაც ლეონიდ ივაშოვმა. ყოველ შემთხვევაში, ეს სამხედრო გაცილებით უფრო იოლი წარმოსადგენია მიტინგის ტრიბუნაზე გადმომდგარი ანპილოვის გვერდით, ვიდრე ბრიუსელის მოლაპარაკებაზეო, წერს ანდრია ანტონოვი ყოველკვირეულ „ექსპრეს-ქრონიკაში“,

---

კოსოვოს არმია განიარაღდება

კოსოვოს განთავისუფლების არმიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას თავიანთი ქვეგანაყოფების განიარაღების შესახებ. არმია ჩააბარებს მძიმე შეიარაღებას ნატოს, ხოლო ცეცხლსასროლ იარაღს თავს მოუყრის საწყობებში. მისი მებრძოლები არ ატარებენ ფორმას და შეუდგებიან გზებზე მოწყობილი ბლოკ-პოსტებისა და ზღუდეების დემონტაჟს. მძიმე შეიარაღება უნდა ჩაბარდეს ერთი თვის განმავლობაში, კიდევ 60 დღის შემდეგ პარტიზანები უიარაღოდ უნდა დარჩნენ. ნატოს სამშვიდობო ძალების მეთაურმა გენერალმა მაიკლ ჯექსონმა განაცხადა, რომ კოსოვოს განთავისუფლების არმიამ შეწყვიტა არსებობა, როგორც სამხედრო ფორმირებამ. გენერალმა ხელი მოაწერა არმიის მეთაურთან ხაშიმ ტაჩისთან შეთანხმებას ცოტა ხანში იმ ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც სერბეთს ჰქონდა მიცემული კოსოვოდან თავიანთი ძალების გასაყვანად.

სერბთა სოფლებს დაერბევენ...

კოსოვოს ერთ-ერთ სოფელში ალბანელებმა დაანგრიეს და დაწვეს მხარიდან აყრილი სერბების სახლები. კოსოვოს ჩრდილოეთში მყოფი ბი-ბი-სის კორესპონდენტის ცნობის თანახმად, მან საკუთარი თვალით ნახა, როგორ ტვირთავდნენ თავიანთ ტრაქტორებსა და სატვირთო ავტომანქანებში ალბანელები სერბთა სახლებიდან გამოტანილ ავეჯსა და ბარგი-ბარხანას. ყოველივე ამას თვალს ადევნებდნენ სამშვიდობო ძალების იტალიის კონტინგენტის ჯარისკაცები, მაგრამ არაფერი არ უღონიათ. მსგავსი ინციდენტების შესახებ ცნობები მოდის კოსოვოს სხვა რაიონებიდანაც, ხოლო ბრიტანელი და ფრანგი სამხედროები ამბობენ, რომ მათ არა ჰყავთ საკმარისი რაოდენობის ხალხი, რათა ალაგმონ მაროდერები.

სერბთა ოპოზიცია ცვლილებებს მოითხოვს

კოსოვოდან სერბი მოსახლეობის მასობრივი აყრის ფონზე სერბეთის ოპოზიცია დაუყოვნებლივ და ფუნდამენტურ პოლიტიკურ ცვლილებებს მოითხოვს. ოპოზიციური აღორძინების მოძრაობის ლიდერმა ვუკ დრაშკოვიჩმა განაცხადა, რომ ურეფორმებოდ იუგოსლავია ვერ მიიღებს ვერავითარ საერთაშორისო საფინანსო დახმარებას, რაც აუცილებელია ომისშემდგომი აღდგენისათვის. დრაშკოვიჩმა, აგრეთვე, მოუწოდა თავის მომხრეებს, მზად იყვნენ ყოველგვარი მოქმედებისათვის, თუ ახლანდელმა მთავრობამ ყურად არ იღო ოპოზიციის არგუმენტები. ბელგრადში ასევე გაიმართა იმათი საპროტესტო დემონსტრაცია, ვინც იძულებული იყო დაეტოვებინა კოსოვო. სერბი ლტოლვილები აცხადებენ, რომ მთავრობა უგულებელყოფს მათს მდგომარეობას. ამ მომენტისათვის კოსოვოდან წამოსულია 50 ათასზე მეტი სერბი მცხოვრები.

იმიგრანტებს იჭერენ

თურქეთის პოლიციამ დააკავა ორასზე მეტი არალეგალი იმიგრანტი, რომელიც იტალიაში მიემგზავრებოდა. როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, იმიგრანტები — ძირითადად, თურქები, აგრეთვე, ნიგერიისა და ერაყის მოქალაქენი — დააკავეს მას შემდეგ, რაც გემი იზმირის ნავსადგურის მახლობლად აღმოაჩინეს. მგზავრები სამ დღეს იყვნენ გემზე საჭმელ-სასმელის ერთობ შეზღუდული მარაგით. ყოველწლიურად თურქეთის გავლით ევროპის კავშირის ქვეყნებში არალეგალურად ჩადის ათასობით კაცი ახლო აღმოსავლეთისა და აზია-აფრიკის ქვეყნებიდან.

აზერბაიჯანის სასამართლოები ახალ საზოგადოებას აშენებენ

ვაშინგტონში რადიო „თავისუფლებამ“ გამართა მიღება, რომელზეც სამმა აზერბაიჯანელმა მაღალი თანამდებობის იურისტმა განაცხადა, რომ მათმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია კანონის უზენაესობაზე დამყარებული სამოქალაქო საზოგადოების კონსტიტუციური, სამართლებრივი და სასამართლო სტრუქტურების შექმნაში. ამავე დროს, იურისტებმა — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ჩინგიზ ბაშიროვმა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ ბაჰმან ლარიბოვმა და ეკონომიკური სასამართლოს მოსამართლემ ნიგარ რასუმბაევამ თქვეს, რომ აზერბაიჯანი ჯერ კიდევ აწყდება მნიშვნელოვან პრობლემებს, ვინაიდან დასაძლევი აქვს საბჭოთა ხანის მემკვიდრეობა, როდესაც სასამართლო სისტემა კომუნისტურ პარტიას ექვემდებარებოდა. მათ აქვე დასძინეს, რომ აზერბაიჯანის სასამართლოებმა გაცილებით მეტ პროგრესს მიაღწიეს, ვიდრე ბევრ მეთვალყურეს ჰგონია, და რომ სასამართლო სისტემა სულ უფრო მეტ ავტორიტეტს იხვეჭს, როგორც მოსახლეობაში, ისე მთავრობაში. კერძოდ, მოსამართლე ბაშიროვის თქმით, საკონსტიტუციო სასამართლომ უკანასკნელი თორმეტი თვის მანძილზე გააუქმა საბჭოთა ხანის მრავალი კანონი, მათ შორის, საკანონმდებლო დებულებანი, რომლებიც ადამიანებს უზღუდავდნენ ქონების ყიდვა-გაყიდვის უფლებებს და ნებას რთავდნენ სასამართლოებს, ჩამოერთმიათ გარკვეული დანაშაულობებისათვის მსჯავრდებულ ადამიანთა კუთვნილი ქონება.

მოსამართლე რასუმბაევამ აღნიშნა, რომ ეკონომიკური სასამართლო არბიტრაჟის ძველი სისტემის უფლებამონაცვლეა. მაგრამ კონსტიტუციის ახალ დებულებათა გამო ამ ორგანოს მკვეთრად მოემატა დატვირთვა, ვინაიდან უცხოელი და ადგილობრივი მეწარმენი ეკონომიკური სასამართლოს მეშვეობით ცდილობენ მიაღწიონ ქონებრივი დავის გადაწყვეტას აზერბაიჯანის სამართლებრივი სისტემის ფარგლებში.

ამჟამად ეს სამი მოსამართლე შეერთებულ შტატებში იმყოფება იუსიას პროგრამის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელი მოსამართლეებისათვის ამერიკის სასამართლო სისტემის გაცნობას.

კლინტონი და შრედერი ბჭობენ

ბონში პრეზიდენტმა კლინტონმა ევროპის კავშირთან გამართა მოლაპარაკება, რომელიც კოსოვოს აღდგენას მიეძღვნა. ევროკავშირს წარმომადგენლობდა გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი. ვაშინგტონმა უკვე ნათლად განაცხადა, რომ კოსოვოს აღდგენის სამუშაოთა ძირითადი ტვირთი ევროკავშირს დააწვება. ვარაუდობენ, რომ რეკონსტრუქცია გაცილებით უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ბოსნიაში, სადაც აღდგენას ხუთი მილიარდი დოლარი მოხმარდა. კლინტონმა და შრედერმა განიხილეს, აგრეთვე, სავაჭრო ომების თავიდან აცილების გზები, კერძოდ, ისეთებისა, შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის რომ ატყდა ბანანის ვაჭრობისა და ამერიკული ძროხის ხორცის მიწოდების საკითხთა გამო.



ოგატა: აფრიკელ ლტოლვილებს მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ

გაეროს ლტოლვილების საქმეთა უზენაესმა კომისარმა სადაკო ოგატამ განაცხადა, რომ კოსოვოდან ხალხის ოტებამ აშკარად გამოავლინა მსოფლიო გაერთიანების განსხვავებული მიდგომა ევროპისა და აფრიკის კრიზისებისადმი. ოგატა ამჟამად კენიაში იმყოფება, და აქედან იწყებს აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობას ლტოლვილთა და ომის მსხვერპლთა მდგომარეობის გასაცნობად. ბი-ბი-სისადმი ინტერვიუში კომისარმა თქვა, რომ კოსოვოს კრიზისმა ასეთი ყურადღება მიიპყრო იმის წყალობით, რომ გეოგრაფიულად ახლოს არის დახმარების გამწევ სააგენტოებთან, მასობრივი ინფორმაციის უდიდეს საშუალებებთან და პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრებთან. კოსოველ ლტოლვილებზე დაახლოებით 15-ჯერ მეტი სახსრები იხარჯება, ვიდრე აფრიკის ქვეყნებიდან ოტებულ მოსახლეობაზე. სიტუაცია კოსოვოში საგანგებო იყო, მაგრამ, ხაზი გაუსვა ოგატამ, გაერო კვლავინდებურად ახმარს ნახევარ სახსრებს აფრიკელ ლტოლვილებს.

დედამიწაზე 400 მილიარდერი ცხოვრობს

ჟურნალ „ფორბსის“ მიერ გამოქვეყნებული უმდიდრეს ადამიანთა ყოველწლიური სიის თანახმად, დღეს პლანეტაზე 400-ზე მეტი მილიარდერი ცხოვრობს. მსოფლიოს პირველი ორასი უმდიდრესი კაცის ხელში თავმოყრილია ტრილიონ დოლარზე მეტი. ბევრი მილიარდერი თავის ქონებას უნდა უმადლოდეს ბირჟებზე აქციების ღირებულების ზრდას და ინტერნეტის განვითარებას. კვლავინდებურად ყველაზე მდიდარ კაცად ითვლება ბილ გეიტსი, რომელმაც ერთ წელიწადში გააორკეცა და 90 მილიარდ დოლარამდე აიყვანა თავისი ქონება. უმდიდრესი მეფეების, დედოფლებისა და დიქტატორების სიას სათავეში უდგანან ბრუნეის სულთანი და საუდის არაბეთის მეფე. მათ ოდნავ ჩამორჩება ერაყის ლიდერი სადამ ჰუსეინი. დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის ქონების თაობაზე ჟურნალი ერთობ ბუნდოვან პოზიციას ადგას. მისი ქონება, „ფორბსის“ შეფასებით, შეადგენს 500 მილიონიდან 16 მილიარდამდე დოლარს — იმის კვალობაზე, იანგარიშება თუ არა ლონდონის ტაუერში დაცული სამეფო კოლექციის ძვირფასეულობანი.

კონვენცია კრძალავს ბავშვთა შრომას

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ ერთხმად მიიღო კონვენცია, რომელიც კრძალავს ბავშვთა შრომის ყველაზე სასტიკ ფორმებს. მიღებული ხელშეკრულება კატეგორიულად მოითხოვს, აღმოიფხვრას ბავშვთა პროსტიტუცია და ბავშვებით ვაჭრობა, და კრძალავს ყმაწვილთა დაქირავებას ჯარში სამსახურისათვის. მიუხედავად ამისა, როგორც ბი-ბი-სის ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება, მიღებული დოკუმენტი არსებითად არის კომპრომისი, ვინაიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალმა სახელმწიფოებმა ვერ შესძლეს ისეთი კონვენციის მიღება, რომელიც კანონგარეშე გამოაცხადებდა ბავშვთა შრომის ყველა ფორმას.

წურბელა კომპიუტერსაც მოერგო

ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს კომპიუტერი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს უმარტივესი არითმეტიკული ოპერაციები (ამ ეტაპზე — მიმატება). ჩვენს დროში ეს ამბავი არავის არ გაუკვირდებოდა, ერთი პატარა დეტალი რომ არა: ამ მანქანებში ტრადიციულ კაჟბადის ელექტროსქემების სამუშაოს ასრულებენ... წურბელების ნეირონები. ამ პრიმიტიული ბიოლოგიური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების შექმნა სახავს პერსპექტივას ისეთი კომპიუტერების შესაქმნელად, რომლებიც დამოუკიდებლად აირჩევენ ამოცანის ამოხსნის გზას და არა — იმუშავებენ ჩადებული პროგრამის მიხედვით. საექსპერიმენტოდ შეარჩიეს წურბელების ნეირონები, ვინაიდან მათი თვისებები კარგად არის შესწავლილი. ისინი მოათავსეს ჭურჭელში და შეუერთეს მიკროელექტროდებს. ყოველ ნეირონს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ელექტრული აქტიურობა და თავისებურად რეაგირებს სტიმულაციაზე. ყოველი რიცხვი წარმოდგენილია გარკვეული ნეირონით და ოპერაციის შესრულებისას ისინი თანამოქმედებენ (როგორც ეს ხდება ტვინის მუშაობის დროს). ვარაუდობენ, რომ ასეთი მიდგომა გააადვილებს ბევრი ამოცანის გადაწყვეტას, მაგალითად, ხელნაწერი ტექსტის გარკვევას, რომელიც თანამედროვე კომპიუტერებისაგან მოითხოვს კოლოსალურ გამოთვლით სიმძლავრეს. მაგრამ, ჯერჯერობით აქამდე შორია და მომდევნო ეტაპზე წურბელების ნეირონებს რიცხვთა გამრავლებას ასწავლიან.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვება

არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

ღვაწლი

მკვლევარი, რომელიც დროს უსწრებდა

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას 80 წელი შეუსრულდებოდა.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოში თერმოქიმიისა და ქიმიური თერმოდინამიკის დარგში კვლევათა ფუძემდებელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ნიკოლოზ ლანდიას 80 წელი შეუსრულდებოდა. როგორც მკვლევარმა და პედაგოგმა თვალსაჩინო ღვაწლი დასდო ქართული ქიმიური მეცნიერების განვითარებას, რომელიც მას სიცოცხლეშივე დაუფასა მთელმა საზოგადოებამ.

ნიკოლოზ ლანდიამ 1940 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, 1945 წელს წარჩინებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ტექნოლოგიური ხასიათის მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენდა. მასში დამუშავებული იყო ქართული მირაბილიტის გამოყენებით სოდის წარმოების სრულიად ახალი, ორიგინალური და იმ დროისთვის მეტად პროგრესული მეთოდი.

ადრიდანვე გამოიკვეთა მეცნიერის ინტერესის სფერო – ქიმიური თერმოდინამიკა. მაღალტემპერატურული ქიმიური პროცესების კვლევას განსაკუთრებით აფერხებდა არაორგანულ ნაერთთა თერმოდინამიკური თვისებების შესახებ ექსპერიმენტული ინფორმაციის სიმცირე, რომლის მოპოვება დიდ დროსა და მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებს მოითხოვდა. პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ამ მეტად საჭირო პრობლემის გადასაჭრელად, მან თერმოდინამიკური მახასიათებლების განსაზღვრის გათვლითი მეთოდების ძიება განახორციელა.

მოკლე ხანში გამოქვეყნდა მისი ნაშრომები, რომლებშიც მოცემული იყო მაღალტემპერატურული თბოტევადობის დადგენის სხვადასხვა ხერხი; დროთა განმავლობაში იგი იხვეწებოდა, ფართოვდებოდა მისი მოხმარების სფერო და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა მაღალტემპერატურული თბოტევადობის გათვლის სრულიად ორიგინალური, მყარი ტანის თეორიის დებულებებზე დაყრდნობილი, ნახევრადემპირიული მეთოდი. აღნიშნული მეთოდი გამოირჩევა უნივერსალობით, სიზუსტით, გათვლის პროცედურის მოხერხებული და დახვეწილი საშუალებებით და მოიცავს არაორგანულ ნაერთთა თითქმის ყველა კლასს. ამ მეთოდის არსი დეტალურად არის გადმოცემული ნიკოლოზ ლანდიას სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც მან 1958 წელს დაიცვა. 1962 წელს გამოცემული მისი მონოგრაფია „არაორგანულ ნაერთთა მაღალტემპერატურული თბოტევადობის გათვლა სტანდარტული ენტროპიის სიდიდის მიხედვით“, სადოქტორო დისერტაციაში მოყვანილი მასალების მნიშვნელოვანი განვითარებისა და შევსების შედეგად შეიქმნა.

ნიკოლოზ ლანდიას მიერ შექმნილმა მეთოდმა ფართო გამოყენება ჰპოვა მაღალტემპერატურული ქიმიური, განსაკუთრებით სილიკატური და მეტალურგიული პროცესების კვლევის დროს. მონოგრაფიის გამოსვლის მომდევნო წლებში მეცნიერის მეთოდზე მითითებულია და მოხსენიებულია მრავალ სამეცნიერო პუბლიკაციაში მისი გამოყენება.

1959-1960 წლებში ნიკოლოზ ლანდიას თაოსნობით მეცნიერებათა აკადემიის ორ დაწესებულებაში, მეტალურგიის და არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ლაბორატორიები, რომლებიც დღეს აღიარებულ სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენენ. მათში მოღვაწეობენ მაღალკვალიფიკაციური კადრები. წარმატებით შესრულებულია თერმოდინამიკური და თერმოქიმიური კვლევები.

არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის თერმოქიმიის ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელი 1960-1972 წლებში ის იყო, დღეს მისი დამაარსებლის სახელს ატარებს. ამ ლაბორატორიაში ნიკოლოზ ლანდიამ საფუძველი ჩაუყარა მყარ არაორგანულ ნაერთთა თერმოდინამიკური თვისებების ექსპერიმენტულ შესწავლას პრეციზიული კალორიმეტრიის გამოყენებით. მეცნიერმა თავის მოწაფეებთან ერთად ფართო კვლევების საფუძველზე დაადგინა მეცნიერებისა და ტექნიკისათვის მნიშვნელოვანი ობიექტების – ფერიტების და მათი მყარი ხსნარების ძირითადი თერმოდინამიკური თვისებები. მიღებული შედეგების უმრავლესობა შეტანილია ფუნდამენტურ ცნობარებში, აგრეთვე, თერმოდინამიკური მონაცემების ავტომატიზებულ ბანკებში. ისინი საფრანგეთის, კანადის, აშშ, ინდოეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა თერმოდინამიკური ცენტრების მიერ არაერთგზის არის მოთხოვნილი.

არიან მკვლევარები, რომელნიც წინ უსწრებენ დროს, ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა ნიკოლოზ ლანდია.

უნდა აღინიშნოს ის სიახლეც მეცნიერებაში, რომელიც მან ჯერ კიდევ სამოციან წლებში დანერგა, ეს გახლავთ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით ექსპერიმენტის შედეგების სტატისტიკური დამუშავების ახალი მეთოდი. აღნიშნული სტატისტიკური გათვლები გადატანილია მანქანის ენაზე, შედგენილია შესაბამისი ალგორითმები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ მკვლევარები როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ამით ნიკოლოზ ლანდიამ თერმოდინამიკური კვლევები ჩვენში მსოფლიო მასშტაბის საუკეთესო კვლევების დონემდე აიყვანა.

მეტად სამწუხაროა, რომ მეცნიერს არ დასცალდა მთელი თავისი მეცნიერული მისწრაფებებისა და ჩანაფიქრის განხორციელება. მძიმე ავადმყოფი გატაცებით მუშაობდა თავის ბოლო ნაშრომზე, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. ეს იყო ორიგინალური მეთოდი თბოტევადობის ოპტიმალური აპროქსიმაციისა მონაცემების ენთალპიებით დამუშავების დროს.

ნიკოლოზ ლანდია წარმატებით ათავსებდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობასთან. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საინჟინრო კადრების აღზრდისა და დაოსტატების საქმეში: წლების მანძილზე იგი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე, სამეცნიერო-კვლევითი სექტორისა და სასწავლო ნაწილის უფროსი, ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში. თორმეტი წლის განმავლობაში ედგა სათავეში მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოს-მდივანი, ვიცე-პრეზიდენტი... ასეთი იყო მეცნიერის აღმავალი გზა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სრულიად გამორჩეული გულთბილი დამოკიდებულება, რომელიც მას ჰქონდა თავის მოწაფეებთან, კოლეგებთან და საერთოდ, ადამიანებთან. სისადავე, ლმობიერება, ტაქტი, მზრუნველობა, საპირისპირო აზრის გათვალისწინებისა და სხვისი პოზიციის გაგების გულწრფელი სურვილი, დიდი განსწავლულობა, მაღალი პროფესიული ავტორიტეტი, საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება – აი, ის თვისებები, რომლებიც აგვირგვინებენ აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას, ამ ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტის მარადსახსოვარ ნათელ სახეს.

გივი სანაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი;

გურამ გველესიანი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;

გიორგი ციციშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, აკადემიკოსი;

ჯონდო ჯაფარიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მოულოდნელი რაკურსი

სპექტაკლი... ბადრაგის თანხლებით

ყველა თეატრს ორი კარი, ორი შესასვლელი აქვს. ერთი კარიდან მაყურებელი შედის, მეორედან – შემსრულებელი. ორი დიდი მოლოდინი შედის ერთ ჭერქვეშ. ერთი სანახაობას, რაღაც ახალს, მოულოდნელს ელის, მეორე – მაყურებელთან შეხვედრის სიხარულს და იმის განცდას, როგორ აღიქვამენ მის გმირს, სიტყვას.

ამ უბრალო ჭეშმარიტებაზე აქამდე ასე სერიოზულად არ მიფიქრია. მაგრამ გუშინწინ ეს ორი კარი ისე განსხვავდებოდა, რომ საზოგადოდ თეატრმა რაღაც უფრო ღრმა, უფრო სენტიმენტალური, უფრო ადამიანური აღძრა.

წარმოიდგინეთ:

გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობა. რუსთაველის პროსპექტის მხრიდან საგანგებოდ განწყობილ მაყურებელთა ტალღა მიიწევს შენობაში.

სულხან-საბას ქუჩიდან თეატრის სამოსამსახურო კართანაც ბლომად ხალხი ირევა, უმრავლესობა პოლიციელია. კარებთან ციხის მანქანა ჩერდება და ბადრაგს ექვსი პატიმარი – შემსრულებელი შეჰყავს შენობაში. ამ ექვსმა მსჯავრდებულმა მაყურებელს ცხოვრებისეული სურათები უნდა დაუხატოს. სცენაზე თამაშდება ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“.

წარმოდგენა ასეთი შემსრულებლებით უკვე ცალკე დრამაა, ცალკე თემაა თეატრისათვის, აღსავსე კონტრასტებით, ექსპრესიით, წუხილითა და სასოებით.

ამ უპრეცედენტო შემთხვევის მოთავენი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საუწყებო თეატრი და სასჯელთა აღმასრულებელი დეპარტამენტი.

უეჭველია, რომ ამ ფაქტს საზოგადოებრიობის სხვადასხვა წარმომადგენელი სხვადასხვაგვარად შეაფასებს. მას მომხრეებიც ეყოლება და მოწინააღმდეგენიც. თვით სასჯელთა აღმასრულებელი დეპარტამენტის თავმჯდომარე, პოლიციის გენერალ-მაიორი გივი ყვარელაშვილი ასე ხსნის: „ჩვენი ქვეყნის სასჯელთა აღმასრულებელ დაწესებულებებში აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაცია, მისი ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, რომლის ძირითადი მიზანია საზოგადოებისაგან დროებით იზოლირებულ პირთა მორალური მხარდაჭერა. ეს სპექტაკლიც სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება“.

ამ რთულ სპექტაკლზე იმუშავა საუწყებო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, გამოცდილმა რეჟისორმა კოტე სურმავამ, მას ეხმარებოდნენ ამავე თეატრის მსახიობები ირაკლი ლარიბაშვილი და პაატა მხეიძე. თავისი ხანგრძლივი სარეჟისორო მოღვაწეობის მანძილზე, ბატონ კოტესთვისაც უჩვეული იყო ქალთა კოლონიაში მუშაობა, ამგვარ გარემოში შეერჩია შედარებით თეატრალური მონაცემების მქონე ქალები – მე თითქოს სხვა კუნძულზე მოვხვდი, – ამბობს იგი, – სრულიად სხვა სამყაროში აღმოჩნდნენ მსჯავრდებულნიც, ისინი სპექტაკლზე მუშაობის ერთი წლის მანძილზე, ოთხი საათით წყდებოდნენ რკინის მარწუხებს და რეპეტიციებზე ისე მოდიოდნენ, როგორც ზეიმზე. უმალ აიტაცებდნენ ხოლმე მითითებებს და შენიშვნებს. მაოცებდა, რომ მათი წარსულის მიუხედავად, მომავალი მაყურებლისადმი რიდი და მოკრძალებაც გაუჩნდათ. ამავე დროს იმასაც ვგრძნობ, რომ თეატრთან დამშვიდობება ძალიან გაუჭირდებათ.

ექვსი მსჯავრდებული – სცენისმოყვარის ერთადერთი პროფესიონალი პარტნიორი გივი ბერიკაშვილი:

„თქვენ წარმოიდგინეთ საკმაოდ ნორმალურ ატმოსფეროში მიწევდა მუშაობა, ყოველგვარი გართულების გარეშე. ახალგაზრდა ქალბატონები თვალებში შემოგვციცინებდნენ მეც და რეჟისორსაც. გამაკვირვა იმან, თუ როგორ ეხმარებოდნენ და როგორ ედგნენ ერთმანეთს მხარში. ენერგიის დაუზოგავად, მშვენივრად იმუშავეს. ისიც კი მთხოვეს, – ბატონო გივი, ქალთა კოლონიის თხოვნაა, იქნებ დაგვეხმაროთ და ეს სპექტაკლი მთელ ზონას ვუჩვენოთ, – ვნახოთ... იქნებ ესეც მოხერხდეს.

იმასაც მეკითხებიან, როცა სასჯელს მოვიხდით და გავთავისუფლდებით, თქვენთან სტუმრობას ხომ არ დაგვიშლითო. შესვენებისას პირად საუბარში მეუბნებოდნენ, რომ შეცდომა მოუვიდათ, რომ მათი პატიმრობა შემთხვევითობა იყო. ღმერთმა განსაჯოს... ერთ მთავარ ამბავში კი დავრწმუნდი, რომ მათ გაიგეს სცენის გემო, თეატრის ფასი და ძალა“.

სცენაზე გათამაშებულ დრამატურგიულ სამყაროში შემსრულებლებმა გაითავისეს თავიანთ გმირთა შინაგანი ბუნება, ხასიათები და პიესის პერსონაჟები საოცარი გულწრფელობით დახატეს. დიახ, ექვსი პატიმარი ქალი თეატრში პროფესიონალ მსახიობთა კარიდან შევიდა, რათა დამცირებული ცხოვრებიდან (როგორც უნდა ვთქვათ, პატიმრობა მაინც დამცირებაა და ამიტომაც არის სასჯელი) თუნდაც ორი საათით სცენაზე ამაღლებულიყო და ადამიანურ არსში ჩადებული სიდიადე ეგრძნოთ.

ვიცი, რა მძიმეა გაგეგონ იმ ადამიანებმა, ვინც ექვსი მსჯავრდებულის მსხვერპლი, დაზარალებული შეიქნა, მაგრამ აკი ქრისტე გვასწავლის: მოექეცი სხვას ისე, როგორც გსურს შენ მოგექცნენ.

შემსრულებლებს ტაშს უკრავდნენ პროფესიონალი მსახიობები და რეჟისორები, მწერლები. მათ მადლიერება გამოხატეს იმათ მიმართ, ვინც თავი დაადგა ამ საქმეს (აგრეთვე, ფოიეში მოწყობილ პატიმართა ნახატების თუ ნახელავის გამოფენას), რომელშიც ლომის წილი ეკუთვნის ბატონ გივი ყვარელაშვილს. აქვე იყო ოტია იოსელიანი, ამ ჩინებული ნაწარმოების ავტორი. მან თავისი პოზიცია ასე გამოხატა: „არაფერი არ ასუფთავებს ადამიანს ისე, როგორც ხელოვნება“.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: მარიკა არჩვაძე, თამუნა ხატიაშვილი, მარინა კეკელიძე, ეკა სანიკიძე, ნატო ლაზიაშვილი, მანანა ჯუღელი და... გივი ბერიკაშვილი.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

სურათებზე: რეჟისორი კოტე სურმავა რეპეტიციაზე; სპექტაკლის ერთ-ერთი სცენა.

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

გასტროლების ეხო

დევნილი ღმერთები

კაცობრიობის ისტორია – საათნახევარში!

მაისის ბოლოს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა თავისი სპექტაკლი „მედეა – გახლეჩილი სამყარო“, ვარშავისა და მოსკოვის სცენებზე წარმოადგინა, სადაც თეატრის სპეციალისტთა და რიგითი მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია.

26 მაისს ვარშავის თეატრ „ნოვოში“ სპექტაკლის შემდეგ იქაურმა საზოგადოებამ ქართულ თეატრთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. აქ გამართულ მიღებაზე პოლონეთის ბევრმა ცნობილმა რეჟისორმა, მსახიობმა და საზოგადო მოღვაწემ მოიყარა თავი.

ადამ ხანუშკევიჩი, რეჟისორი: ეს სპექტაკლი ჰგავს შესანიშნავ მუსიკალურ პარტიტურას, სადაც ყველაფერი შერწყმულია – ტემპი, რიტმი, არაჩვეულებრივი პლასტიკა, ძალზე შთამბეჭდავი მხატვრობა, ხუთი ბრწყინვალე მსახიობი, რომლებიც მაღალი ოსტატობით ფლობენ პლასტიკას, ჟესტს, ხმას. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლში ტექსტი უდავოდ დიდ როლს თამაშობს, ყველაფერი გასაგებია, სულითა და გულით ვულოცავ თეატრს ამ წარმატებას.

დანიელ ოლბრიხსკი, მსახიობი: ფენომენალურია, ასე ფლობდე აქტიორულ ტექნიკას, ასეთი ლამაზი სპექტაკლი ათი წელი იქნება არსად მინახავს, სწორედ რომ ულამაზესი. საკვირველია, როგორ ახერხებს ეს ხუთი მსახიობი ასე მოძრაობას, რეკვიზიტთან ამგვარ უსათუთეს მოპყრობას. აქ არც ერთი დეტალი შემთხვევითი არ არის. ეს სულ დიდი მაესტროს მიხეილის სკოლაა. მე ამას უკვე ქართველების მეორე სპექტაკლზე ვხედავ...

ჩემთვის აღმოჩენა გამოდგა ქეთი დოლიძე მსახიობი. როცა იგი ჩემთან მუშაობდა როგორც რეჟისორი, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ასე თამაში შეეძლო. იგი გადაღებისას არაფერს არ მიჩვენებდა, მხოლოდ სწორად მივყავდი შედეგისაკენ.

გულითადად ვულოცავ თეატრს ამ გამარჯვებას, ეს ხუთი ქალბატონი ევროპელი, დიდი არტისტები არიან.

ვესლავა კამინსკა, დრამატურგი: ახლა უკვე ზუსტად ვხედავ, რატომ ჩამოაქვს ქეთი დოლიძეს ასეთი დონის სპექტაკლები სწორედ ხანუშკევიჩის თეატრში. ისინი ერთი ხის ტოტები არიან – 20-ე საუკუნის მიწურულის მრავალფეროვანი, საოცრად შერწყმულად ეკლექტიკური თეატრის მიმდევრები, ვისშიც ჰარმონიულად არის შერწყმული ამდენი მიმდინარეობა და საუკეთესო სკოლა.

ვიქტორ პალიმჩუკი, ჟურნალისტი: ეს ულამაზესი, ფერების სავსე სპექტაკლი იქიდან არის – საპარის გამოქვაბულების კედლებიდან მზირალი ფიგურებიდან, ეგვიპტური პირამიდების მოხატულობიდან, ბერძნული ამფორებიდან და ლარნაკებიდან. ეს ხუთი ქალი იქიდანაა და თან ასეთი თანამედროვენი არიან... კაცობრიობის ისტორია საათნახევარშია აკუმულირებული.

ერმოლოვას სახელობის თეატრმა სტუმართმოყვრულად გაუღო კარი ქართულ დასს, რომელიც იქ მოსკოვის მთავრობის რეგიონული და საზოგადოებრივი ურთიერთობების კომიტეტის მოწვევით ჩავიდა. გასაგებია სპექტაკლის შემქმნელთა ღელვა და შიში; ამ თეატრს, მოსკოველ მაყურებელს კარგად ახსოვს სამი წლის წინათ უზარმაზარი წარმატებით გამართული გასტროლები სახელწოდებით: „ბრავო, თუმანიშვილი!“ ეს ხომ თუმანიშვილის დადგმული სპექტაკლი არ იყო, ამიტომ ცხადია, მაყურებელიც გარკვეული სიფრთხილით მოვიდა.

სპექტაკლის მონაწილეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სერიოზულ გამოცდას გაუძლეს – თუმანიშვილის ღირსეული მოწაფეები, მისი საქმის გამგრძელებლები უწოდეს.

თეატრი განსაკუთრებით ემადლიერება საქართველოს ელჩს რუსეთში ბატონ მალხაზ კაკაბაძეს, საელჩოს მრჩეველს კულტურის დარგში ბატონ ჯემალ სეფიაშვილს, საელჩოს თანამშრომელს ბატონ ლენო გეგეშიძეს, თანამედროვეობის დიდ მხატვარს ზურაბ წერეთელს, რომელმაც სპექტაკლზე დასწრებითა და გამოჩენილი ყურადღებით საღამო გაუმშვენიერა თანამემამულეებს.

მოსკოველმა დრამატურგმა და მთარგმნელმა ალა ახუნდოვამ კი ეს რეცენზია საგანგებოდ ჩვენი გაზეთისთვის დაწერა, რომელსაც აქვე გთავაზობთ სათაურით „დევნილი ღმერთები“.

* * *

თეატრალურ მოსკოვს ჯერ კიდევ არ განელებია „ამფიტრიონისგან“ მიღებული შთაბეჭდილება, რომელიც ტაგანკის სცენაზე ვიხილეთ – მაღალი კლასის არტისტიზმისა და ბრწყინვალე იუმორით მიღებული ჟრუანტელის მომგვრელი შთაბეჭდილება. და აი, მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრმა მოსკოვში ახალი სპექტაკლი ჩამოიტანა, რომელიც ერმოლოვას სახ. თეატრის სცენაზე წარმოადგინეს. ბერძენი ავტორის ოლგა ტაქსიდუს პიესას „მედეა – გახლეჩილი სამყარო“ ჰქვია. ამ გახლეჩილ სამყაროში უმალ მოხვდებით. ფარდა არ არის. საყრდენგამოცლილი კოლონების კაპიტალები ოთხი უმშვენიერესი ქალის თავზე ჰკიდია. ეს ქალები – ერთი ოჯახის წევრები არიან... დედა, შვილი და რძლები. ქალები ანტიკურ ნანგრევებთან მდებარე თანამედროვე, მინგრეულ სადგურში გაჩხერილან, სადაც ხან ზღვის ხმაური აღწევს, ხან მატარებლის ვაგონების ღრჭიალი, რომლებიდანაც, ალბათ, ეს ქალები ამ სცენაზე გადმოისროლეს.

სცენაზე მამაკაცები არ ჩანან. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ისინი არც ამ ქალების ცხოვრებაში არ არსებობენ?

ო, არა! მხოლოდ მათზე, მამაკაცებზე ლაპარაკობენ ისინი, ისევე როგორც ყველა ქალები დედამიწაზე.

მაგრამ ეს ქალები – ღმერთების სახელს ატარებენ. დედა – ჰეკაბე, ქალიშვილი – კასანდრა, რძლები – ანდრომაქე და, რა, თქმა უნდა მშვენიერი ელენე.

ის, რაც სცენაზე ხდება (დამდგმელი რეჟისორი ნანა კვასხვაძე), არც მარადიული სიუჟეტის პროეცირებაა თანამედროვეობაში, არც ძველი მითის გაცოცხლება.

სცენაზე თვით ამ მითის დრამა ტრიალებს, კლასიკური განათლების გაუქმების გამო ჩვეულებრივი მაყურებლისგან მივიწყებული ღმერთების დრამა. და მაინც ისინი ღმერთები არიან, ახალი, დევნილი ღმერთები ღვთიური ნებით წინასწარ განსაზღვრულ, მტაცებლურ ომებში სასწაულით გადარჩენილნი, ზღაპრებით დაკანონებული მკვლელობებისგან ჭკუიდანშეშლილნი, დევნისგან დაღლილნი, მითოლოგიური მოტივაციის გამო მთელი ერების მოსპობით გაოგნებულნი, განძარცვულნი, შეურაცხყოფილნი, თავიანთი ზეციური „მიწებიდან“ დევნილნი, ისინი დასტირიან თავიანთ ქმრებს, შვილებს, შვილიშვილებსა და შეყვარებულებს...

გლოვის დროსაც კი ისინი ცხოვრებას აგრძელებენ, რაღაცას ხარშავენ, კერავენ, ქსოვენ, ჭორაობენ და ქიშპობენ...

ჰეკაბე (მზია არაბული) თავის ვარცლს ახრიალებს, ის ხორბალს ცრის, მაგრამ მისი პური გაქვავებულა და შვილმკვდარი დედა მარცვალს კი არა, თითქოს ქვებს სცრისო მხოლოდ. შეუვალია ამაყი კასანდრა (ლალი კეკელიძე), რომელმაც თვით აპოლონს უთხრა უარი საყვარლობაზე. მშვენიერმა ღმერთმა იგი დასწყევლა, რის გამოც მისი გრძნეულობა აღარავის სჭირდება, ხოლო მისი წინასწარმეტყველებისა არავის სჯერა.

მშვენიერი ელენეს (ეკა ჩხეიძე) მოთმინება და რწმენა სიყვარულისა გარყვნილების აპოლოგიის ზღვარზე დგას. მას იმედი აქვს, რომ გადარჩება და სხვებსაც სიყვარულით გადაარჩენს, თუნდაც მტრისადმი სიყვარულით... მტრისთვისაც ხომ ნაცნობია სიყვარულისა და მშვენიერების შეგრძნება.

ნანას უმღერის დაღუპული შვილის სათამაშოს უნუგეშო ანდრომაქე (დარეჯან ჯოჯუა).

საბრალო, უმუშევარი, დევნილი ღმერთები-ლტოლვილები...

მაგრამ აი, გამოჩნდა მეხუთე ქალი, მეხუთე ქალღმერთი, მედეა (ქეთი დოლიძე), ისეთივე დევნილი და უბედური, როგორც ისინი, ტროაელები...

მაგრამ მედეა მათი ოჯახის წევრი არ არის, და რაც ყველაზე უარესია, არც მათ მითს არ მიეკუთვნება...

ის სხვა მითიდან არის, არგონავტების მითიდან და ეს საკმარისია, რომ ის უცხოდ გამოაცხადონ.

ოჰ, ეს პროვინციელი, რომელიღაც კოლონიიდან, კოლხეთიდან... იქ თავის სამშობლოში, კოლხეთში ქალღმერთი იყო, ქურუმი, მაგრამ ოქროს საწმისის საიდუმლო გასცა და მოღალატე იასონისთვის სამშობლო მიატოვა. ო, როგორი ვნებიანი და მრისხანეა ეს უარყოფილი ცოლი, ეს ჯადოქარი, რომელმაც არ ისურვა თავისი ჯადოქრობით მოღალატე შეენარჩუნებინა... რას ელოდა? სიმართლეს? ერთგულებას?

მერე და ვის სჭირდება ეს მედეა, ეს ბოროტმოქმედი, რომლითაც ტელევიზიაც კი მხოლოდ მისი საზარელი დანაშაულის გამო დაინტერესდა, დანაშაულის, რომლის ჩადენასაც იგი ან აპირებს... ან აპირებდა...

დიახ, იგი მშვენიერია, მაგრამ რომელი მათგანი არ არის მშვენიერი ღმერთქალებს შორის? მაშ, რაზე მოსთქვამს ეს გამეხებული, შურისმაძიებელი დედოფალი?

და აი, ოთხი ქალი ყურს მიუგდებს მეხუთეს, ხან აწყნარებენ მის სიშმაგეს, ხან კი მასთან შერწყმულნი აოთხმაგებენ მის და თავიანთ საერთო უბედურებას...

არაჩვეულებრივი სპექტაკლი ჩამოიტანა კინომსახიობთა თეატრმა.

თითქოს წითელ და შავ ფიგურებიან ჰიდროსებიდან, პითოსებიდან, ბარელიეფებიდან გადმოსულა მათი პლასტიკა, მაგრამ ამ სპექტაკლში არც ერთი წამით არ ხდება დღევანდელი ყოფის ყველაზე დიდი ბოროტებისგან გამოწვეული ტრაგიზმის ესთეტიზირება, თუკი თვით ღმერთები ლტოლვილებად იქცნენ, ჩვენზე რაღა ითქმის, უახლესი, მაგრამ უკვე მითოლოგიზებული ისტორიის ლტოლვილებზე... ეს მხოლოდ სპექტაკლი არ გახლავთ, ეს მოქალაქეობრივი საქციელია. ეს არის მედეას გახლეჩილი სამყაროს გამთლიანების მცდელობა... როცა თეატრიდან გამოვედით, იქვე, მოსკოვის ძველი თეატრის მიყრუებულ კედელთან, პირდაპირ მიწაზე ორ ადამიანს ეძინა: ქალს და მამაკაცს.

ალა ახუნდოვა.
მოსკოვი.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „მედეა – გახლეჩილი სამყარო“.

სპორტი

ჭიდაობა

მასპინძლობს რიგა

ხვალ ლატვიის დედაქალაქ რიგაში იწყება ევროპის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. გუშინ საასპარეზოდ გაემგზავრა საქართველოს ნაკრები (უფროსი მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ სხირელი) შემდეგი შემადგენლობით: ბესარიონ გოჩაშვილი (50 კგ.), ზურაბ გვილავა (54 კგ.), შალვა მუზაშვილი (58 კგ.), გიორგი ირემაძე (63 კგ.), გიორგი გობეჯიშვილი (69 კგ.), ზაზა ნოზაძე (76 კგ.), ზვიად ბიძიშვილი (85 კგ.), დავით ოთიაშვილი (97 კგ.), მიხეილ ტურაშვილი (130 კგ.). დელეგაციას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი ხელმძღვანელობს. ნაკრებს მსაჯად მიჰყვება საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ჯუმბერ დაველიანიძე.

შალვა ჩიხლაძე.

წყალბურთი

კვლავ გამარჯვება

ხარკოვში დამთავრდა ჭაბუკ წყალბურთელთა (1985-1986 წლებში დაბადებულნი) უკრაინის ღია პირველობის მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობდა რვა გუნდი. კვლავ ისახელა თავი თბილისის „ლაგუნა-ვერემ“. მან დაამარცხა ყველა მეტოქე – „ლუჩკი“ (ლვოვი) – 10:4, „აზოვი-2“ (მარიუპოლი) – 11:6, ხარკოვის და კრამატორსკის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, შესაბამისად, 14:9 და 11:8, „პიონერი“ (ხარკოვი) – 10:5, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) – 12:7 და „აზოვი-1“ (მარიუპოლი) – 7:2. საქართველოს წყალბურთელები 2 ტურის შემდეგ 28 ქულით პირველ ადგილზე არიან და 4 ქულით უსწრებენ მეორე ადგილზე მყოფ „აზოვი-1“-ს.

„ლაგუნა-ვერეს“ ღირსებას იცავდნენ – ლევან ნადიბაიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ილია ბუტიკაშვილი, ძმები ავთანდილ და ირაკლი ბაზაძეები, დათო კალანდაძე, გიორგი ჯოხაძე, გურამ კოტარია, ირაკლი კუპრეიშვილი, ზურაბ ანთელავა, ზურაბ რურუა, ვლადიმერ გულორდავა, გურამ მებუკე, ლევან კვარაცხელია და თამაზ მანძულაშვილი (უფროსი მწვრთნელი სოსო მაისურაძე, მწვრთნელი ჯონდო მაჭარაშვილი). მსაჯთა კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვახტანგ მებუკე (თბილისი).

დასკვნითი, მესამე ტურის მატჩები 30 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე კვლავ ხარკოვში გაიმართება.

გარი ამირხანოვი.

გივი კარტოზიას სახელობისა



ყველა „ოქრო“ საქართველოში დარჩა

ორ დღეს მასპინძლობდა თბილისის სპორტის სასახლე უნიკალური პიროვნებისა და ლეგენდარული ფალავნის – მელბურნის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულისა და სამგზის მსოფლიო ჩემპიონის გივი კარტოზიას სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საასპარეზოდ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ისრაელის 90-მდე ფალავანი გამოვიდა. ორთაბრძოლები ახალი წესების მიხედვით გაიმართა. სპორტის სასახლეში მოსული მაყურებელი (სამწუხაროდ, მცირერიცხოვანი) საინტერესო პაექრობების მოწმე გახდა, განსაკუთრებით ფინალურ შეხვედრებში, სადაც სტუმრებმა მხოლოდ ოთხ წონით კატეგორიაში მოიპოვეს ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლება.

საქართველოს ნაკრების წევრს ალექსანდრე ცერცვაძეს 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში მხოლოდ 58 წამი დასჭირდა ერევნელი არტაშეს მინასიანის ბეჭებით ხალიჩაზე გასაკრავად და ოქროს მედლის მოსაპოვებლად. სამაგიეროდ, ჩვენი გუნდის ვეტერანი კობა გულიაშვილი (58 კგ.) დროში ვერ ჩაეტია. პირველ სამწუთიან მონაკვეთში მან მხოლოდ ქულა აართვა აზერბაიჯანელ ნურაგინ რაჯაბოვს. მე-2 რაუნდში ბაქოელმა ანალოგიური ილეთით წონასწორობა აღადგინა. დაინიშნა დამატებითი მე-3 რაუნდი. პირველსავე წუთზე კობამ ტრიალით ორი ქულა აიღო, რაც საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისთვის.

გულშემატკივრები დიდი ინტერესით მოელოდნენ ევროპის პრიზიორის აკაკი ჩაჩუას (63 კგ.) და ახალგაზრდა მოჭიდავის შმაგი გოქაძის შერკინებას, მაგრამ ნახევარფინალში მიღებულმა ტრავმამ ჩაჩუას საშუალება არ მისცა ხალიჩაზე გამოსულიყო, რამაც გოქაძეს, რომელიც შარშან მესამე იყო, უბრძოლველად არგუნა ოქროს მედალი.

ანალოგიური წარმატება ხვდა წილად მუხრან ვახტანგაძესაც (85 კგ.). ფინალში მისი მეტოქე იყო ისრაელის გუნდის წევრი გოჩა ციციაშვილი, რომელსაც თვითმფრინავზე აგვიანდებოდა, ამიტომ ეს შეხვედრა არ შედგა. სხვათა შორის, ვახტანგაძეს, რომელმაც ჩინებულად იჭიდავა ფინალამდე, ტურნირის მთავარი პრიზიც გადაეცა.

დაძაბული გამოდგა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორის გიორგი ჯინჭველაშვილისა და ამირან სვანიძის ორთაბრძოლა 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ჯინჭველაშვილმა ბოლო წუთზე მომგებიანი ქულა აართვა მეტოქეს, მინიმალური ანგარიშით (3:2) გაიმარჯვა და ზედიზედ მეორედ გახდა ტურნირის ჩემპიონი.

ულიმღამო გამოდგა 76 კილოგრამში ზვიად ქარდავას და თედო კუპატაძის შეხვედრა, რომელიც, უკაცრავი პასუხია და, უფრო ძიძგილაობას მოგაგონებდათ. გაიმარჯვა კუპატაძემ – 3:2.

ერთობ გამოაცოცხლა მაყურებელი ბაკურ გოგიტიძის (97 კგ.) და გენადი ჩხაიძის მერკინებამ. პირველსავე წამებში გოგიტიძემ ელვისებური ფანდით სამი ქულა დაიმსახურა. ვალში არც ჩხაიძე დარჩა – ათიოდე წამში წონასწორობა აღადგინა, უფრო მეტიც, 58-ე წამზე ბეჭებით გააკრა მეტოქე ხალიჩას.

ასევე საინტერესოდ წარიმართა ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონის მირიან გიორგაძის ორთაბრძოლა გამოცდილ ერევნელ ფალავანთან აიკაზ გალსტიანთან. ქართველმა მოჭიდავემ თითო რაუნდში ორ-ორი ქულა აართვა მეტოქეს და ოქროს მედალი მოიპოვა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურ წარმომადგენელს, ორგზის ოლიმპიურ და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს **ვალერი რიაზანცევს** და თბილისის ტურნირის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსს **ვლადიმერ კანკავას.**

ვალერი რიაზანცევი: მოხარული ვარ, რომ კვლავ თბილისში ვიმყოფები ჩემს მეგობრებს შორის, რომლებთანაც ათობით წელი მაკავშირებს. პოლიტიკოსებმა როგორი საზღვრები და საბაჟოებიც უნდა დაგვიწესონ, ეს ჩვენს მეგობრობას და ძმობას ხელს ვერ შეუშლის.

რაც შეეხება შეუდარებელი გივი კარტოზიას ტურნირს, უკვე დიდი გამარჯვებაა ის, რომ, ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, ქვეყანა ასეთ შეჯიბრებას აწყობს. ეს ტრადიციის გაგრძელებაა, ეს მაგალითია მომავალი თაობებისთვის. გულისტკივილიც მინდა გამოვთქვა: თქვენი ჭიდაობის მესვეურთ მეტი დაფიქრება მართებდათ, რომ შეჯიბრებისთვის შესაფერისი დრო შეერჩიათ. დღეს კრასნოდარში ცნობილი რუსი ფალავნის ივან პოდდუბნის ტურნირი მთავრდება, ამიტომაც ვერ ჩამოვიდნენ თბილისში საასპარეზოდ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ზოგიერთი ქვეყნის ნაკრები გუნდები. კრასნოდარის ტურნირმაც ბევრი რამ დაკარგა იმით, რომ იქ ქართველმა მოჭიდავეებმა ვერ იასპარეზეს.

ვლადიმერ კანკავა: ასეთი მასშტაბის ტურნირის გამართვა ქართული სპორტის გადარჩენის ერთ-ერთი ნიშანდობლივი სიმპტომია, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის თბილისის მერიას, კერძოდ, მის მესვეურთ ბატონ ვანო ზოდელავას და გია შერაძეს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს გივი კარტოზიას სახელობის ტურნირის მაღალ დონეზე მოსაწყობად. ეს ჩვენი ახალგაზრდობის მორალური და ფიზიკური გადარჩენისთვის გაღებული კიდევ ერთი კეთილი საქმეა. ამასთანავე, ამ ტურნირს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ფალავნებისთვის, რომლებიც სექტემბერში საბერძნეთის მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებენ. ათენში გამგზავრებამდე, უსახსრობის გამო, შეიძლება, მათთვის ეს შეჯიბრება ძალთა ბოლო შემოწმება იყო. ნაკრები გუნდის წევრებსა და მწვრთნელებს საკმაო დრო რჩებათ ჩემპიონატამდე ხარვეზების გამოსასწორებლად.

მადლობა ყველას, ვინც*არ ივიწყებს დიდებული პიროვნების გივი კარტოზიას სახელს და მისი სახელობის ტურნირის მაღალ დონეზე გასამართავად თუნდაც მცირედი წვლილიც გაიღო.

კვარცხლბეკი

54 კგ.
1. ალექსანდრე ცერცვაძე (საქართველო), 2. არტაშეს მინასიანი (სომხეთი), 3. თეიმურაზ ბერიძე (საქართველო).

58 კგ.
1. კობა გულიაშვილი (საქართველო), 2. ნურაგინ რაჯაბოვი, 3. ტურალ მამედოვი (ორივე – აზერბაიჯანი).

63 კგ.
1. შმაგი გოქაძე, 2. აკაკი ჩაჩუა, 3. მანუჩარ კვირკველია (სამივე – საქართველო).

69 კგ.
1. გიორგი ჯინჭველაშვილი, 2. ამირან სვანიძე, 3. ალექსანდრე დოხტურაშვილი (სამივე – საქართველო).

76 კგ.
1. თედო კუპატაძე, 2. ზვიად ქარდავა (ორივე – საქართველო), 3. ნაზიმ ახმედოვი (აზერბაიჯანი).

85 კგ.
1. მუხრან ვახტანგაძე (საქართველო), 2. გოჩა ციციაშვილი (ისრაელი); 3. ემზარ მახარაძე (საქართველო).

97 კგ.
1. გენადი ჩხაიძე, 2. ბაკურ გოგიტიძე (ორივე – საქართველო), 3. ხორენ პაპოიანი (სომხეთი).

130 კგ.
1. მირიან გიორგაძე (საქართველო), 2. აიკაზ გალსტიანი (სომხეთი), 3. დავით ენდელაძე (საქართველო).

ვაჟა დანელია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ალექსანდრე ცერცვაძე.

კობა გულიაშვილი.

შმაგი გოქაძე.

გიორგი ჯინჭველაშვილი.

თედო კუპატაძე.

მუხრან ვახტანგაძე.

გენადი ჩხაიძე.

მირიან გიორგაძე.

კალათბურთი

შედეგი ბრძოლას მოაქვს

გუშინ დედაქალაქის სპორტის სასახლეში დაიწყო საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა მერვე ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი „პლეი-ოფები“. მოულოდნელად, სასტარტო შეხვედრებში დაძაბული ბრძოლა არ გამოვიდა, იმდენად აშკარა იყო ერთ-ერთი მხარის უპირატესობა.

მატჩი III ადგილისთვის

თსუ-სტუ 110:84 (52:32)

სერიის ანგარიში 1:1

ყველაზე შედეგიანები: ქარაბაკი – 31 ქულა, წოწელია – 25 ქულა (**თსუ**); ჩხეიძე – 22 ქულა (**სტუ**).

პოლიტექნიკოსებს მარაგში პირველ ეტაპზე მეტოქესთან ურთიერთშეხვედრებში მიღწეული წარმატების (3:1) საზღაურად ერთი მომგებიანი ქულა გადმოჰყვათ, თუმცა, ეტყობა, ნახევარფინალში „ვითასთან“ დამარცხებით ეს სეზონი დასრულებულად ჩათვალეს. ყოველ შემთხვევაში, გადამწყვეტ რაუნდში მთავარი მწვრთნელის თამაზ ოქრუაშვილისა და წამყვანი მოთამაშის ვახტანგ ნაცვლიშვილის გარეშე ასპარეზობა ნაადრევ კაპიტულაციას უფრო ჰგავს. მართალია, თსუ-ს ძირითადი ცენტრი არჩილ ხელაშვილი აკლდა, მაგრამ მის პარტნიორებს გაცილებით მეტი სპორტული ჟინი აღმოაჩნდათ და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს. სტუ-მ მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში გაიბრძოლა და მოწინააღმდეგის სოლიდური სხვაობა (50:21) საგრძნობლად შეამცირა (79:69). ეს იყო და ეს – მალე ყველაფერი ისევ ნოდარ ქორქიას გუნდის სცენარით წარიმართა და ლოგიკური შედეგით დასრულდა.

ფინალი

„აზოტი“ – „ვითა“ 85:75 (48:30)

სერიის ანგარიში 1:0

ყველაზე შედეგიანები: ელენტი – 17 ქულა („აზოტი“); აბრამიძე – 19 ქულა („ვითა“).

ბარაქალა რუსთაველთა უკანა ხაზს – არჩილ ქლენტმა, ზაზა გაბისონიამ, ლევან ჯიმშელეიშვილმა და ლევან ჩაჩუამ კლუბის აღიარებული ლიდერების ხელშეწყობით პირწმინდად დაჯაბნეს მრისხანე ოპონენტები და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საფუძვლიანი საჩემპიონო ამბიციები. რაც შეეხებათ ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონებს, ამჯერად მათ შორის წინამძღოლობა ვერავინ ითავა. აღსანიშნავია ქუთაისელი მსაჯების ზაზა მაჩალაძისა და დავით ბერეკაშვილის ობიექტურობა.

ხვალ 16 და 18 საათზე მორიგი მატჩები გაიმართება.

გია პლატონიშვილი.

სურათებზე: მეტოქეთა კალათს უტევენ გოჩა წოწელია (თსუ, ქვემოთ) და მიხეილ ბერუაშვილი („აზოტი“).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ფეხბურთი

უიღბლო სტარტი

ქართული კლუბებიდან 1999-2000 წლების სეზონის ევროთასების გათამაშებაში პირველი ფოთის „კოლხეთი“ ჩაება.

ზღვისპირელებმა ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის სასტარტო მატჩი მაკედონიის დედაქალაქ სკოპლეში „ცემენტარნიცასთან“ 2:4 წააგეს და 26 ივნისს საკუთარ მინდორზე მძიმე სარევანშო დუელი ელით.

არადა, ასეთი შედეგი სამწუხაროა იმდენად, რამდენადაც დარასელიას და ხუჭუას გოლების შემდეგ სტუმრები შეხვედრას 2:1-ს იგებდნენ, მეოთხე ბურთი კი თამაშის ბოლო წუთზე გაუშვეს.

გაუწყებთ კონტინენტის სტადიონებზე განვლილ შაბათს გამართულ ინტერტოტოს თასის გათამაშების დანარჩენი მატჩების შედეგებსაც:

„ვალერენგა“ – „ვენტსპილსი“ 1:0,
„ვარნა“ – „სენტ ტრუიდენი“ 1:2,
„რუდარი“ – „ჰალმსტადი“ 0:0,
„ჰელფოლგე“ – „ჟილინა“ 0:2,
„ბაკაუ“ – „არარატი“ 0:1,
„ლოკომოტივი-96“ – „ვარტექსი“ 1:2,
„უნიონი“ – „ვამაში“ 1:3,
„დრაგოვოლიცა“ – „ნიური“ 1:0,
„მაკაბი“ – „ყარაბაღი“ 1:2,
„ელინსტეო“ – „გოტუ“ 3:0,
„პოლონია“ – „ტილიგული“ 4:0,
„აკრანესი“ – „ტეუტა“ 5:1,
„იოკერიტი“ – „ნარვა“ 3:0,
„შელბურნი“ – „ქსამაქსი“ 0:0,
„პობედა“ – „ტრენჩინი“ 3:1,
„აბერისტუითი“ – „ფლორიანა“ 2:2,
„პრადეცი“ – „გომელი“ 1:0,
„ჩახლაული“ – „ეკრანასი“ 1:0,
„კაროტანი“ – „ბაზელი“ 0:0.

მასმედიის რჩეულნი

ამ დღეებში ევროპის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ შეაჯამა წამყვან გამოცემათა შორის მოწყობილი გამოკითხვის შედეგები და გამოაქვეყნა განვლილი საფეხბურთო სეზონის „ოცნების გუნდის“ შემადგენლობა, რომელიც ასე გამოიყურება:

მეკარე: როა („მალიორკა“).

მცველები: სტამი („მანჩესტერი“), ბლანი („მარსელი“), ტიურამი („პარმა“), ლიზარაზუ („ბაიერნი“).

ნახევარმცველები: ეფენბერგი („ბაიერნი“), მიხაილოვიჩი („ლაციო“), ბექჰემი („მანჩესტერი“), რივალდო („ბარსელონა“).

თავდამსხმელები: ბატისტუტა („ფიორენტინა“), რაული („რეალი“).

1999 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად სპორტულმა მიმომხილველებმა ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერის“ ერთ-ერთი ლიდერი **დევიდ ბექჰემი** დაასახელეს – 33 ქულა. მეორე ადგილზეა „ბარსელონას“ ბრაზილიელი სნაიპერი რივალდო – 28 ქულა, რომელსაც ერთი ხმით ჩამორჩა მესამე პრიზიორი, „პარმას“ დაცვის ფრანგი ბურჯი ლილიან ტიურამი.

სამი ნაბიჯი... უკან

ევრო-2000 შესარჩევ ციკლში მორიგი წარუმატებლობების შედეგად საქართველოს ნაკრებმა მაისთან შედარებით სამი საფეხურით უკან დაიხია და ფიფას ივნისის რეიტინგში 59-ე (!) ადგილამდე დაეშვა.

წამყვან ათეულში ასეთი მდგომარეობაა: ბრაზილია, საფრანგეთი, ჩეხეთი, იტალია, გერმანია, ესპანეთი, ხორვატეთი, არგენტინა, რუმინეთი, პოლანდია.

ყოველი მხრიდან

შიშველი ფეხბურთელი რა საყურებელია?

ნორვეგიის ცნობილი კლუბის „რუსენბორგის“ (ტრონჰეიმი) ხელმძღვანელებმა აუკრძალეს ქალ-რეპორტიორებს მატჩების შემდეგ გასახდელებში შესვლა. მიზეზი? მოთამაშეებს არ სურთ, ქალებმა ისინი შიშვლები ნახონ. როგორც გაზეთი „დაგბლადეტი“ იუწყება, მისი კორესპონდენტი მ. ბიუ რაიზი მკაცრად გააფრთხილეს, ახლოს არ გაკარებოდა გასახდელს, სადაც ადრე ყველა ჟურნალისტს შეუზღუდავად უშვებდნენ. „ჩვენ ეს არ გვინდა, – ამბობს გუნდის კაპიტანი ი. იაკობსონი, – მე ბოლოს და ბოლოს ცოლიანი ვარ და მხოლოდ ერთ ქალს აქვს უფლება შიშველი მიხილოს – ეს ჩემი ანიტაა. „დაგბლატმა“ კეთილი ინებოს, და ჩვენთან მამაკაცი რეპორტიორი მოავლინოს“. ჟურნალისტების უმრავლესობა, ვინც „რუსენბორგის“ თამაშებს აშუქებს, მამაკაცები არიან. მაგრამ რაიზისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. „მე გასახდელში სამუშაოდ მივდიოდი, – ამბობს იგი, – მე არც დრო და არც სურვილი გამაჩნდა, ფეხბურთელებისათვის მეცქირა“.

კალათბურთის მოედნიდან – ციხეში

კლუბ „ატლანტა ჰოკსის“ ყოფილი მოთამაშე გრეგ ანდერსონი, ზედმეტ სახელად კადილაკი რომ ჰქვია, უახლოეს 5 თვეს ჰიუსტონის ციხეში გაატარებს 1998 წლის მაისში კოკაინის ვაჭრობაში მონაწილეობისათვის. განაჩენი გასულ ორშაბათს გამოიტანა ტეხასის ოლქის ბილოკსის ფედერალურმა სასამართლომ. სასჯელი ძალზე რბილი გამოდგა – პროკურორი 3-წლიანი პატიმრობას მოითხოვდა. თუმცა, კალათბურთელის თანამზრახველებს 8-დან 27 თვემდე პატიმრობა მიუსაჯეს.

როგორც ჩანს, ანდერსენის საკალათბურთო მოღვაწეობას ჯვარი დაესვა.

სპორტულ ორბიტაზე

- **უიმბლდონის** საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ამერიკელი ჩოგბურთელი **სერენა უილიამსი,** რომელიც „განთესილი“ იყო მეათე ნომრად, შეჯიბრებებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ტრავმის გამო. მის ადგილს დაიკავებს რუსი ლამაზმანი **ანა კურნიკოვა.**
- **პოლანდიელმა** მოცურავე ქალმან **ინგე დე ბრუიინმა** თავისი ქვეყნის ეროვნულ პირველობაზე ქალაქ ამერსფურტში დაამყარა მსოფლიო რეკორდი 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში – 26,54.
- როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს საფეხბურთო ნაკრების წევრის, ამჟამად შვეიცარიის „გრასჰოპერის“ ფორვარდის მიხეილ ყაველაშვილის ყიდვა გადაწყვიტა გერმანიის ვიცე-ჩემპიონმა, ლევერკუზენის „ბაიერმა“. ეს დაადასტურა გერმანული კლუბის სელექციონერმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა რუდი ფელერმა.
- უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომისიამ ირლანდიის საფეხბურთო ასოციაცია დააჯარიმა 50 ათასი შვეიცარული ფრანკით (32 ათასი დოლარით) ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩის – ირლანდია-იუგოსლავიის ჩაშლისათვის, რომელიც 5 ივნისს დუბლინში უნდა გამართულიყო. მატჩი ჩაიშალა, რადგან ამ ქვეყნის ხელისუფლებამ უარი უთხრა იუგოსლაველ ფეხბურთელებს სათანადო ვიზებზე, რაც მოტივირებული იყო კოსოვოში შეიარაღებული კონფლიქტის საბაბით.

საერთაშორისო ტურნირი

მუშტი-კრივი რინგზე და კარებში

თბილისის სპორტის სასახლის რინგზე უზბეკეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის და საქართველოს 22 სპორტსმენმა იასპარეზა კლუბ „ოქტაგონი-97“-ის მოწყობილ ტურნირში – „ბრძოლა წესების გარეშე“.

ორთაბრძოლები 2 წონით კატეგორიაში – ქვემძიმე და მძიმე წონებში გაიმართა. ქვემძიმე წონაში საუკეთესო იყო ბაქოელი **ირუჩ დადაშევი** (ძიუდო), მძიმე წონაში კი გაიმარჯვა **ნიკო ბეგაშვილმა** (თავისუფალი ჭიდაობა), რომელიც უკრაინის ქალაქ სუმის სახელით გამოდიოდა.

ვამბობთ, „ბრძოლა წესების გარეშეო“, მაგრამ ამ სახეობასაც თავისი გარკვეული წესები აქვს, მაგალითად, არ შეიძლება კეფაში ჩარტყმა, ან ორივე ხელით კეფის დაფარვა. და მაინც, რა არის „ბრძოლა წესების გარეშე“? ვფიქრობთ, ეს არის ჩვეულებრივი ჩხუბი გარკვეულ ჩარჩოში, სადაც სხვა ორთაბრძოლების წარმომადგენლებთან შედარებით უპირატესობას მოჭიდავეები აღწევენ, სამწუხაროდ, შეხვედრები ყოველთვის უსისხლოდ როდი მთავრდება, თუმცა, მსაჯები, ყოველმხრივ ცდილობენ, არ მოხდეს უბედური შემთხვევა...

დაახლოებით 1500 მაყურებელი ესწრებოდა ამ ორთაბრძოლებს სპორტის სასახლეში. 18 ივნისს ზოგიერთ მათგანს მოასპარეზეებზე არანაკლები მუშტი-კრივის გამართვა მოუწია, რომ დარბაზში მხოლოდ ერთი ღია კარიდან მოხვედრილიყო – ორთაბრძოლების დაწყების წინ სასახლეში შემსვლელთ, რბილად რომ ვთქვათ, ხელოვნურად შექმნილი ბარიერი დახვდათ... ეს კი იმის მაუწყებელია, რომ სპორტის სასახლის მესვეურებმა და შეჯიბრების ორგანიზატორებმა ნაკლებად იზრუნეს მაყურებელზე. ბილეთის ფასსაც ხომ ნუღარ იტყვი – ერთობ მაღალი იყო: 12 ლარი. მთავარი მხოლოდ კომერცია ხომ არ არის, იქნებ ხალხზეც გვეზრუნა!

გაბრიელ ბარჯაძე.

სურათზე: ასპარეზობის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

საქართველოს რესპუბლიკა
№164. სამშაბათი, 22 ივნისი. 1999 წელი.

მამულიშვილებს დავიწყება არ უწერიათ

გუშინ, 21 ივნისს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ორი მამულიშვილის, პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა და ნიკოლოზ ქამაკამვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

იგი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ ხუროძემ. სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ დამსწრეთ გააცნო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოგზავნილი მისალმება საიუბილეო ღონისძიების მონაწილეებისადმი.

გიორგი ნიკოლაძისა და ნიკოლოზ ქამაკამვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორმა ილია ბარათაშვილმა. მოგონებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ თსუ მექანიკა-მეთამატიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლაზარე ზამბახიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ მეტალურგიული ფაკულტეტის დეკანი გურამ ქამაკამვილი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვიქტორ არენსი, ჩეჩნეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი რაიკო ლადაშევი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გუჩა კვარაცხელია, ნიკო ნიკოლაძის სახელ-მუზეუმის (დიდი ჯიხაიში) დირექტორი ვალერიან ბიბილეიშვილი და კურორტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ნიკო ხატიაშვილი.

სხდომაზე წაიკითხეს უცხოეთის ქვეყნებიდან გამოგზავნილი დეპეშები, ადრესები. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

სტიქია ახალციხეში

წვიმამ და სეტყვამ, რომელსაც ძლიერი ქარი ახლდა, ელექტროგადამცემი ხაზები დააზიანა ახალციხეში 20 ივნისს, ღამეს, რის გამოც ქალაქს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა, სტიქიის შედეგად გაიჭედა სანიაღვრე არხები, რამაც ქალაქის ქუჩების დატბორვა გამოიწვია. სეტყვამ, ასევე, გაანადგურა ქალაქის მწვანე ნარგავების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ინფორმაცია მოგვაწოდეს პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.

ძვირფასო მკითხველო!

დაიწყო და გრძელდება ხელმოწერა 1999 წლის მეორე ნახევრისათვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე"

არ დაგავიწყდეთ, რომ კარს მოგვადგა საპარლამენტო არჩევნები. უამგაზეთოდ ვერცერთი პარტია ადვილად ფონს ვერ გავა. ამიტომ დროულად გამოიწერეთ თქვენთვის ყველაზე სანდო, სამართლიანი და საჭირო გაზეთი.

„საქართველოს რესპუბლიკა" ყოველდღე გამოდის და 3 თვით ღირს 36 ლარი, 6 თვით — 72 ლარი. ამ თანხაში არ შედის „საქპრესისა" და „მაცნეს" მომსახურება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვირეკეთ: 93 26 99.

იყიდეთ, გამოიწერეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".

დრო და შემოქმედი

დიდი აღიარება

ახლახან სანკტ-პეტერბურგში დამთავრდა პროკოფიევის სახელობის მესამე საერთაშორისო კონკურსი. კონკურსის დამფუძნებელნი იყვნენ რუსეთის კულტურის სამინისტრო, სანკტ-პეტერბურგის მთავრობა, საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსების კომიტეტი, რუსეთის კომპოზიტორთა კავშირი და სანკტ-პეტერბურგის რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. კომპოზიტორებისათვის კონკურსის უთუო პირობა იყო ორიგინალური დიდი ფორმის ნაწარმოების წარდგენა. ნაწარმოები ჯერ არსად არ უნდა ყოფილიყო შესრულებული, არც გამოცემული და არც რომელიმე კონკურსზე არ უნდა ყოფილიყო მანამდე წარდგენილი. კონკურსი იხმობდა კომპოზიტორებს მთელი მსოფლიოდან. კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოები სანკტ-პეტერბურგში საგანგებო ფესტივალზე 1999-2000 წლებში საჯაროდ შესრულდება და გამოიცემა, ხოლო გამარჯვებულ კომპოზიტორს გარდა ფულადი ჯილდოსი, ენიჭება კომპოზიტორთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება.

კონკურსი გაიმართა 3 ტურად. პირველი პრემია მიენიჭა ქართველ კომპოზიტორს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო კათედრის პროფესორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს სახალხო არტისტს **ფელიქს ღლონტს** სავიოლინო კონცერტისთვის.

ამ დიდ აღიარებასთან დაკავშირებით, რუსეთის კულტურის სამინისტრომ, მინისტრის მოადგილემ ეგორიჩევმა ფელიქს ღლონტს გამოუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „პატივცემულო ფელიქს პეტრეს ძევ, რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტრო გულითადად გილოცავთ გამარჯვებას პროკოფიევის სახელობის III საერთაშორისო კომპოზიტორთა კონკურსზე I პრემიის მინიჭებით და ტალანტთა ამ შესანიშნავი ფორუმის ლაურეატის წოდებას. თქვენს მიერ შექმნილი ნაწარმოებები ფართოდ არის ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რომელიც ხშირად სრულდება კონცერტებზე, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს".

ჩვენც ვულოცავთ ბატონ ფელიქს ღლონტს ამ დიდ აღიარებას და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

გამოსათხოვარი

მიხეილ შავიშვილი

ქართულმა ხელოვნებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ლეგენდარული მომღერალი, ლოტბარი და არაერთი მშვენიერი სიმღერის ავტორი, განუმეორებელი მოკრიმანჭულე. საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი **მიხეილ გერმანეს ძე შავიშვილი.**

მიხეილ შავიშვილი დაიბადა 1920 წლის 15 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭანიეთში, რომელიც განთქმულია ქართული სიმღერების ოსტატებით. დედა, ვერა ეშალომიძე, თავისი დროისთვის საკმაოდ ცნობილი მოკრიმანჭულე და შესანიშნავი მგალობელი გახლდათ. მუსიკალური ტრადიციები მოსდგამდა ბატონ მიხეილს მამა-პაპის მხრიდანაც. მიხეილ შავიშვილის განუმეორებელი მუსიკალური ნიჭიც სწორედ ამ მდიდარი ტრადიციების წიაღში იშვა. საერთო ატმოსფერომ და ოჯახურმა გარემომ დიდად შეუწყო ხელი ბატონი მიხეილის გზას დიდი ხელოვნებისაკენ.

1937-38 წლებში მიხეილ შავიშვილი ცნობილ ლოტბარს ვარლამ სიმონიშვილს დაუმოწაფა და მალე ოზურგეთის სახელმწიფო ეთნოგრაფიული ანსამბლის წევრი გახდა. ამის შემდგომ იგი ბედმა აჭარის სახელმწიფო ანსამბლს დაუკავშირა, რომელსაც შეუდარებელი არტემ ერქომაიშვილი თავკაცობდა. ასე მოხდა მისი, როგორც ნამდვილი მომღერლისა და ლოტბარის ჩამოყალიბება. 1935 წლიდან მოყოლებული მიხეილ შავიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ქართული სიმღერის ერთგულ რაინდად დარჩა. დაუღალავი და ენერგიული ხელოვანი საქართველოს მრავალ რაიონსა და კუთხეში მოღვაწეობდა და ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის საქმეში. პარალელურად იგი ოზურგეთის რაიონული ანსამბლის წამყვანი სოლისტი-მოკრიმანჭულე გახლდათ. 1943 წელს, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მიხეილ შავიშვილი გაიწვიეს ფრონტზე. იგი ღირსეულად იბრძოდა ყირიმში, უნგრეთში, რუმინეთში, ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიაში. ტყვედ ჩავარდა, მაგრამ სლაბოძის საკონცენტრაციო ბანაკიდან ისევ ფრონტს მიაშურა. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, მრავალი მედლით.

1957 წელს ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით დაარსებულ „შვიდკაცას" სოლისტი მიხეილ შავიშვილი ახალგაზრდობის მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი გახდა და ოქროს მედალი დაიმსახურა. სწორედ აქედან იწყება მიხეილ შავიშვილის შემოქმედებითი წარმატებები.

ყველა გამარჯვება, რომელსაც შესანიშნავმა ხელოვანმა და მოღვაწემ მიაღწია, განუყრელად უკავშირდება მის მიერვე შექმნილ სახალხო ანსამბლ „შვიდკაცასა" და ბავშვთა ანსამბლ „კრიმანჭულს", რომლებიც დღიდან დაარსებისა საყოველთაო აღიარებითა და სიყვარულით სარგებლობენ მუსიკალურ წრეებში, ქართული სიმღერის თაყვანისმცემლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სახალხო ანსამბლი „შვიდკაცა", რომელმაც შორს გაიტანა ქართული მუსიკალური ფოლკლორის დიდება. ანსამბლი წარმატებით გამოდიოდა გასტროლებზე, როგორც ყოფილი სსრკ-ს ყველა რესპუბლიკაში, ისე პოლონეთში, იტალიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიასა და ესპანეთში.

აღსანიშნავია ის ღვაწლი, რომელიც ბატონ მიხეილ შავიშვილს მიუძღვის ქართული ხალხური სიმღერის უკვდავყოფის საქმეში. ხალხური სიმღერების ბიჭუნათა ანსამბლ „კრიმანჭულის" შექმნამ სათავე დაუდო სრულიად საქართველოში საყმაწვილო ანსამბლების შექმნასა და ჩამოყალიბებას. „კრიმანჭულის" რიგებში ქართული სიმღერის მადლს ეზიარნენ არა ერთი თაობის წარმომადგენლები.

ცალკე უნდა ითქვას მიხეილ შავიშვილზე, როგორც შემოქმედსა და კომპოზიტორზე. მან არა ერთი მშვენიერი ქართული სიმღერა შექმნა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო სიმღერა სისონა დარჩიამე დარჩება უნიკალურ მოვლენად ქართული სიმღერის საგანძურში.

ბატონ მიხეილ შავიშვილის ცხოვრება და შემოქმედება ერთ მთლიანობად აღიქმება. მას ყველა სიკეთე უხვად გამჩენმა: გარეგნული მშვენიერებაც, სულის სიმდიდრეც, ვაჟკაცური პირდაპირობაც, სიქველისა და სიწრფელის უნარიც. მაგრამ ყველა სიკეთეზე მეტი მაინც მისი სიმღერის ნიჭი და ჯადოსნური ხმა იყო. და ვისაც კი ერთხელ მოუსმენია იგი, მას არასოდეს დაავიწყდება ეს მაღალნიჭიერი ხელოვანი.

ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ვ. ლორთქიფანიძე, ვ. აზრაშვილი, ნ. ამაღლობელი, ვ. ასათიანი, მ. ახმეტელი, პ. ბურჭულაძე, ნ. გაბუნია, კ. გუჯაბიძე, ა. ერქომაიშვილი, კ. იმედაშვილი, თ. ისაკაძე, ჯ. კახიძე, პ. მამრაძე, ვ. ტუღუში, ზ. შენგელია, ჯ. ჭკუასელი.

თბილისის იურიდიული ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1999-2000 სასწავლო წლისათვის

ინსტიტუტი დაარსდა 1991 წელს. მან უკვე მოიპოვა აღიარება თავისი პრესტიჟულობის გამო. აქაური კურსდამთავრებულები მოღვაწეობენ საკონსტიტუციო სასამართლოში, იუსტიციის საბჭოში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში. სტუდენტები პრაქტიკას სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო უწყებებში გადიან.

ინსტიტუტს აქვს უცხო ენების შემსწავლელი უფასო კურსები. დიდი ყურადღება ეთმობა ინფორმატიკას.

ინსტიტუტის პედაგოგიური კოლექტივი დაკომპლექტებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებით.

ინსტიტუტთან არსებობს, აგრეთვე, იურიდიული კოლეჯი ცხრა კლასის ბაზაზე.

საბუთების მიღება დაიწყო ივნისიდან.

გამოცდები ჩატარდება ტესტური ფორმით.

მისამართი: ლაღიძის ქ. №7, შემოსასვლელი თაბუკაშვილის ქუჩიდან, ოპერის თეატრის უკან, მთაწმინდის რაიონის პოლიციის ეზოში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 93-51-45, 92-32-42.

ინსტიტუტის დირექცია.

გვეხმაურებიან

მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა

ლიზიკო ბაგრატიონის დაბადებიდან 80 წლის გამო

ჟურნალისტმა და მთარგმნელმა არჩილ მანჯგალაძემ „საქართველოს რესპუბლიკის" საშუალებით ამცნო სრულიად საქართველოს, რომ ქალბატონ ელისაბედ ბაგრატიონს დაბადების 80 წელი შეუსრულდა. ჩვენი საზოგადოება ლიზიკო ბაგრატიონს დიდი ხანია იცნობს, როგორც ქართული პრესის დაუღალავ მოღვაწეს, სიკეთის მსახურს, დიდებული გვარის დამამშვენებელ პიროვნებას.

მეც მქონდა ბედნიერება, ამ ძვირფასი ადამიანის გვერდით მემუშავა გაზეთ „კომუნისტის" ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში.

მძიმე დრო იყო – 1951-1952 წლები.

ლიზიკო გახლდათ ჩვენი მფარველი იმ დროს, როგორც ღვიძლი დაი, გვამხნევებდა და გვეფერებოდა.

ელისაბედ ბაგრატიონს უთვალავი მეგობარი ჰყავს საქართველოს ყველა კუთხეში.

ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს და გვიბედნიეროს ქალბატონი ლიზიკო.

ხუტა ბერულავა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია და გამომცემელი შპს „პრესა-98" ულოცავენ ქალბატონ ციური ბროძელს შვილიშვილის დავითის დაბადებას.

მილოცვა

განათლების სამინისტროს, რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის თანამშრომლები, თბილისის საერო უნივერსიტეტის „აღმაშენებელი" და ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტი ახალგაზრდობა გულითადად ულოცავენ განათლების სისტემის დამსახურებულ მუშაკს, მეთოდცენტრის საშუალო სპეციალური სასწავლებლების მართვის მეთოდიკის განყოფილების გამგეს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ

მადლენა ლაბაძეს

დამსახურებულ აღიარებას – ღირსების ორდენის მიღებას და უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ახალ შრომით წარმატებებს განათლების რეფორმის განხორციელების საქმეში.

გვწერენ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას"

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველა იმ პიროვნებასა და გაზეთს, ვინც ასე გულთბილად მომილოცა დაბადების დღე, წრფელი სიყვარული გამოხატა ჩემი შემოქმედებისადმი.

ღრმა პატივისცემით
მერაბ ბერძენიშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლობა შპს „პრესა-98"-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში – წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე, უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი – შპს „საქპრესის" საგაზეთო ჯიხურებში.

რეპლიკა

შეუნდეთ ბაბუაჩემს, იგი უსწავლელი კაცი იყო

„ხომ ხარ სტამბოლის კაჟივით?" – მკითხავდა ხოლმე ბაბუა, როცა ფეხშიშველი არღადეგებზე სოფელში ჩავიდოდი. შემატრიალებდა, მაჯას გამისინჯავდა, გაზრდილხარო, მეტყოდა და თვალებში სიხარულის ნაპერწკლები აუთამაშდებოდა.

თავს არ შეგაწყენთ ბაბუაჩემზე საუბრით. უბრალოდ, დღეს ტელეეკრანიდან დიქტორები ისეთი მონდომებით გვტენიან თავში „სტამბულს" („სტამბულის მეხუთეები", „სტამბულში ჩავიდა", „სტამბულის სამიტი", „სტამბულიდან გამოფრინდა"...) რომ ბაბუაჩემი მახსენდება, „ხომ ხარ სტამბოლის კაჟივითო", რომ მეტყოდა ხოლმე.

ცხონებულს არც კოლეჯი ჰქონდა დამთავრებული, არც კერძო და, მით უმეტეს, არც სახელმწიფო უნივერსიტეტი. წერა-კითხვის უსწავლელი კაცი იყო და ამიტომ სულგრძელად შევუნდობ ხოლმე, როცა ტელეეკრანიდან „სტამბული" მესმის.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

გახსენება

მამუკა მაისურაძე

22 ივნისს 31 წელი შეგისრულდებოდა. **მამუკა,** უკვე მეექვსედ ვხედებით შენს დაბადების დღეს შენეული როხროხისა და იუმორის გარეშე. ჩემო საამაყო შვილო, გილოცავ დაბადების დღეს და უფალს ვთხოვ, დაგიმკვიდროს ზეციური სასუფეველი.

1993 წლის 7 ნოემბრიდან დაიწყო ჩემი ცრემლის სათავე, რომელიც დაუშრობელი იქნება მუდამ

„და ქვეყანაზე კაცმა არ იცის,
რომელი უფრო საცოდავია,
ის, ვისაც გულზე ვარდებს აღებენ,
თუ ვისაც მასთან ვარდები მიაქვს".

**მამულის ერთიანობისათვის
მეწირული რაინდის ტანჯული დედა
თინა მაისურაძე-ბაზღიძე.**

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი იუწყება, რომ შტაბის ოფიცერს, აფხაზეთიდან ლტოლვილს ზაზა ფოჩხუას გარდაეცვალა მამა

აპოლონ შალვას ძე ფოჩხუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 22, 23 VI, 5 სთ. გამოსვენება 24 VI, 11 სთ. გლდანი, VI მ/რაიონი, მე-2 კორპ., ბინა 6. დაკრძალვა: 24 VI, მარტვილის რაიონი, სოფ. ბანძა.

შვილი გივი მაჭავარიანი, შვილიშვილი მარია, დისწულები დალი, ლალი ყარყარაშვილები, მაზლიშვილები რეზო, ქუქუნა მაჭავარიანები, როლანდ კიზირია, მულიშვილები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანა ივანეს ასული მაჭავარიანი

გამოსვენება 22 VI, 3 სთ. ძმები კაკაბაძეების ქ. №34.

დედა ლამანდა, მამა ომარი, დები ნატო, ნინო, ბებია ბაბი, დისწულები ანუკი, გიორგი, ვერონიკა, სიძე გია, მამიდა თამარი, დეიდები ლამზირა, ლალა ოჯახებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ვასილ ომარის ძე ზხაძაძე

პანაშვიდი 22, 23 VI, 5 სთ. გამოსვენება 24 VI, 3 სთ. აკაკი წერეთლის გამზირი 97.

მეუღლე ლეო კვარცხავა, შვილები მანანა, ლელა, შვილიშვილები დათო, ირაკლი, ირაკლი, და ლამარა ყუფარაძე, სიძეები გია კერესელიძე, იასონ ფაილენიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევა ალექსანდრეს ასული ნიკოლაევა

პანაშვიდი 22, 23 VI, 5 სთ. გამოსვენება 24 VI, 3 სთ. ყიფშიძის ქ. №14, II სადარბაზო.

საქართველოს არქიტექტურის, მშენებლობისა და სამშენმასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი თანაუგრძნობს ბატონ გიორგი კერესელიძეს სიდედრის

ევა ნიკოლაევას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რეფორმატორთა და აგრარიკოსთა კავშირი სამძიმარს უცხადებს ამავე კავშირის ქალაქ ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარეს მოგელი ტყებუჩავას მამის

აკაკი ტყებუჩავას

გარდაცვალების გამო.

სს „ქართული ჩაის" კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ ლევან კვარცხავას

მეუღლის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

მარიამ გამყრელიძე-ჭიჭინაძე

ოთხმოცდამეათე წლისა გარდაიცვალა რაჭაში დიდ ქალბატონად აღიარებული, ღვაწლმოსილი მკურნალი **მარიამ გამყრელიძე-ჭიჭინაძისა,** რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ერთგულეს დარაჯად უდგა ქალაქ ონში გამორჩეულ და მთელ საქართველოში აღიარებულ ჭიჭინაძეების ღირსეულ ოჯახს.

ონის რაიონი დიდად ამაყობდა ქალბატონი მარიამით, რომელმაც ძალზე კარგად იცოდა სიცოცხლის ფასი, იცოდა რისთვის იყო მოსული ამქვეყნად, ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რათა მუდამ სასიკეთო საქმე ეკეთებინა, ფაქიზად და სიღრმისეულად უფრთხილდებოდა ქართველი ქალისა და დედის სახელს, ირგვლივ მყოფთათვის გამორჩეულად მომფერებელი იყო.

ქალბატონი მარიამი დაიბადა 1910 წელს ონის რაიონის ერთ-ერთ გამორჩეულ სოფელ სომიწოში გამყრელიძეების დიდ საგვარეულოში. საშუალო სკოლა 1931 წელს დაამთავრა ქალაქ ონში, 1937 წელს კი – სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მტკიცე ნაბიჯებით გააგრძელა ცხოვრების არჩეული გზა და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობას იწყებს სოფელ ბარის საექიმო უბნის გამგე-ექიმად, 1941 წლიდან ონის მედდების სკოლის დირექტორი და რაიონული საავადმყოფოს თერაპევტია, 1943-46 წლებში რაიონის ჯანმრთელობის სამსახურის უფროსია, 1946-54 წლებში რაიონის სამალარიო სადგურს ხელმძღვანელობს, შემდგომ კი რაიონის პარაზიტოლოგიური განყოფილების გამგე-ექიმია, 1964 წლიდან მუშაობს ინფექციური განყოფილების ორდინატორად, 1976 წლიდან კი რესპუბლიკის მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია. თუმცა, საქმის კეთების დიდმა სურვილმა და არჩეულმა გზამ 1978 წლიდან კურორტ უწერის სანატორიუმ „ფაზისის" ბალნეოლოგიური კორპუსის გამგე-ექიმად მიიყვანა. ასეთი გზის გამვლელი ქალბატონი, რა თქმა უნდა, სრულად ფლობდა რაიონის ჯანმრთელობის მაჯისცემას და მისი ღვაწლი და გამოცდილება სასიკეთოდ აღბეჭდილა რაიონის სამედიცინო ცხოვრებას. არნახულად იცავდა ჰიპოკრატეს ფიცსა და მრწამსს. იგი პირველი კატეგორიის კვალიფიკაციის და რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი იყო, სამამულო ომის წლებში კი სამედიცინო სამსახურის კაპიტნის წოდება მიენიჭა. არაერთხელ იყო არჩეული ქალაქისა და რაიონის აღმასრულებელი სამსახურის დეპუტატად, წლების განმავლობაში გახლდათ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სასამართლოს წევრი. რაიონის სახელოვანი ქალი მთავრობის ბევრი ჯილდოს კავალერიც იყო.

ქალბატონ მარიამს გვერდს უმშვენებდნენ ღირსეული მეუღლე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თეოფილე ჭიჭინაძე და სამი საამაყო ვაჟი – გელა, ბექან და როსტომ ჭიჭინაძეები. უბედურმა შემთხვევამ 1967 წელს უმცროსი ვაჟი როსტომი გამოაცალა ხელიდან და სამუდამოდ შავი ძაძა ჩააცვა ქალბატონ მარიამს, 1977 წელს კი მეუღლე გარდაეცვალა.

იგი სულით არ გატყდა, დიდი მწუხარების მიუხედავად, არნახულად შეინარჩუნა ქართველი ქალის ღირსება, რითაც ღირსეულად დააფასა თავისი შვილები და შვილიშვილები.

ქალბატონო მარიამ, მუდამ დიდ პატივს მოგაგებს შენი ქალაქი და შენი რაიონი, ფაქიზად და ფრთხილად მოგეფერებიან ყოველთვის.

მშვიდობით.

ონის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.